

K 210829
3

მზემარტი განივე



ქადაგის ართონობათვე
ძველი წართყოფი
უნდა გრიფი კულტური
შოთა რეზი






თბილისის უნივერსიტეტის გამოცემობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА



М. А. ШАНИДЗЕ




«РАССУЖДЕНИЕ ОБ АРТИКЛЯХ»

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЙ ГРАММАТИЧЕСКИЙ
ТРАКТАТ

М. А. SHANIDZE

DISCOURSE ON ARTICLES
AN OLD GEORGIAN GRAMMATICAL TREATISE



ТБИЛИСИ 1990 TBILISI

გზებალა განიგა



ცეკვები ართონთათვე
ძველი წართავები
კოდექტიულებები
ტრადიციები





პირველად არის გამოქვეყნებული „სიტყუად ართონთათვს“ — ორიგინალური ქართული გრამატიკული თხზულება, რომელიც უძველესია დღესდღეობით ცნობილ ამგვარ ნაწარმოებთა შორის. „სიტყუად ართონთათვს“ დაწერილია ეფრემ მცირის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლის მიერ. შესაძლოა, მისი აეტორია თვეები ეფრემი ან არსენი იყალთოელი. ნაწარმოებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული მეცნიერებული აზრის ისტორიისათვის. იგი წარმომადგენს მის უტყუაზ საბუთს, რომ უფრო მოგაინგებით, XVII—XVIII საუკუნეებში, ენობრივი ძეგბა ემყარება და განაგრძობს ენათმეცნიერული კულევის ტრადიციებს, რომლებიც XI—XII საუკუნეებში საესებით ჩამოყალიბებული ჩანს.

ტექსტი დაბეჭდილია ორი ნუსხის მიხედვით, რომელთაგან ძირითადია ათონის ქართული მონასტრის წიგნსაცავის № 6 ხელნაწერი (XII—XIII სს). ამავე ხელნაწერში გამოვლინებულია ითანეოქტობირისად მინიული 17 თხზულება, რომლებიც ქართულ ნათარჯმი ლიტერატურაში დღემდე უცნობი იყო. წინამდებარე გამოცემაში დაბეჭდილია ერთ-ერთი მათგანი, რომელთანაც დაკავშირებული არის გრამატიკული ტრაქტატის შექმნის ისტორია.

რედაქტორი აკაკი შანიძე †


რეცენზირები: ლელი ბარამიძე,
მახეილ ქავთარია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990

4702170100

III

M 608(06) 90



ISBN 5-5 11-00100-7

ქართველი სიტყვა

აქ წარმოდგენილი ძეგლი „სიტყვაშ ართონობათქს“ მცირე, მაგრამ მეტად საყურადღებო ორიგინალური საენათმეცნიერო ნაწილი მოქმედია, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეშია შექმნილი და საპეზნიეროდ ჩვენამდის მოღწეული. მისი ავტორი აშკარად არ ჩანს, მაგრამ ვინც უნდა იყოს იგი, დიდად განსწავლული პიროვნება კია.

ნაწერი ეხება ბერძნულ ართონის, ანუ ნაწევარს, რომელიც არსებით სახელს წინ დაესმის. ბერძნული სახელი კი შეიძლება იყოს „მამალი“, „დედალი“ ან „შუა“, ე. ი. გაირჩეს სქესის მიხედვით, როგორც მრავალ სხვა ენაში („მამრი“, „მდეზრი“, „საშუალი“). მას გარდა, ბერძნულში სამი გრამატიკული რიცხვია: მხოლობითი („ერთობითი“), ორობითი და მრავლობითი („განმრავლებითი“), მაშინ როდესაც ქართულში ორი გრამატიკული რიცხვი გვაქვს: მხოლობითი და მრავლობითი. ყველა ეს დიდად განასხვავებს ქართულს ბერძნულისაგან, საიდანაც ძველად მრავალი ძეგლი ითარგმნებოდა ქართულად; თარგმნისას კი სიზუსტეა საჭირო და ამას გამოუწვევია, რომ სპეციალური გამოკვლევა დაწერათ, თუ რას წარმოადგენს ბერძნული ართონი.

ძველ ქართულში, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში ჯერ კიდევ საკმაოდ მოქმედი სალიტერატურო ენა იყო, ართონი ანუ ნაწევარი, რა თქმა უნდა, არსებობდა, მაგრამ იგი სულ სხვა ბუნებისა იყო, ვიდრე ბერძნული ართონი. ადგილის მიხედვით იგი სახელს ჩვეულებრივ ბოლოს მოუდიოდა და არა წინ, როგორც ბერძნულში (კაცი ი გი, შდრ. ბ ჯაზრაპია). ამას გარდა, ნაწევარი ქართულში გაიჩინდა პირთა მიხედვით (კაცი ე ს ე, კაცი ე გ ე, კაცი ი გ ი), რაიც სრულიად უცნობი იყო ბერძნულისათვის. ამიტომ არ არის ვასაკვირველი, რომ ჩვენი ავტორი, რომელიც კარგად ერკვევა ბერძნული ართონის საკითხებში, ქართულში ართონის ვერ ამჩნევს ან ერცვა

იგი წოდებითში დასმული სახელის წინ წამძღვარებულ ხმრევული
(ზე კაცო).

ციცქედავად ამისა, ეს მისი ნაშრომი ჩინებული საენათმეცნიერო
თხზულებაა; იგი მოწმობს, რომ ძველი მწიგნობრები კარგად უკავე-
ოდნენ ენის საკითხებში, იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და გრამატიკუ-
ლი ერთად ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკუ-
ლი წესების შესწავლასაც. ამ ნაწარმოებში ნახმარ გრამატიკულ ტერ-
მინთაგან ზოგიერთი დღესაც საყოველთაოდ არის ქართულში მიღე-
ბული (ნათესაობითი, მიცემითი). აშკარა ისიც, რომ პირველი ქარ-
თული გრამატიკული თხზულებანი მეჩვიდმეტე საუკუნეში კი არ არის
დაწერილი, როგორც აქამდე იყო ცნობილი; „სიტყუად ართონ-
თათვს“ ადასტურებს, რომ ამგვარი შრომები რამდენიმე საუკუნით
იძრეც გვქონია, როგორც ვარაუდობდა ივანე ჯავახიშვილი. ამ გრა-
მატიკულმა თხზულებამ, რომელიც აქ სათანადოდ არის გამოცემული,
ქართული ენათმეცნიერების ისტორიისათვის მეტად ძვირფასი მასა-
ლა შეგვძინა. ალსანიშნავია ისიც, რომ ათონეური ხელნაწერი, რომე-
ლიც საფუძვლად დაედო ამ გამოცემას, სხვა მხრივაც საინტერესო
გამოდგა: მასში შეტანილი სხვა ნათარგმნი თხზულებები, რომელთა-
გან დღეს ჩვიდმეტია შემორჩენილი, ქართულ ენაზე დღემდე ცნო-
ბილი არ ყოფილა. ამრიგად, მისმა შესწავლამ ძველი ქართული მწერ-
ლობისათვის საგულისხმო ცნობები გამოიგლინა. ერთ-ერთი ამ თხზუ-
ლებათაგანი აგრეთვე არის ამ წიგნში გამოქვეყნებული — სპეც-
დობრ, ის ნაწარმოები, რომლის თარგმნაც შეიქნა მიზეზი გრამატი-
კული ნაშრომის დაწერისა.

პაპაკი შავიძე

16 იანვ. 1985.

შ 1 ს ა ვ ა ლ ი

ქველი ქართული მწერლობის ძევლთა თანდათანობითი შესწავლისა და გამოქვეყნების შედეგად სულ უფრო და უფრო მეტარაღ ჩნდება ქართველ მწიგნობართა ცხოველი ინტერესი ენისა და ენათმეცნიერების საკითხებისადმი. ამ ინტერესის აღმოცენებისა და გაღრმავების ერთ-ერთი მიზნი ის იყო, რომ დომინანტური როლი ძეველ ქართულ სასულიერო მწერლობაში ნითარგმნ ლიტერატურას კუთვნოდა. უკვე მესუთე საუკუნიდან ფართოდ გაშლილი მთარგმნელობითი და ორდაქტორული მოღვაწეობის პროცესში ენის პრობლემები აუცილებელად ხედებოდა ჩვენი წინაპრების თვალთახეფების არეში. ამ გარემოებისათვის შრავალი ისტორიული პარალელის მითითება შეიძლება: ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობისას ენასთან დაკავშირებულ საკითხებს ქრისტიანული კულტურის ქვეყნებში აღრევე ექცევა აურადღება¹. გარდა ამისა, მხედველობაში არის მისაღები შემდეგიც: /იმ კულტურულ სამყაროში, რომელსაც მჭიდროდ უკავშირდებოდა ძეველი ქართული სასულიერო მწერლობა, თვალსეჩინო ადგილი სწორედ ფილოლოგიურ დისკიპლინებს ცენტრა².) ბიზანტიურ მეცნიერებას და მწიგნობრობაში, რომელთა მასაზრდოებელ ერთერთ ძირითად წყაროს ქველი ბერძნული კულტურული ტრადიცია წარმოადგენდა, გრამატიკა, რიტორიკასა და ფილოსოფიასთან ერთად, დიდ პატივში იყო³. კარგიდ არის ცნობილი, რომ თვითონ ბი-

¹ Л. С. Ковтун, Лексикография в Московской Руси XVI — начала XVII века, Л.д., 1975, с. 7.

² Э. Гранстрем, Византийская филология в древнерусских и славянских рукописях. Конференция по вопросам археографии и изучения древних рукописей. Тезисы докладов. Тб., 1969, с. 9.

³ H. Hunger, Die hochsprachliche profane Literatur der Byzantiner. Mün-

ზანტიაშიც და მასთან ისტორიული გა კულტურული კავშირების
მქონე სხვა ქვეყნებშიც ბერძნულმა ფილოლოგიურმა ურამატებამ
მრავალი საუკუნის განმავლობაში განსაზღვრა გრამატიკული აზროვ-
ნების შემდგომი განვითარება. ილექსანდრიული სკოლას წარმატებულ
გენტის დონისიოს თრაკიილის გრამატიკამ, რომელიც საკულტურული
ოდ ცნობილი გახდა, და მისი კომენტატორების თხზულებებმა⁴ ფი-
ლი როლი შეისრულა სხვა გრამატიკულ სისტემათა ჩამოყალიბები-
სას აღრეულ შუა საუკუნეებში. მეტად საინტერესოდ და ხშირად
დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა აგრეთვე გრამატიკული აზროვ-
ნება მუსლიმანურ და იუდაისტურ მწიგნობრეულ წრეებშიც. სირი-
ულ, სომხურ, არაბულ და ებრაულ ენებზე დაწერილი მრავალრიც-
ხოვანი ტრაქტატები, რომლებშიც იმბრრონდელი გრამატიკული აზ-
როვნება პოლობდა თავის გამოხატულებას, აღრეულ ენათმეცნიე-
რულ კონცეფციათა განვითარების მეტად საინტერესო სურათს გვიჩ-
ვენებს⁵. ამგვარი თხზულებები, განსაკუთრებით კი ბერძნული, ჩვენ-

chen, 1978, Bd. II, S. 10. A. Guillo, La civilisation byzantine, Paris,
1974, p. 29.

⁴ დონისიოს თრაკიილის გრამატიკისა და მისი კომენტატორების ტექსტებისათვეს:
Dionysii Thracis Ars Grammatica, Ed. Uhlig, Lipsiae, 1883; Scholia in Diony-
sii Thracis Artem Grammaticam. Gramm. Graeci, v. I, Pars III, Ed. Hil-
gard, Lipsiae, 1901.

⁵ ამომწურავი ბიბლიოგრაფიის მითითება ჩვენს მიზანს არ შეადგენს. სანიმუ-
შოდ დავასახელებთ რამდენიმე მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომს: История лингви-
тических учений, Средневековой Восток, Л-д, 1981; გ. გობრონიძე, შე-
საუკუნეების ფონეტიკური თეორიის ძირითადი საკითხები (VIII—XIII სს.), თბ.,
1980; В. Звегинцев, История арабского языкоznания, Краткий очерк. М.,
1958; R. H. Robins, Ancient and Mediaeval Grammatical Theory in Europe,
London, 1951; H. Hirschfeld, Literary History of Hebrew Grammarians,
London, 1926; W. Bacher, Die Anfänge der Hebräischen Grammatik,
ZDMG, B. 49, 1895; W. Bacher, Die hebräische Sprachwissenschaft 10.
bis zum 15. Jahrhundert, Trier, 1892; A. Mergx, L'Origine de la grammaire
arabe, Le Caire, 1891; A. Mergx, Historia artis grammaticae apud Suros.
Leipzig, 1889; G. Flügel, Die grammatischen Schulen der Araber, Leipzig,
1861, В. Гиргас, Очерк грамматической системы арабов, СПб., 1873,
ძველთ მიუთითებთ აგრეთვე სხვადასხვა ენაზე დაწერილ მნიშვნელოვან გრამატი-
კულ თხზულებათა ზოგიერთ გამოცემას: В. Г. Ахвледiani, Фонетический
трактат Авиценны, Тб., 1966; Р. Г. Рылова, Грамматика сирийского языка

შიც კარგად უნდა ყოფილიყო კონბილი. მეტაზ საყურადღებო ა
თვალსაზრისით ეფრემ მცირის ერთი ანდერძი, რომელშიც იგი წერს,
რომ „ათორმეტ არიან კელოვნებანი ბერძნთა სწავლული ბისურული
მათგან პირველსავე ადგილზე ასახელებს „გრამატიკულური კურ-
დევნოდ კი — „ფილოსოფოსობას“ და „რიტორებას“⁶. ენის საკით-
ხებისადმი ინტერესის დამადასტურებელი მასალა ძველი ქართული
მწერლობის ძეგლებში უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობით არის გა-
მოვლინებული. შემთხვევითი არ არის, რომ მეათე საუკუნის სამოც-
დაათიან წლებში შედგენილ შატბერდის კრებულში, რომელიც შე-
ნარსის მიხედვით უნციკლოპედიური ხსნათისა არის და იმურჩობი-
დელი მეცნიერული ცოდნის ღონეს ასახავს, შეტანილია ნაწყვეტები
სწორედ დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის კომენტარებიდან პერჭ-
ნული ანბანის შესახებ⁷, აგრეთვე ის ფრაგმენტი ეპიფანე კვპრელის
ერთ-ერთი თხზულებიდან („ზომითათვს და საწყაულთა“), რომელიც
ებრაულ ანბანს ეხება⁸.

Ильи Тирханского, XI в., Палестинский Сборник, вып. 14 (77), Л.—д, 1965; Книга сравнения еврейского языка с арабским Абу Ибрагима (Исаака) ибн Баруна, испанского еврея конца XI и начала XII в., исследования П. Коковцева; К истории средневековой еврейской филологии и еврейско-арабской литературы. I, СПб., 1893; Новые материалы для характеристики Иехуды Хаюджа, Самуила Нагида и некоторых других представителей еврейской филологической науки в X, XI и XII веках. Собрал, исследовал и издал П. Коковцев. К истории средневековой еврейской филологии и еврейско-арабской литературы. Петроград, 1916; Дионисий Фракийский и армянские толкователи. Издал и исследовал Н. Адонц. *Biblio'theca Armeno-Georgica*, IV, 1915. Թօջանք ֆրանցէսկո զաթւշընքան Denys de Thrace et les commentateurs arméniens, Louvain, 1970.

“ ე ანდერძი ერთვის გრიგოლ ლოთისმეტყველის თხულებას: „სიტუაც იდლანეს განსაქიშებელი მეორე“, რომელიც გვხვდება 1800 წელს გადაწერილ A—292 ხელნაწერში. ანდერძში დასახელებულია „შემდეგი“: „კელოვნებანი“: გრამატიკოსისა ფილოსოფოსობა, რიტორიკა, მუზიკალობა, მუსიკელობა, ქუყანისმიღლობა, კარიელავოთმრიცხელობა, ჩიტერნაკის მიღლობა, ბუნებათმეტყველება, ნივთმეტყველება, კელოვნებათა საქმე, წესი ბრძოლისათ. ანდერძის სრული ტექსტისათვის იხ. ქათოლ ხელნაწერთა ოწერილობა... A კოლექციისა, ტ. I, თბ., 1980, გვ. 188.

⁷ ს. ყაფხნიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, ტფლ. უნივ-
მათემატიკა, III, 1923, გვ. 182.

⁸ ဒ. ၁၆၀၈။ ကံရားအောင် အနိုင်ငြင် ဒုဇိုင်းပြည်မှူး ဖြစ်သော နေဂတ် အလုပ်များ
ပေါ်တွင် ပြည်သူ့ရုံးမှူး၊ အောက်ပါသော အနေဖြင့် ပြည်သူ့ရုံးမှူး ဖြစ်သော နေဂတ် အလုပ်များ
၂၅၁၁ ခုနှစ်၊ I, တမ်း, 1957, အ. 169.

ლექსიკოგრაფიის საწყისი ელემენტები ჩანს იმ სიტყვათა გადა-
მარტებებში და ლექსიკურ გლოსებში, რომლებიც უხვად არის გადა-
ნეული ძველ თხზულებებში, განსაკუთრებით კი ეგზეგეტებური ხა-
სიათის შრომებში⁹. ეს გარემოება ჯერ კიდევ ა. ცაგარელმა ჩაიტა-
ნა¹⁰. ასეთი ხასიათის ცალკეული განმარტებები გვხვდება უკვე მასში და
ნერ მრავალთავში¹¹; ძალზე ხშირია ასეთი კომენტარები შარბეგროის
კრებულში¹². მსგავსი განმარტებები შემდგომ თავს იყრის ააგაზგი-
ბო თნომასტიქონ-ლექსიკონებში; მათ ნიმუშიდ შეიძლება დაცასახე-
ლოთ კირილ ალექსანდრიელის ლექსიკონის ქართული თარგმანი
1188—1210 წწ. ხელნაწერში: „წმიდისა კვრილე ალექსანდრიელისა და
ლექსი მათეს თავის სახარებისა ძნელოანთა სიტყვათა განმარტებად
ლექსიკონი“¹³. ლექსიკონის სახეს იღებს აგრეთვე სახისმეტყველი-
ბითი (სიბმოლური და ალეგორიული) განმარტებები, გამნეული სხვა-
დასხვა ეგზეგეტიდურ თხზულებებში; სწორედ ასეთ განმარტებათა-
გან, რომლებიც „მიმოგანფენილ და ძნელ საპოვნელად“ იყვნენ მის
მიერ შედგენილ ფსალმუნთა თარგმანებაში, შეუდგენია ეფრემ მცი-
რეს თავისი ლექსიკონი — „ლექსთამ, ესე იგი არს ლრმათა სიტყვა-
თამ“¹⁴. ეს ნაშრომი, რომელშიც ეფრემს სიტყვები შეუტანია „არა
ლიტონად, არცა ურთიერთას აღრეულად, არამედ ასოთა ზედა ანბ-
ნისათა განწყობილად და განკარგულად“, არსებითად ჯერხნობით

⁹ შდრ. Л. Ковтун, Русская лексикография эпохи средневековья, М. — Л., 1963.

¹⁰ А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1883, с. 3.

¹¹ სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაო-
ბითა და გამოკვლევით, თბ., 1959: „ქელულულ“ ასტრთა ენისაგან ბერძნენთა ენა-
სა „სტეფანოს“, და ბერძნენთა ენისაგან ქართველთა ენად „გვრგვნ“, გვ. 69 და სხვ.

¹² შატერელის კრებული მეათე საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გა-
გინე იშვილმა და ე. გიუნა შვილმა, თბ., 1972; ითარგმანების ბეთოებ
სახლ ნაყოფიერების“, გვ. 104 და სხვ.

¹³ ხელნაწერი A—65, 171г—176г. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა...
ა კოლექციისა, ტ. I, თბ., 1973, გვ. 226, ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამო-
ცემულია: იბ. ა. ლ ლ ი ნ ტ ი, კირილ ალექსანდრიელის ლექსიკონი, გორის პედიკისტ.
შრომები, II, 1947, გვ. 170—177; მისივე, ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორი-
იდან, ნარკვევები, სტალინიც, 1955, გვ. 105.

¹⁴ მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, საიუბი-
ლუო, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბ., 1968, გვ. 96 და 82.

კუნიბილთაგან პირველ ქართულ თრიუნილურ ლექსიკონს წარმოადგინა.

ათონელ მოღვაწეთა და ეფრემ მცირის თხზულებებში, განკუთხუბებით ეფრემისაში, უკვე სრულად გამოკვეთილად ჩატარდა ავტორების ინტერესის ენის საყითხებისადმი ხშირად უკვე უმიზნდა მეცნიერულ ხსიათს იღებს. მას მოწმობს ის მრავალმხრივი შენიშვნები და კომენტარები მათ შიერ ნათარგმნ შრომებში, რომლებიც საღოთისმეტყველო კომენტარის ფარგლებს სცილდება. სამწუხაროდ, არც ეფრემი და გიორგი მთაწმიდლების, არც ეფრემ მცირის შრომები ამ თვალსაზრისით ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი ინარის. მაგრამ ის მცირედიც, რაც ამჟამად არის ცნობილი, თვალნათლივ გვიჩვენებს მათ ფილოლოგიურ ინტერესებსა და კოდნებს¹⁵.

ძალიან სიინტერესო ენობრივი დაკვირვებები აქვს გამოთქმული თავის შენიშვნებში არსენი იყალთოლებაც¹⁶.

ენისა და გრამატიკის საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევდა ითანე პეტრიწიც. დიდი შრომა გაუწევია მას ქართული მეცნიერული, ვანისაკუთრებით კი ფილოსოფიური, ტერმინოლოგიის შესაქმნელადაც¹⁷. შემთხვევითი ინარის არც ის გარემოება, რომ ითანე იტალოსის „აბაზგი გრამატიკოსისადმი“ მიმართული წერილის აზრების აღმოჩენა სწორედ ითანე პეტრიწს ვარაუდობენ¹⁸. ცნობილია, რომ მას დიონისიოს თრაკიელის გრამატიკა გამოუყენებია წყაროდ თავისი

¹⁵ ი. ჯავახიშვილი, ქველი ქართული სისტორიი მუერლობა. თხზულება, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 159; კ. კეკელიძე, მთაწმენდობითი მეოთლი ძეველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956, გვ. 186. მ. შანიძე, Некоторые сведения Ефрема Мцире о грузинской и греческой филологии, მრავალთავე, IV, თბ., 1974, გვ. 80; კ. დანელია, ახალი მასალები ეფრემ მცირის მთაწმენდობითი მეოთლისა და მისი ჩრდაქციის სამოცემულოს ისტორიის შესწავლისათვეს; მაცნე, ენისა და ლიტერატურა. სერია, 1974, № 4, გვ. 27; ვ. ა. სარჯველაძე, У истоков грузинской лингвистической мысли, Вопросы языкоznания, 1983, № 1, с. 113.

¹⁶ კ. კეკელიძე, ქველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 275.

¹⁷ 6. კეჭალმაძე, ითანე პეტრიწის ენის საყითხებისათვეის, თსუ შრომები, ტ. № 61, 1953, გვ. 99; დ. მელიქიშვილი, ითანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 71.

¹⁸ 6. კეჭალმაძე, ითანე იტალოსის წერილი აბაზგი გრამატიკოსისადმი და წერილის აღრესატი, აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969, გვ. 243.

ერთ-ერთი ორიგინალური ნაშრომის ბოლოსიტყვაობისათვეს „ცენ-
მარტებად პროკლესთვს დიადოხოსისა და პლატონურისა ფრთხოები-
ფიისათვეს“¹⁹).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მოცემული ტერმინებით
ტერმინები და მათი განმარტებები ზოგიერთ შემთხვევაში გვავთა-
უდებინებს, რომ საბა იყენებდა უფრო აღრე არსებულ სათანადო-
ლიტერატურას და საზოგადოდ ეყრდნობოდა ამგვარ განმარტებათა-
შექმნისას ძელ ტრადიციებს²⁰. ისტორიული ხასიათის ცნობებიც
რომლებიც სხვადასხვა ავტორთა თხზულებებში გვხვდება, უმცი-
ლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართველებს თავის დროზე ჰქონიათ
ნაშრომები, რომლებიც საგანგებოდ ეხებოდა ენის საკითხებს. ქართ-
ველებს ერთი ლექსიკონი ჰქონიდათ და დაპარგოდათ, გულის-
ტყივილით ჩივის სულხან-საბა ორბელიანი²¹. საყურადღებო, თუმ-
ცა არც თუ მთლად გრაკვეულ ცნობებს ძველი გრამატიკული ლიტე-
რატურის შესახებ გვაწვდის ანტონ კათალიკოსი²². „ძელ გრამატი-
კებს“ ახსენებენ თვიმურაზ და დავით ბაგრატიონებიც²³.

ზემოთ დასახელებული მაგალითები მხოლოდ სანიმუშოდ არის
მოყვანილი და სრულიადაც არ ამოწურავს იმ საბუთებს, რომლე-
ბიც ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრე არსებობის დასამ-
ტყიცებლად არის ხოლმე მოხსენებული. მაგრამ, მიუხედავად იმისა,
რომ გრამატიკულ თხზულებათა ძველად არსებობა საეჭვოდ აღარ
არის მიჩნეული დღეს, უკანასკნელ დრომდე ამგვარი ნაწარმოებები-
ძელ ქართულ მწერლობაში მიყვდეული არ ყოფილა. 1937 წელს გა-
მოქვეყნებულ წიგნში ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მომავალში ხელ-
ნაწერების შესწავლამ შესაძლებელია ძელ ქართველ გრამატიკოს-
თა და მთარგმნელების დაკვირვება აღმოაჩინოს კიდევაც და მაშინ
ამ საკითხზე მსჯელობა გააღვილდეს, მაგრამ ჭერჭერობით ზურაბ

¹⁹ ს. ყაუ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, პეტრიწის განმარტების ბოლოსიტყვაობის ერთი წყა-
რო, სმამ ტ. II, № 8, 1941, გვ. 755.

²⁰ დ. გ ე წ ა ძ ე, ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თსუ
შრომები, ტ. 200, ენათმეცნიერება, თბ., 1978, გვ. 50.

²¹ ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბა თ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 31.

²² ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ანტონ პირევილი და ქართული გრამატიკის საკითხები,
თბ., 1970, გვ. 13; ა. ფ ი ც ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორი-
იდან, თბ., 1979, გვ. 47.

²³ ა. ფ ი ც ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

შანმოვანის 1737 წლისა და ანტონ კათალიკოზის 1753 და 1767 წე-
ზე უწინარესი არც ერთი ქართული გრამატიკული ნაშრომი აღმო-
ჩენილი არ არის. თვით ის ცალკეული დაყვირებებანი, რომელნიც უფრ-
თვიმე და გიორგი მთაწმიდლებს, ცფრემ მცირეს, არსენ რუსულობულ-
სა და სხვებს სქოლიონებისა და კილურწერილობის სახით მოქალა-
ბათ, ჯერ არავის ამოუკრეფია და გამოუვევეყნებია. მითომ იმ საცუ-
ლისხმო საკითხის გასათვალისწინებლად, თუ რა თვისებისა და ლი-
რებულებისა იყო ძველ ქართველ შეცნიერთა ქართული და ბერძნე-
ლი ენების რაბამობის ცოდნა, ჯერ თითქმის არაეითარი მასალები არ
მოვცემოვება“²⁴. მას შემდეგ მფლომარეობა არსებითად არ შეცელი-
ლა და ი. ჯვახიშვილის ნათქვამს სხვებიც იმეორებენ: „ქართული
გრამატიკული ლიტერატურის ძეგლთაგან XVIII ს-ის დამდეგზე ად-
რინდელი ჯერხნობით არ მოიპოვება“²⁵; „ქართული გრამატიკული
აზროვნების სათავეები ჯერჯერობით წყვდიადითაა მოცული. ჩვენამ-
დე არ მოწეულა მე-18 საუკუნეზე იღრინდელი არც ერთი შრომა,
რომელშიც საგანგებოდ იყოს გაშუქებული გრამატიკის საკით-
ხები“²⁶.

(„სიტუაც ართრონთათვს“ ამ დანაკლისს ნაწილობრივ იცსებს.
დღესდღეობით ცნობილთაგან სწორედ ის არის უძველესი ქართული
თხზულება, რომელშიც საგანგებოდ არის განხილული გრამატიკის
საკითხები.) მართალია, მისი დაწერის მიზეზი ყოფილა ერთ-ერთი
სასულიერო თხზულების თარგმნისას წამოჭრილი პრაქტიკული სა-
კითხი (ამის შესახებ ქვემოთ არის დაწერილებითი მსჯელობა), მაგრამ
(„სიტუაც ართრონთათვს“ თავისთავად დამოუკიდებელ სამეცნიერო
შრომას წარმოადგენს: ეს პრის ქართველი ივტორის მიერ დაწერილი
ორიგინალური ტრაქტატი, რომელშიც განხილულია გრამატიკის ერ-
თი საკითხი და გარკვეული თვალსაზრისით ერთმანეთს არის შედა-
რებული ქართული და ბერძნული ენა.) ამასთანავე ივტორს ჩინებუ-
ლად სცოდნია, ცფრემ მცირეს სიტუაცით რომ ვთქვათ, „რაბამობაა

²⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირეული შე-
ნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 4.

²⁵ ი ლ ი ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი
ტეკსტები, შრომები, ტ. II, თბ., 1976 (ნაშრომი პირველად გამოქვეყნებულია 1940 წ.:
საქ. სახ. მეზეუმის მოამბე, X—B), გვ. 169.

²⁶ ი. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის სტრიქილან, გვ. 45.

ეს მოსაზრება ჩვენ გამოვთქვით ჯერ კიულ 1977 წელს, როდესაც ხელთ გვქონდა მხოლოდ გვიანდელი, საფარული ნუსხა²⁸. მას შემდეგ კი, რაც შესაძლებელი გახდა ძველი, ათონური ნუსხის გამოყენებაც, ჩვენი ვარაუდი უფრო სარწმუნო გამოჩნდა.

„სიტყუად ართონთათვეს“, მიუხედავად შისი მცირე მოცულობისა, ქართული მეცნიერული აზრის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებია, როგორც ადრე არსებული გრამატიკული ლიტერატურის ჩეალური ნიმუში. ეს თხზულება გვაძლევს იმის სარწმუნო საბუთს, რომ მოგვიანებით შექმნილი ქართული გრამატიკული ლიტერატურა ემყარება ენათმეცნიერული აზროვნების ხანგრძლივ ტრადიციებს, რომელთა საწყისები XI—XII საუკუნეებში სავსებით ჩამოყალიბებული ჩანს.)

27 ეს სიტყვები ეფრემს ნახმარი აქვს ეპისტოლებში, რომელიც მას წაუმდლოვანების გრიგოლ ლვისმეტყველის თხზულებათა თარგმანისათვის (ხელნაწერი იქნ. № 43 რ. ბლეიკის კატალოგის მიხედვით). 6. მიმომხსილები, თბ., 1926, გვ. 167. 6. ვარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, გვ. 71.

²⁸ „სიტყვად ართონთათვს“ — ძველი ქართული გრამატიკული ტრატიტი. მოხსენება წაკითხული იყო საქ. მეცნ. აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთ-მცირების ინსტიტუტის სესიაზე 1977 წ., 27 ივნის; 6. კოდეკ. М. Шанидзе, Вопросы языка и грамматики в древнегрузинских рукописях. Конференция по истории письменности и книги. Археографическая комиссия АН СССР. Институт древних рукописей им. Маштоца—Матенадаран, 25—27 окт. 1977. с. 114.

წინამდებარე წიგნში „სიტყუად ართონთათვს“ პირველად ქვეყნა-
დება სრული სახით და სათანადო სამეცნიერო კრიტიკული აღმა-
ტით ²⁹.

აქვეა დაბეჭდილი აგრეთვე ის ნაჟარგვი თხზულებაზე უკიდურესი
ტექსტშიც არის ჩართული ათონურ ხელნაწერში „სიტყუად ართონ-
თათვს“: „იოანე ოქროპირისაძ... სიტყვას მისთვის, ვითარედ: „ქრის-
ტე აღმოსავალი აღმოსავალთაც...“ ვამრიგად, მკითხველს შესაძლებ-
ლობა ექნება გაეცნოს იმ ნაწარმოებსაც, რომლის თარგმნასაც მიე-
ცია ბიძგი ქართველი მწიგნობრისათვის ორიგინალური ქართული
გრამატიკული ნაშრომის შესაქმნელად. ამ პომილის ტექსტზე დაკ-
ვირვება საშუალებას მოგვცემს, უფრო სრული წარმოდგენა ვიქო-
ნიოთ გრამატიკული ტრაქტატის რაობის შესახებ და გავარევით ამ
უკანასკნელთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხიც. რა თქმა უნ-
და, თხზულება, რომლის ავტორადაც ათონურ ხელნაწერში ითანე
ოქროპირი არის დასახელებული (ისევე, როგორც ამ კრებულში შე-
ტანილი ყველა ნაწარმოებისათვის), მარტო ამ თვალსაზრისით არ
არის მნიშვნელოვანი: ათონური კრებული საზოგადოდ მეტად სიყუ-
რადლებოა, რადგან იყო შეიცავს თარგმანებს, რომლებიც დღემდე
სრულიად უცნობი იყო და რომლებიც ფილოლოგიური და ენობრივი
კვლევისათვის ზოგჯერ მეტად საინტერესო მასალას გვაწევდის.

²⁹ ნ. აგრეთვე M. Shaniძე, An Old Georgian Grammatical Treatise in a Collection of Homilies Attributed to John Chrysostom, Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, v. 42, Paris, 1984, p. 53-68.

**„სიტყუად ართონთათვს“ — ძველი ჩართული
გრამატიკული ტრაქტატი**

ა. ნაწარმოების შესწავლის ისტორიიდან

1981 წლამდე „სიტყუად ართონთათვს“ ხელმისაწვდომი იყო ერთადერთი ნუსხის მიხედვით; ეს იყო საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის S—312 ხელნაწერი, გადაწერილი სვიმონ კარგარეთლის მიერ 1541 წელს საფარის ლავრაში. ამ ხელნაწერს აურევე მიაწყია ყურადღება ამ განსვენებულმა მკვლევარმა ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძემ, რომელიც ჯერ კიდევ 1951 წელს წერდა: „ხელნაწერი განსაკუთრებით ძვირფასია, როგორც XVI ს. განათლებული ქართველების მეცნიერული ინტერესების ცოცხალი ძეგლი“¹. მაშინ კ. შარაშიძემ ხელნაწერში შეტანილ თხზულებათაგან მხოლოდ აბუსერისძე ტბელის ასტრონომიული ტრაქტატი მოიხსენა. შემდგომ მან მთლიანად აღწერა S—312 ხელნაწერი, რომელსაც „პოლემიკურ-დოკმატიკური და სამეცნიერო კრებული“ შეარქვა; აღწერილო-

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძეგლ ხელნაწერთა საცენტრო გზა-მუზეუმი, თბ., 1951, გვ. 37.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... S კოლექციისა, 1, თბ., 1959, გვ. 265. S—312 ხელნაწერი, რომელიც თავდაპირეელად წერა-კითხვის გამარტილებულ საზოგადოებას ეკუთვნოდა, ე. თაყაიშვილის ცნობილ აღწერილობაში შეტანილი არ არის (იბ. ა. შარაშიძე და ა. ბარაბაძე, საქართველოს მუზეუმის S ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძირბელი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ცტორიისათვის, თბ., 1939, ნაკვ. 2, გვ. 9). ე. თაყაიშვილის არქივში დაცულ მასალებში მოიპოვება ამ ხელნაწერის აღწერილობა, რომელიც პირველადი შეიქ ნაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს (ხელნ. ინსტ., ე. თაყაიშვილის ფ. № 128: იბ. აკად. ე. თაყაიშვილის არქივი, აღწერილობა, შეაფინა ე. კელენჯიძე, თბ., 1972, გვ. 74—№ 546). ამ აღწერილობაში სულ 29 ერთულად შეტანილი და „სიტყუად ართონთათვს“ არ არის დასახელებული; იგი მარნეულად წინა თხზულების (კირილე აღექსანდრიილის „ლექსიკონის“) შემაღვეველ ნაწი-

«Ամեն կը ՏԵ Ճաշտապոյք»: Ի՞ն Կաթուռուղի մեր ու ին Վահան
կ սուրբ աղջոյ ափօնաց որդին գրեթե պայման ծեւ: Հ Յ ՏԵ ԴՐԱ
կ ըստ ամեն ճամաց պատուի կ մոլորու ամսու ու արան ՏԵ ՊԵՆԻ
ՏԵ ԲԻ: ՊՐՈՎԻՆՑԻ ՏԵ ՃԵՐԱՄՊԵՐԱԿՐԵ ՏԵԼԵՎԵ ԸՆԿԱՆ ԱՌԱՐԱՐ
Հ Յ Ն ԵՐԱՐ ԱՎԱ ՊԵՂԱ ԸՆԻ: ՏԵ ԱՐ ԱՎԱ ԽԵՎԱՐԱ: ՊՐԵՆԻ ԱՎԱՐԵՐԱ
ՄԵՐԱ ԱՍԱ ՃՐՈՒՐ ՊԵՂԱՐ ՏԵ ԽԵՎԱՆԴԻ: Ի ՊՐՎԵՆԻ: ՊՐՈՎԻՆՑԻ
ՕՐՎԱՆ ԵՐՎԱՆ ՊՐՎԵՆԻ ՊՐՎԵՆԻ
և մուշ ամս ու պատուանի
ամ Հ Յ ԱՎԱՐԱ, ՊԵՂԱ ԸՆԻ
ՊԵՂԱ ԵՇԱՆ մեր ամեն ՊԵՂԱ
ԽԵՎԱՆԴԻ: ԱՎՐԵՆ ՊՐՎ
ՊԵՂԱ ՃՐՈՒՐ ՊԵՂԱ ԽԵՎԱՆ
ԱՎՐԵՆ ԱՐՎԻ ԵՐՎԱՆ ԱՎՐԵՆ
ՊՐՎԵՆԻ ՊՐՎԵՆԻ ՊՐՎԵՆԻ:
ԱՎԱՐԵՆ Ի Ե ՏԵ ԽԵՎԱՆԴԻ
ԱՎԱՐԵՆ Ի Ե, ԱՎԱՐԵՆ ՏԵ ԱՎ
Ի Ե ՊԵՂԱՆ ԱՎՐԵՆ ԱՎԲ ԱՎԱՐԵՆ:
Ի Ե ՊԵՂԵ ԱՎԱՐԵՆ ՏԵ ԱՎ ԱՎ
ԱՎԲԻ: ԱՎ ԱՎԲԱՐԵՆ ԵՐՎԱՆ
Ի Ե ՊԵՂԵՆ ԵՎ ԱՎԲԱՐԵՆ ԵՐՎԱՆ
Ի Ե ՊԵՂԵՆ ԵՎ ԱՎԲԱՐԵՆ ԵՐՎԱՆ

Leucostoma *leucostoma* *Leucostoma* *leucostoma*




प्रद्युम्न एवं विद्युति विद्युति विद्युति विद्युति
प्रद्युम्न एवं विद्युति विद्युति विद्युति विद्युति
प्रद्युम्न एवं विद्युति विद्युति विद्युति विद्युति
प्रद्युम्न एवं विद्युति विद्युति विद्युति विद्युति

स्वल्पांशु विद्युति विद्युति विद्युति विद्युति
स्वल्पांशु विद्युति विद्युति विद्युति विद्युति
स्वल्पांशु विद्युति विद्युति विद्युति विद्युति
स्वल्पांशु विद्युति विद्युति विद्युति विद्युति

ՀԵՂՈՐԻ ՀՅԱՍՏԱԿ ՎԱՐԴԱԿ, Տէ
ՀՅԱՍՏԱԿ ՎԱՐԴԱԿ ԵՒՐՈՎԻ ԵՒՐՈՎԻ
ԵՐԱԿԻ, ԵՐԱՎՈՒ ԽԵՎԾԵՄ ՋԵԾ
ԽԵՎԾԵՄ ՊՐԵՎՈՎ ԵՐԱՎՈՒ ԵՐԱՎՈՎ

¶ የመስቀል ማኑ በኩሌ ...
አጭርግኝ የኩሮች ጥና ንብረት
ማንኛውም የሚገባበት የ





لِمَالِكِ الْمُعْتَدِلِ الْمُنْجَدِلِ الْمُنْجَدِلِ الْمُنْجَدِلِ



ମାତ୍ରା କିମ୍ବା ପରିମାଣ : ୩୫

噶瑪噶齊

藏文大藏经

Digitized by Google

卷之三

藏文大藏经

Digitized by srujanika@gmail.com

בג

କାନ୍ତିମାର୍ଗରେ
ପାଦପଦ୍ମଶବ୍ଦ ଅପରି
ହାତ କାନ୍ତିମାର୍ଗ
ଦେଶପରିପରି
କିମ୍ବା ପ୍ରକଟିତ ଏ
ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଫର୍ମିତ
ଏହାମାତ୍ରରେ କିମ୍ବା
ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିପରି
ପରିପରିପରିପରି
ପରିପରିପରିପରି
ପରିପରିପରିପରି
ପରିପରିପରିପରି
ପରିପରିପରିପରି

၁၂၁၃ မြန်မာ ဘုရား
၁၂၁၄ မြန်မာ ဘုရား

तुलिष्वामि यत्
देहात्
प्रभूति देह एवम्
देहात् एव यज्ञः
प्रभूति देह एव
देहात् एव यज्ञः

၁	၁၁	၁၂
၂	၁၃	၁၄
၃	၁၅	၁၆
၄	၁၇	၁၈
၅	၁၉	၁၀
၆	၁၁	၁၁
၇	၁၃	၁၃
၈	၁၅	၁၅
၉	၁၇	၁၇
၁၀	၁၉	၁၉
၁၁	၁၁	၁၁
၁၂	၁၃	၁၃
၁၃	၁၅	၁၅
၁၄	၁၇	၁၇
၁၅	၁၉	၁၉
၁၆	၁၁	၁၁
၁၇	၁၃	၁၃
၁၈	၁၅	၁၅
၁၉	၁၇	၁၇
၂၀	၁၉	၁၉
၂၁	၁၁	၁၁
၂၂	၁၃	၁၃
၂၃	၁၅	၁၅
၂၄	၁၇	၁၇
၂၅	၁၉	၁၉
၂၆	၁၁	၁၁
၂၇	၁၃	၁၃
၂၈	၁၅	၁၅
၂၉	၁၇	၁၇
၃၀	၁၉	၁၉

გაში, დღეს მიღებული საერთო წესის შესაბამისად, დასახელებულია კრებულში შეტანილი ყველა თხზულების სათაური და მოყვანილია ტექსტის დასაწყისი. ამათ ზოგვრ მოსდევს ქ. შარაშიძის საყურადღებო შენიშვნა-კომენტარებიც, მაგრამ გრამატიკული თხზულების შესახებ არც აღწერილობაში არის რამე თქმული. ის, რომ ქ. შარაშიძეს ეს ნაწარმოები შენიშვნელოვნად მიაჩნდა, ჩანს მხოლოდ ამით: აღწერილობაში დამოწმებული ფრაგმენტი ტექსტისა უფრო ვრცელია, ვიდრე სხვებისა: დაბეჭდილია ამ პატარა თხზულების ერთ მეხუთედამდე. მიუხედავად ამისა, „სიტყუად ართრონთათვს“ სპეციალისტებს დღემდე შეუმჩნეველი დარჩა, შესაძლოა მიმტომაც, რომ ტექსტის გამოქვეყნებულ მონაცემში აღმშერელს ართრონთა პარადიგმა არასრული სახით აქვს მოცემული — გამოტოვებულია ესათვის ფორმა. ამიტომ მთლიანი ნაწარმოების ხასიათი აღწერილობაში ნათლად არ ჩანს.

ამ სტრიქონების აეტორსაც პირველი ცნობა გრამატიკული ტრაქტატის შესახებ ისევ ქრისტინე შარაშიძემ მიაწოდა. მან „სიტყუად ართრონთათვს“ ხელნაწერში მაჩვენა და დასძინა: „გააცანით ბატონ აკავისაც (იგულისხმებოდა აკავი შანიძე. მ. შ.), ეს მისთვის საინტერესო იქნება“. დღეს მინდა მაღლობით გავიხსენო ქალბატონი ჩიტო, რომელმაც მისთვის ჩვეული თავმდაბლობითა და დაუშურებელობით მის მიერ მიკვლეული მნიშვნელოვანი თხზულება შესასწავლად სხვებს დაუტოვა.

„სიტყუად ართრონთათვს“ თავდაპირველად შესწავლილი იყო და გამოსაცემად მომზადებული (1977 წ.) სწორედ საფარული ნესხის მიხედვით. ეს ხელნაწერი (წინამდებარე გამოცემის—S) მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ მარტო მის მიხედვით ძნელი იყო ამ თხზულების ყოველმხრივი შესწავლა: გრამატიკული ტრაქტატის ტექსტი ამ ხელნაწერში საკმაოდ შერყვნილი სახით არის წარმოდგენილი (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ არის მსჯელობა). გარდა ამისა, ეს თხზულება თავისი შინაარსის მიხედვითაც განცალკევებულია ამავე ხელნაწერში შეტანილ სხვა ნაწარმოებთაგან; გადამ-

ლად, რაც ჩანს ე. თაყაიშვილის მიერ მითითებული გვერდების მიხედვით: „ლექსიკონს“ უკავია, მისი სიტყვით, ხელნაწერის მოლო გვერდები მოლიანად. ქ. შარაშიძის აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერში შეტანილია 55 სხვადასხვა თხზულება.

წერს არ დაუსახელებია ავტორი, არც მოუკია რამე დაწარებით მასალა თხზულების რაობის გასაღევნად. მეგვარ საკილხო წევრისას მაშინ იძულებული ვიყავით, დაგსჯერებოდით მხრილი და მოგად ცნობებს, რომლებიც თვითონ გრამატიკულ ტრაქტატში მოიქმედნება. ამ ნაწარმოების დასაწყისიდანვე აშკარა არის, სამარტინი მისი დაწერა განუზრიახავს ითანე ოქტოპირის რომელიც დაწერას თარგმნის დროს. მისი სათაური ნაშენები არ არის, ჩანს შეოლოფ, რომ ამ ნაწარმოებში თეოლოგიური დისპუტის ერთ-ერთი ინტერენტი ყოფილი მსჯელობა სამების წევრთა სახელებთან ართონის სხვადასხვავერად ხმარების შესახებ. ოქტოპირის თხზულების ბერძნულ ორაგინალში განსხვავებული მნიშვნელობით ნაბრძო ართონიანი და უართონონ ფორმების ქართულ თარგმანში ზუსტია ვაჭოცემა მთარგმნელს შეუძლებლად მიუჩნევია; ამიტომ „სიტყვად ართონთათვს“ მას საგანგებოდ დაუწერია, რომ ქართველი მკითხველი-სათვის გაეადვილებინა იმ აუგილის აზრის გაგება თარგმანში. ამიტომაც ვივარაუდეთ, რომ კრამატიკული ტრაქტატი თავდაპირველად შენიშვნის სახით უნდა ჰქონოდა დართული ოქტოპირისეული თხზე-ლების ქართულ ტექსტს.

ითანე ოქტოპირის ნაწარმოებთა იმ ქართულ თარგმანებში, რომლებზეც მაშინ მიგვიწვდებოდა ხელი, იმგვარი შინაარსის თხზულებას ვერ მივაკვლიერ, მაგრამ ამ ძიების დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ათონის ქართველთა მონასტრის წიგნსაცავში დაცულ ხელნაწერთა კატალოგმა, რომელიც 1836 წელს შეადგინა ილარიონ ბერმადა გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა³. ილარიონის კატალოგი ძალაშე მოკლეა და სქემატური, მაგრამ მან მანც საყურადღებო მასალა მოგვცა: ილარიონის სიაში დასახელებულია ერთი „სიძურელისაგან განრყუნილი ხელნაწერი“, რომელიც, მისი ცნობით, შეიცვდა ითანე ოქ-

³ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, Вып. I, 1889, СПб., прилож., I., გვ. 3. კატალოგის სათაურია: „ქართული წიგნების სახელები ცერიის მონასტერსა შანა მდგბარეთა მთაწმიდის“. ა. ცაგარელის ცნობით, ილარიონი ყოფილი იმერეთის უკანასკელი მეცის სოლომონ მეორის მოძღვარი, რომელიც სოლომონის სიკლილის შემდეგ 1815 წ. ათონს წასულა. მისი შედგენილი კატალოგი ა. ცაგარელს უნახავს დაით დადიანის წიგნსაცვეში და დაუბეჭდია. Сведения, I, გვ. XVI—XVII. ილარიონი ყოფილა გვარად ყანჩიშვილი. მისი მოღვაწეობის შესახებ ნახეთ: ლ. მენაბერ, ძველი ქართული მწერლობის კრები, II, თბ., 1980, გვ. 239.

როვირის თხზულებებს. ზოგიერთი მითვანის ხათაური აკტიურმა, და-
ასახელა კიდევაც. სათაურების ჩამოთვლისას მან ერთგან შენიშვნა,
რომ ამავე თავში ეფუთები მთაწმიდელი ამბობს: ბერძნებულს უნა
თილად მოუვალს ართონი და ქართულს ენაზე არ მოვალ. იმავა-
ონის სიის შედარებამ ა. ცაგარლისა და რ. ბლეიკის :ლწ-16 სამართლებულ
თან გვაფიქრებინა, რომ ათონელი ბერის მიერ დასახელებული უნდა
ნაწერი შეიძლებოდა ყოფილიყო ათონის ხელნაწერი № 6 რ. ბლეი-
კის კატალოგის მიხედვით (შესაბამისად № 85 ა. ცაგარლის აღწე-
რილობაში). ჩვენ მაშინ ვივარაუდეთ, რომ სწორედ ათ. № 6 ხელ-
ნაწერში უნდა გვქონდა ჩართული იოანე ოქროპირის ერთ-ერთი
თხზულების თარგმანში ილარიონის მიერ ეფუთები მთაწმიდლისეუ-
ლად მიჩნეული მსჯელობა ქართულში ართონის არასკობობას შე-
სახებ, და რომ ეს უნდა ყოფილიყო ის ორიგინალური გრამატიკული
ტრაქტატი, რომელიც ჩვენთვის S—312 ხელნაწერის მიხედვით იყო
ცნობილი. მაშინ ამ ვარაუდის შემოწმება შეცდლებელი იყო, რადგან
ათონურ ხელნაწერებზე ხელი არ შიგვიწვდებოდა; ჩ. ბლეიკისა და
ა. ცაგარლის აღწერილობებში ხელნაწერის შედგენილობა არ არის
ნაჩვენები, სხვაგან კი იოანე ოქროპირის ქართულ თარგმანებში ამ-
გვარიე სათაურის მქონე თხზულების ნუსხა არ დაიძება. შეოლოდ
1981 წლის გაზაფხულზე, როდესაც თბილისის უნივერსიტეტში მი-
იღო ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილ-
მები (გადაღებული გურამ პატარაიას თაოსნობით), მოვცეცა საშუა-
ლება, გაცნობდით ამ კოლექციას. ჩვენდა სასიხარულო, ვარიუ-
ლი გაგვიმართლდა: № 6 ხელნაწერში აღმოჩნდა არა მარტო გრამა-
ტიკული ტრაქტატის აღრეული, XII—XIII სს-ში გადაწერილი ტექ-
სტი, არამედ ოქროპირის სახელით ცნობილი ის ნაწარმოებიც, რომ-
ლის თარგმნაც გამხდარა გრამატიკული ნაშრომის დაწერის უშუალო
მიხევი. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს უკანასკნელი ოქროპირი-
სეული თხზულების თარგმანში იყო ჩართული. მირიგად, საშუალე-
ბა მოვცეცა ორივეს შესწავლისა და მათი ურთიერთმიმართების და-
დგენისა. გარდა ამისა, გაირკვა, რომ მთლიანი კრებული სხვა შერი-
ვაც საგულისხმო შესალს შეიცავს.

ცველა ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ძირითად ნუსხად წინამდე-
ბარე გამოცემაში მივიჩნიეთ სწორედ ათონური ხელნაწერი (A).

1. თონის ივერთა მონასტრის წიგნსაცავის № 6 ხელნაწერი (ჩვენი გამოცემის A) დღემდე დაწვრილებით არაეს შეცნულია. როგორც ზემოთ აღნიშნუთ, პირველი ცნობები მის შესტენულებულია ილარიონის კატალოგში, სადაც ნათქვამია (ცვლილი მატერიალურობის თოვრაფიის და პუნქტუაციის უცვლელად ვტოვებთ):

1. თქმული ითანე ოქროპირისა «სიტყვისა მისთვ», ვითარმედ: «ქრისტე ოღონსავალი ოღონსავალთამ» და ვითარმედ: «აღვიდა და შთავიდა» და «სულისათვს წმიდისა», ვითარმედ: «ყოვლისა მჰყრბელი არს»; და ამავე თავშიდ მეტყველებს წა ევთიშე მთარგმნელი. ვითარმედ: „ბერძნულს ენას კეთილად მოუვალს ართრონი და ქართულს ენაზედ არ მოვაო... 2. მისივე: «აკაკისათვს წმიდისა» და «მწყემსისა და ცხოვრისა» და «კრეტ-საბმელისათვს და სალინებელისა» 3. მისივე: უმლია (მომილია) და (I) ერთარსისა სამებისათვს. 4. უმლია (მომილია) სარწმუნოებისათვს. 5. შძივე იგავისა მისთვს «შეკრებულთა ტალანტთა თანამდებისა და ასისა დრაკნისა მიმხდელისა» და ვალ «ყოვლისა ცოდვისა ძვირის სხენება უძვირეს არს». ამ წიგნში და მოლოდეს ხუთი თავი აღმოკითხვად შესაძლებელ არს და სხუა სიძულისაგან განრყენილ არს¹.

ა. ცაგარელმა თავის აღწერილობაში ამ (№ 85) ხელნაწერს სულ თხხი სტრიქონი დაუთმო: მოგვცა ზოვიერთი ტექნიკური მონაცემი ხელნაწერის შესახებ, მიუთითა, რომ ხელნაწერი დაზიანებულია და თვ-ბოლო ნაკლული. ხელნაწერი ა. ცაგარელს XIV—XVI ს. ით დაუთარილებია. შედგენილობის შესახებ ნათქვამია მხოლოდ, რომ ხელნაწერში მოიპოვება ითანე ოქროპირის სწავლისი².

ბ. ბლეიკი ათონზე იყო 1931 წლის აგვისტოში და ხელნაწერებზე მუშაობდა ექვსი დღე³. მიუხედავად იმისა, რომ მას ასეთი მცირე დრო ჰქონდა, მისი კატალოგი ცაგარელისაზე ბევრად უფრო ვრცელია და დაწვრილებითი. მის მიერ შესწავლილ ხელნაწერთა უმეტე-

¹ А. Цагарели, Сведения, Вып. I, Прилож. I, გვ. 3.

² А. Цагарели, Сведения, I, გვ. 94.

³ Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, par Robert P. Blake, Extrait de la Revue de l'Orient chrétien, 3e Série, T. VIII (XXVIII), Nos 3 et 4 (1931-32), Paris, 1932, p. 1.

სობისათვის რ. ბლეიკი ტექნიკურ აღწერილობასთან ერთად ჩატარდა ცნობებს მასში შეტანილ თხზულებათა შესახებ და ხშირად მერყეობულ ძნულ დედნებსაც მიუთითებს (რ. ბლეიკი თვითონ წერს, რომ მათ უკავშიროს დამუშავებაში პ. პეცერისი დახმარებია). სამწუხაროდ, რ. ბლეიკის სწორედ № 6 ხელნაწერის საფუძვლიანი შესწავლა ვერ მოუხერხებია, აღმათ იმიტომ, რომ იგი ძალზე დაზიანებული და დაშლილი ყოფილა. ამ ხელნაწერის აღწერილობა სულ თხუთმეტიოდე სტრიქონია და რაც არის, უმეტესად ტექნიკური ფერალების გაზმოცემას წარმოადგენს.

რ. ბლეიკის აღწერილობაში ნითქვამია, რომ ხელნაწერისათვეს უხმარიათ ოდნავ გალესილი აღმოსავლები ქალალდა, რომელსაც დაჰყება ვერტიკალური ზოლები (ე. წ. „ვერტერები“). ასეთი ქალალდი ჩვეულებრივ ძველია, გავრცელებული იყო XII—XIII საუკუნეებში⁴. ხელნაწერის ზომები ყოფილა 370×255 მმ; ნაწერისა — 275×165 მმ. მიკროფილმზე არ გადაულიათ ყდა, რომელიც, რ. ბლეიკის სიტყვით, ფიცარზე გადაკრული სადა შავი ტყავისა ყოფილა. ხელნაწერის ტექსტი ნაწერი ყოფილა შავი, ხოლო სათაურები — მეტე წითელი ფერის მელნით (მიკროფილმი და მიკროფილმიდან დამზღვებული ფოტოები შავ-თეთრია და ფერთა სხვაობა მათზე თითქმის შეუმჩნეველია). ტექსტი ნაწერია ორ სვეტად, ნუსხურით, საზედაო ასოებად გამოყენებულია ასომთავრული ასოები (ნ. ფოტო № 2). თათოეულ სვეტში 33 სტრიქონია, გარდა იმ სვეტებისა, სადაც ტექსტი იწყება (აქ ადგილი უჭირავს თავსამჟალს) ან სადაც მთავრდება. ხელნაწერის შედგენილობა რ. ბლეიკის აღწერილობაში არ მოუკია; იგი წერს მხოლოდ, რომ ათ. № 6 შეიცავს მონაკვეთებს (extraits) ითანე ოქროპირის თხზულებებიდან. ასეთი ნაწყვეტები, მისი სათვალავით, 35 ყოფილა. რ. ბლეიკი წერს: „ტექსტი იმ ზომაზეა დაზიანებული, რომ შეუძლებელია ცალკეული ნაწილების მოცულობის დადგენა“⁵.

მიკროფილმი გვიჩვენებს, რომ ხელნაწერი უარეს დაკვირვებულობათა მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა. ამის მთავარი მი-

⁴ V. Gardthausen, Griechische Palaeographie, Leipzig, 1879, S. 49.
Н. Т. Лихачев, Палеографическое значение бумажных водяных знаков, I, СПб., 1899, XI.

⁵ R. Blake, Catalogue, p. 26.

ზეზი ის არის, რომ მელანს, რომლითაც ტექსტი არის ნაშერი. მაღალდი დაუწვევს. მელანს ისე ძმოგვამიია ხელნაწერის დიდი ნაწილი, რომ მრავალი ფურცელი სულ დაშლილი და ნაფლექტების ჩეცეცება (ნ. ფოტო 8). სწორედ ამის გამოა, ალბათ, რომ ჰელნაწერის მას სევარიღა არის დარჩენილი და რაც არის, ისიც ძალის დასიანებული, განსაკუთრებით დასწყისში, სადაც ფურცელის გარეთა კიდის მხარეს ნაწერი. სევტის ტექსტი ზოგჯერ მთლიანად ჩაშლილია; დარჩენილია მხოლოდ შიდა, ყუისმხრივი სევტის ნაწილები. ქაღალდის ძმოგვა და დაშლა ზელნის დაუანგვის გამო ჩეცელებრივ გახვდება გვიანდელი პერიოდის (XVII—XVIII სს.) ქართულ ხელნაწერებში, რომლებიც ე. წ. „რუსული მელნით“ არის ნაწერი, მაგრამ ასეთი რამ აღრეც შეიძლებოდა მომხდარიყო. მელანი, რომლის შემაღებელობაში შედიოდა გოგირდმეგა რენა, ანუ არგასპი, საშუალო საუკუნეებში ხშირად აზიანებს ბერძნულ ხელნაწერებს. იგი ფურცელის მეორე მხარეზე გადის და ეტრატსაც კი შლის. ცნობილია ასეთი მელნის რეცეპტებიც⁶. სავარაუდებელია, რომ ხელნაწერისათვის ნახმარი იყო სწორედ გოგირდმეგა არგასპის შემცველი მელანი. ამ ვარაუსს ისიც უჭირს მხარს, რომ ჩ. ბლეიკის ლწერილობის მიხედვით ტექსტი შევი ფერის მელნით არის ნაწერი. უნდა შეინიშნოს, რომ შავი მელნის ხმარება ძველ ხელნაწერებში საქმიან ხშირ მოვლენას წარმოადგენს: მაგალითებად შეიძლება დავისახელოთ ისევ ათონის კოლექ-

⁶ V. Gardthausen, Griechische Palaeographie, S. 78. მძიმე ლითონთა სულფატები, რომელთა საერთო სახელწოდებაა არგასპი ან არგასპი (შდრ. სომხ. արշაպ), საქართველოში საქმიან ხმარებაში ყოფილა მოვეიანებითაც. რენას არგასპი უკენებონენ სხევადასხევა საჭიროებისათვის, მათ შორის, როგორც ჩანს, შეკველნის გასაკეთებლადაც. საბას ლექსიკონში ასეთი განმარტება არის: „არგასპი სომხურია, ქართულად მიწალები ჰქვიან, შავის სალებავია“. (სულხან-შავი რენა არგასპი, თხ. IV, თბ., 1965). ვახტანგ შეკეცი სახილებს არგასპის სხევადასხევა სახეობას (წიგნი ზეთების შემზადებისა და ქიმიისა ქმნისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენ ექიმებ და ვ. კოკოჩაშვილ მა, თბ., 1981, გვ. 164); იგი აგრეთვე აღნშავს, რომ არგასპი იხმარება ქაღალდის შესაღებად და წერს: „არგასპი თუ ბევრი გარე, დაწვეუს ქაღალდს“ (გვ. 185). აյ. საფურცებელია, ივარაუდება ე. წ. „მწერე შაბა“, ე. ა. რენას ქვევანგის სულფატი — $(\text{FeSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O})$, ნ. სს. თხ. გვ. 23). ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ნათქევია: „არგასპი — მიწალები, მოწუანო შავის სალებავი, ხმარებული ტყავთათვას მეტრატავთაგან ანუ მელნისათვს, კუპირი“ (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961).

ციის ხელნაწერები: № 9 (ცეტემ ასურისა და იოანე იქარისტიანი
პომილიათა კრებული, გადაწერილი ოშეში 977 წ.); № 3 (ვაგრენგრაფი
ფილი კრებული, გადაწერილი ოშეში 958 წ. იოანე ჩაივალებული;
№ 68 (მაქსიმე აღმსაჩებელის თხზულებათა კრებული, X—XI ს.);
№ 75 (ოთხთავი, XII—XIII სს.). შეიძლო მელნით არის იგრეთვე ნა-
წერი S—1276 ხელნაწერში ეფრემ მცირის დატოვრაფი (მის შესხებ
6. ქვემოთ). მაშესადამ, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ
ადრეულ ხელნაწერშიც მელნით დამწვარი ტექსტი გვეონდეს, მით
უშერეს, თუ სავარაუდებელია მისი შექმნა იქ, სადაც ხელნაწერის
შესრულების პერძნული ტექნიკა არის დასაშეგები.

ა. ცაგარლისა და ბ. ბლეიკის ალწერილობათა მიხედვით, ხელნა-
წერში 167 ფურცელია. მიკროფილმის პირველ კადრაზ გადაღებული
გვერდი, რომელზეც ა. ცაგარლის (?) ხელით წერია ნომერი (85),
ყვის საცავი ფურცლის ნაშილი უნდა იყოს. პირველი ცხრა ფურცე-
ლი, როცორც აღვნიშვნეთ, ძალშე არის დაზიანებული; დარჩენილია
მხოლოდ ნითები, რომელთა მიხედვით ფურცელთა თანმიმდევ-
რობის დადგენა ჭირს. ერთ-ერთი მათგანი ის რვეულის ბოლო ფურ-
ცელია. ხელნაწერს პაგინაცია არა აქვს, მაგრამ შემდგომ ნაწილში
მიკროფილმზე რვეულობრივი სათვალიავი კარგად ჩანს; იგი გატარე-
ბულია ჩეკულებრივი წესით: რვეულის დასაწყისი ნაჩერებია ზე-
და, ბოლო კი — ქვედა აშიაზე ტექსტის ხელით, ნუსხურით, რომელ-
შიც აქა-იქ მთავრულიც ურევია. რვეულებში რვა-რვა ფურცელია.
ამჟამად შემორჩენილია ის — ლრუ რვეულები. უკანასკნელი (ლრუ)
რვეულის შემდეგ კიდევ არის რვა ფურცელი, რომლებზეც სათვალია-
ვი არ ჩანს. კიდევ ერთი ფურცელი ბოლოში თავდაპირველიდ დაუ-
წერებული ყოფილა; მასზე არის სხვადასხვა მინაწერი. ამრიგად, ამჟამად
ხელნაწერში სულ 170 ფ. უნდა იყოს. ხელნაწერს თავში დაპკლებია
დაახლოებით 135 ფურცელი. დარჩენილ ნაწილში, რვეულობრივი სა-
თვალიასა და თხზულებათა სათაურებთან ნაჩერები ნუმერაციის
მიხედვით, ფურცელთა თანმიმდევრობა სწორი ჩანს. წინამდებარე
ნაშრომში მითითებული პაგინაცია ჩეკნ მიერ არის შესრულებული
ფოტოპირს მოჩედვით.

ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც თავდაპირველი
შეტანილი ყოფილი ოცდაცამეტი სხვადასხვა თხზულება (იქნებ მე-
ტიციც: ხელნაწერი შეიძლება ბოლონაკლული იყოს), ამას მოწმობს სა-
თაურებთან გარეთა აშიაზე ან სვეტებს შუა დასმული ასოები,

რომლებიც ნაწარმოებთა რიგით სათვალავს გვიჩვენებს კურტულმანიზმის—
აზ—ლებ. ამჟამად პირებელი, ხოლო ქრებულის შედგენისას მეჩეთი
მეტე თხზულება იწყება ით რვეულის პირველი ფურცლების უკანა
მხარეს. მას წინ მიუძღვის, სავარაუდებელია, წინამავის—თავის გულში
ცალკეული ფრაგმენტები. ამრიგად, დღეს ქრებულში შენახულია
(მეტ-ნაკლები სისრულით) ჩვიდმეტი ნაწარმოები.

ქრებულის შედგენილობა, საერთო შინაარსი, ავტოვე გრამატიკა-
კული ტრაქტატის იდგილი ხელნაწერში და სხვა განხილულია შემდეგ.

ყოველი თხზულების ტექსტი ახალი სეტით იწყება. სათაურის წინ
მიუძღვის თავსამკაული. ეს არის სწორკუთხედი ჩარჩო, რომლის
ფონზე უმეტესად გამოყვანილია წრები (ორიდან ხუთამდე), დაკავ-
შირებული ერთმანეთთან სტილიზებული ყვავილოვან-ფოთლოვანი
ორნამენტით. ამჟამად შემორჩენილ ჩვიდმეტ თავსამკაულთაგან ყვე-
ლა ასეთია, პირველის გარდა, სადაც ორნამენტი სხვა ხსინათისა—
ერთმანეთში შესული სამკუთხედები. ფორტოს მიხედვით, მისი შეს-
რულების ტექნიკაც განსხვავდება სხვებისაგან. თავსამკაულს მართ-
კუთხედების ჩარჩოდ შემოვლებული აქვს ხაზი, რომელიც კუთხე-
ებში მარყეს ქმნის. თავსამკაულების ფერები მიეროფილმენ არ
ირჩევა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი შესრულებულია ერთ-
ფერი შელით, ალბათ, იმ მუქი წითლით, რომლითაც გამოყვანილი
ყოფილა სათაურები და სათაურის დასაწყისი სიტყვების პირველი
დიდი მთავრული ასო. როგორც ჩანს, ქაღალდის ფერი თავსამკაუ-
ლის ფერადოვანი გამის კომპონენტს წარმოადგენს. გრაფიკულად
თავსამკაულები ფაქტია და საკმაოდ ოსტატურად არის შესრულე-
ბული (ნ. ფოტო 5). ეს ტიპი თავსამკაულებისა საკმაოდ არის გავრ-
ცელებული XI ს. შემდეგ?

ხელნაწერს ამჟამად არა აქვს გადამწერის ანდერბი, რომელიც
თავის დროზე უთუოდ დართული ექნებოდა ბოლოში. ამიტომ უშუა-
ლო ცნობები გადამწერის ვინაობისა, გადამწერის თარიღისა და აფ-
გილის შესახებ, რომლებსაც ჩვეულებრივ გვაწვდის ხოლმე „ულირ-
სისა და გლახაეფის“ გადამწერის ბოლოსიტყვაობა, არ მოვავეპოვება.
ამიტომ ხელნაწერის გადამწერის სავარაუდო თარიღი, რომლის ცოდ-
ნა, გრამატიკული ტრაქტატის ავტორის ვინაობისა და თხზულების

⁷ Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописи-
ной книги IX—XI в. I, Тб., 1967, გვ. 101.

დაწერის დროის დასაღვენად მეტად მნიშვნელოვანია, სხვა ნიშნების
მიხედვით უნდა გაირკვეს.

ხელნაწერის ბოლო (170-ე) ფურცელზე არის რამდენიმე ზონა:

რიც; „სლ-სა ამისა შემკაზმელსა ჭუჭაშვილსა მქ-ლს შ-ნ ღ-ნ.
გ-მასა მისსა აზარიასა და მისსა (!) მეუღლესა მარ-გლ-ტ-ს
უ-ნ ღ-ნ ა-ნ“ (ნ. ფოტო 6). ამავე ფურცელზე არის კიდევ მინა-
წერი, რომლის ხელი წინასას წააგავს: „ს-ლ-სა ხულ-ურის ძესა
დ მოძ-ლრსა დ ე ვ ნ უ ს ე ს შ-ნ ღ-ნ. ს-ლ-სა ყ ა ნ დ უ რ ლ ს ა შ-ნ
ღ-ნ“. მინაწერები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც განსაზღვრავენ
ხელნაწერის შექმნის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, შესრულებულია
XIII—XIV სს. ნუსხურით. სავარაუდებელია, რომ ხელნაწერი მოგ-
ვიანებით აუკინძავთ, მით უმეტეს, რომ მიქაელ ჭუჭაშვილს სხვა იდ-
რეული ათონური ხელნაწერებიც აუკინძავს: № 21 (1030 წლისა) და
№ 41 (XI ს.). ამავე ხელნაწერთა მინაწერებში აგრეთვე ნახსენები
არიან მოძღვარი დევნუსე და ყანდურალი (ეს ცნობები მომაწოდა ხელ-
ნაწერთა ისტ. თანამშრომელმა ნ. ჩხილვაძემ). № 21 ხელნაწერის მი-
ნაწერი (მცდარი ფორმით) დამოწმებული აქვს აღწერილობაში
რ. ბლეიქსაც).

უფრო გვიანდელი ხელით: „იოვანე ოქროპირისა მაჟლო, შეიწყა-
ლე გ ე რ მ ა ნ ე და მისსა მეუღლესა გ უ ლ მ ა ი ს შ ე ღ ღ მ ნ . ი ო ვ ა ნ ე
ოქროპირისა მადლო ერთი ძე ულოცხლე ამინ“.

ორი მხედრული მინაწერი XIX საუკუნისაა. ერთი მათგანი სწო-
რედ იმ ილარიონ ბერისა არის, რომელსაც ათონის კატალოგი შეუდ-
გენია: „წმინდაო იოანე ოქროპირი, შემეწევ და მეოს მეყავ მე ცო-
დვილს ილარიონ ს ბერსა“. მსგავსი მინაწერები სხვა ათონურ ხელ-
ნაწერებზეც არის.

ქვევა 1823 წ. შესრულებული მინაწერი: „ქ. წმინდაო ღმერთო,
წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო, ქ. ი-უ ქრისტე, შეიწყალე ფ დ
ცოდვილი და გლახავი ვ ე ნ ე დ ი კ ტ ი ნ , ა ნ წ ე ლ თ ა ჩ კ ა გ“ (მისივე
მინაწერი წინა ფურცელზეც არის).

სხვა მინაწერები ხელნაწერში არ არის; აქ-იქ აშიებზე ტექსტის
ხელით არის შეტანილი რამდენიმე შენიშვნა „შეისწავე“ (ნ. ფოტო
7,8), რომელთაგან ზოგიერთის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ხელნაწერის დათარიღება ა. ცაგარლისა და რ. ბლეიქის აღწერილო-
ბებში სხვადასხვაგვარია: ა. ცაგარელი, რომელიც ტექსტის ნუსხურს

„ლამაზსა და გარევეულს“ უწოდებს, მიუთითებს, რომ ხელნაწერი XIV—XVI სს-ში არის გადაწერილი. ჩ. ბლეიკის მიხედვით ეს ნაწერია „ერთგვაროვანი, სწორი, მომრგვალებული, ყოველი მიმღებაში ნუსხურით. ხელნაწერის გადაწერის სავარაუდო დროდ ჩ. ბლეიკი XVII ს. მიუჩინებია⁸, მაგრამ ხელნაწერის პილოტურაფიცულ და ორთოგრაფიულ თავისებურებებზე დაკვირვების შემდეგ ორივე ფეტორის დათარიღება საცილობლად უნდა იქნეს მიჩნეული. ა. ცაგარლი-სული მეტისმეტად ზოგადია, ჩ. ბლეიკისა კი იმდენად მოულოდნელია, რომ ჩნდება ეჭვი — ხომ არ არის წიგნში ბეჭდვითი შეცდომა?

ხელნაწერის მეუძღვად შემორჩენილი ტექსტი ერთი კაცის ნაწერი ჩანს. გადამწერი თავისი საქმის ოსტატი ყოფილა: ნაწერი გამართულია ზა ლამაზი.

ნუსხური ასოები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მკერთად გამოხატულ კუთხოვანებას. ეს კარგად ჩანს თ, ლ, ნ ასოების დაწერილობაში. ის გრაფემები, ან მათი ნაწილები, რომლებიც ოთხაზოვანი სისტემის შეა ორ ხაზს შორის არის მოქცეული, ამ ფარგლებს არ სცილდება. ამავე დროს, ასოებს X—XI სს. ნუსხურისათვის დამხმასითებელი მშრალი გეომეტრიული კონტურები აღარ აქვთ, ნაწერი დაკორეტი-ული ხასიათისა არის. საპირისპირო მიმართულების ხაზთა გელაკვე-თით შექმნილი დაკბილული კუთხეები აქცენტირებულია, გასწერი-ვი ხაზები მეცირად აღარ მისდევს პორტიზონტალურ ლერძს და მასთან მიმართებათ კუთხეს ქმნის (ი. ე). ერთიანი ასწერივი ღერძების ქვე-და ნაწილი (ე. ვ, ფ, კ, ც) მარჯვნივ არის მობრუნებული და გადა-ხრის კუთხე შერბილებულია. მ, ჰ ასოების ზედა ნაწილი ჩანაწერი-ლია.

ხელნაწერში გვხვდება მთავრული ასოები, რომლებიც ტექსტის გარევეული მონაცემთების დასაწყისში ზის. საზედაო ასოები (რო-მელთა ფერი მიეროფილმის მიხედვით გაურკვეველია) მთლიანად მოთავსებულია იმ ვერტიკალური ხაზის გარეთ, რომელსაც ნაწერი სკეტის საზღვარი ქმნის. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთ ასოთა ნაწილები შედის ტექსტში (გ, ს ასოთა ქვედა ნაწილი, ა-ს რეა-ლის ბოლო), მაგრამ ისე, რომ სტრიქონთა წყობა ან სულ არ ირლევ-ება, ან ძალზე მცირდედ იცვლება. საზედაო ასოებს დეკორი არა აქვთ, ზომით კი საქმაოდ დიდია; ვერტიკალური ხაზების მქონე ასოება

⁸ А. Цагарели, Сведения, вып. I, 94; R. Blake, Catalogue, p. 26.

(ე, გ, ბ, ი და სხვ.) საგრძნობლად ჩამოატარებულია (2—5 სტეპენის ზომაზე). ტექსტში გვხვდება მარტივი ლიგატურები, რომელმაც ასოთა თანმიმდევრობა სიტყვისას ეთანხმება: იფ(იყო)მარტი(ტექსტ), ამ(იხილე), ის(ისმინდ), გნ(გნკვრვებად) და სხვ. საკმაოდ პიშტოსი მარტივის ერთმანეთში ჩასმა, განსაკუთრებით მიშინ, როცა მრგვალი მოხაზულობის ასოებია დაწერილი (ა, დ, ო): ად, აწ, აღ (აღმოიყიობე), ამ (ამისთვე) და სხვ. ამრიგად, საზედაო ასოები დამოუკიდებლად აღიქმება; ისინი გამიჯნულია ტექსტის ელემენტებისაგან, რაც საზოგადოდ იურეული პერიოდის ხელნაწერებისთვის არის დამახასიათებელი⁹.

მთავრული ასოები (განსაკუთრებული ა, დ, მ, ნ,) თავისი გრაფიკული მოხაზულობით XII—XIII ს. ხელნაწერის მთავრულებს ემსგავსება. საზოგადოდ, A ხელნაწერის დაწერილობა—როგორც ნუსხური, ისე მთავრული — ტიპობრივ შეგასებას იჩენ XIII ს. ძეგლებთან¹⁰. იმიტომ შეიძლება ვივარიალოთ, რომ იგი გადაწერილია XII ს. ბოლოს ან XIII ს. დამდეგს. ამ მოსახრებას მხერს უჭერს აგრეთვე დაკვირვება იმ სპეციალურ ნიშნებზე, რომლებიც ხელნაწერში გვხვდება.

ხელნაწერში პუნქტუაციის ნიშნებად გამოყენებულია წერტილი, ორწერტილი, სამწერტილი და ექვსწერტილი, ნაბნერია მძიმეც. კითხვით წინადაღებებში გვხვდება მძიმის შეგაცი ნიშანი, რომელიც თავზე დაესმის სიტყვას. პუნქტუაციის ნიშნები გასდევს მთელ ტექსტს (ნ. ცოტო 1,4). ოლონდ, როგორც მოსალოდნელი იყო, მათი ხმარება ყოველთვის თანმიმდევრული და თანამედროვე თვალსაზრისით მისაღები არ არის. მაგალითად; „ამათ მამალთა და დედალთა და შუათა სახელთაგან, არა თითოეულსა სახელსა სამნივე და სამთაგანვე სახელისდებათა ეწოდებიან, ირამედ ყოველთა სახელთა შორის, გინა თუ მამალი: ეწოდების სახელი: გინა თუ დედალი: გინა თუ შუათ, და თვისისა სახელისა ქუს განკუთხნილება:“ 21).

⁹ ე. მაკავარიანი, ასომთაერული დაწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V—XIII ს.), მრავალთავი, ტ. II, თბ., 1973, გვ. 240.

¹⁰ მდრ.: ე. მაკავარიანი, ქართული დამწერლობის განვითარების ტაბულა, პალეოგრაფიული ძეგლები, II, თბ., 1969, გვ. 116; ილ. აბულ აბე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული აღმომა, თბ., 1972, ტაბ. 109—113.

¹¹ გრამატიკული ტრაქტატისა და ითან იქმნიანის სახელით ცნობილი თხისულების ტექსტი წინამდებარე გამოცემაში ჩეკე მიერ დაყოფილია პარაგრაფებად

პუნქტუაციის სისტემა, რომელშიც წერტილთა სხვადასხვა რიგ-
 დენობა არის გამოყენებული სასვენ ნიშნებად, შექმნილია წულურ
 ცნობილია, ეფრემ მცირის მიერ. იგი თვითონ წერს, რომ „შემზრდებუ-
 რია „ერთი წერტილი უკუ მცირედ სასულნედ, ორ წერტილი გასა-
 კულთოლად სიტყვასა (ე. ი. წინადადებისა, მ. შ.) და სამ წერტილი დი-
 დად სასუენად და ექს წერტილი სრულად დასაბოლოებელად და
 ახლად დასაწყებელად სიტყვასა“¹². ეფრემის წინასიტყვაობა, საი-
 დანაც მოღებულია ეს სიტყვები, შენახულია XI ს. II ნახევრის
 ხელნაწერ კრებულში (A—24). მასში შემავალ თხზულებათა მთარგმ-
 ნელიც ეფრემია და სრულიად ბუნებრივია, რომ პუნქტუაციაც იმ
 ხელნაწერში ეფრემისეულია. შეიძლება კიდევ დავასახელოთ ხელნაწ.
 S—1276 (XI ს.), რომლის ცალკეული ნაწილები თვით ეფრემის აკ-
 ტოგრაფად არის მიჩნეული¹³. ასეთივე პუნქტუაცია არის Q—37
 ხელნაწერში — ეფრემ მცირის შედეგენილ ფსალმუნთა თარგმანებაში,
 რომელიც გადაწერილია 1091 წელს ითანე მთავარავსის მიერ თვით
 ეფრემისათვის განკუთვნილი დედნიდან. ამ ხელნაწერში ეფრემისეუ-
 ლი პუნქტუაცია არის გატარებული; ამასთან ერთად გადამწერი ინ-
ტექსტობრივი თანხვედრა ით ჰომილიის დასაწყისთან აქ არ გვაქვს. კრებულის დანარჩენი მასალები, როგორც ენახეთ, გვიჩვენებს, რომ მთარგმნელი ცდილობს სიტყვა-სიტყეთ ვადმოსცეს ბერძნული ორიგინალი. ამიტომ ამ ჰომილიისთვისაც საძიებელია ჩამოსახული დედანი, რომელიც ვასთან არა მარტო თემატიკურს არ შენარჩული ბლივ მსგავსებას ავლენს, არამედ უშუალოდ ტექსტობრივადაც შეესაბამება მას. შესაძლოა და მოსალოდნელიც არის, რომ ბერძნული დედანი ფსევდოქროზოსტომული თხზულება იყო. ითანე ოქროპირის სახელით ცნობილია სხვადასხვა ხასიათის შრავალი ლიტერატურული ნაშრომი, მათგან გამოქვეყნებულია სამასი, ხოლო ექვსასახდე ჯერ კიდევ მხოლოდ ხელნაწერის სახით არის შემონახული²³. ოქროპირისად მიჩნეული თხზულებები ხშირად წარმოადგენს კოვილაციას სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის თვით მისი ორიგინალური შრომებიდანაც.

მეცხრამეტე ჰომილიის დედნის ძიებისას უთუოდ უნდა საგანგებოდ მიექცეს ყურადღება ხელნაწერებს იმ მწიგნობრული კერძობიდან, რომლებთანაც შესაძლოა ყოფილიყო დაყავშირებული კრებულის მთარგმნელის მოღვაწეობა (აქ იგულისხმება პირელ რიგი კულტურული კავშირები და ტრადიციები). მართალია, ბევრი რამ, რაც აქ მოიპოვებოდა XI — XII საუკუნეებში, დღეს დაყარგულია, მაგრამ, მეორე მხრივ, უკანასკნელ ხანებში საგანგებო კვლევის შედეგად უკვე აღწერილ ხელნაწერებში მრავალი საგულისხმო მასალა გამოჩნდა. ჩვენთვის ამ მხრივ საინტერესოა ერთი ათონური ბერძნული ხელნაწერი (Athos Pantocrator 1, XI საუკუნისა), რომლის შედგენილობა ლამბროსის ცნობილ კატალოგში ნაჩვენები არ არის; იმ ნაშრომის შიხედვით კი, სადაც ხელნაწერის შედგენილობა საგანგებოდ არის შესწავლილი, ჩანს, რომ მასში შეტანილი იცდარვა ჰომილიიდან შვიდი ათონური კრებულისას შეესაბამება: № 1: კ-გ, № 4: კ-გ, № 7: კ-გ, № 8: კ-გ, № 9: ლ-გ, № 10: ლ-გ²⁴, № 15: კ-გ²⁴.

შეიძლება კიდევ მივუთითოთ როგორც მაგალითი, ათონური ბერძნული ხელნაწერი Athos Panteleieimon 58, რომელშიც რამდენიმე

²³ I. Quasten, Initiation..., p. 658.

²⁴ M. Aubineau, Textes de Jean Chrysostome... p. 26-27.

გამოუქვეყნებელი თხზულება ოღმოჩინდა³⁵. სამწუბაროდ, სამართლებრივი მუნიციპალიტეტი მომიღების უშუალო დედნის მოძიება მომავლის საქმედ რჩება.

„სიტყუად ართრონთათვს“ ათონურ ხელნაწერში³⁶ ჩაითვალისა, რომ პატიოლის მეორე ნაწილში, რომელიც სულიშმიდას შეეხება. ეს ნაწილი (ჩვენი გამოცემის 25-ე პარაგრაფიდან) შინაარსობლივად გამოყოფილია პირველისაგან; მისი დასაწყისიც აშკარად მოწმობს, რომ მსჯელობა ახალ საკითხს ეხება: „ხოლო³⁷ ვინავთვან ძმათა ვიეთმე მოსწრაფეთაგანთა სულისა წმიდისათვს ითხოეს სიტყუად სურვილითა ვიდრემე სათოვთა აღძრულთა, ხოლო სულითა წმიდითა განმტკიცებად მნებებელთა, აწ უკუე საჭირო არს და წყნარებით ძალისაებრ ჩუენისა... ფრთოან ქმნითა გონებისა და ენისა ჩუენისათა თქუმად...“. ამ ნაწილში გვხვდება მწვავე პოლემიკური პასუხები, მიმართული მწვალებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ებრძვიან მართლმადიდებლურ ქრისტიანულ დოგმატებს მამა ღმერთისა, ძისა და სულიშმიდის თანასწორობის შესახებ. სწორედ აქ არის მსჯელობა სამების წევრთა სახელების ართრონიანად და უართონოდ ხმარების შესახებ საღმრთო წერილში, რადგანაც ხსენებულ სიტყვათა განსხვავებული გრამატიკული ფორმით ხმარება მწვალებლებს სამების წევრთა უთანასწორობის ნიშნად აქვთ მიჩნეული:

„განმცდელობენ მწვალებელთა შეილნი განყოფილებისაგან სახელთახასა შექმნად არსებისაცა განყოფილებისა, ვითარ-იგი იტყვან, ვითარედ: „არა საგონებელ არს ღმერთი უფლად, არამედ სხუსა ეიღრემე ღირსებასა აჩუენებს „ღმერთი“, ხოლო სხუსა ღირსებასა საცნურ ჰყოფს „უფალი“. ესრეთ მრავლად უქუენაესად აჩუენებსო

³⁵ M. Aubineau, Un nouveau "Panegyricon Chrysostomien" pour les fêtes liturgiques de l'année liturgique. Athos Panteleimon 58. Analecta Bollandiana, t. 92, fasc. 1-2, 1974, pp. 83,93.

³⁶ მაგალითად, ლიტერატურა რომელიც ნაჩენებია M. Aubineau-ს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში: Textes de Jean Chrysostome, გვ. 29, შენ. 22 და სხვა.

³⁷ ეს სიტყვა სტრიქონის შუაში წერია, მაგრამ დაწერილობაში მაინც ჩამოსის რომ აქ ახალი ნაწილი იწყება: ხ ასო მთავრულით არის გამოყვანილი.

დესა", — იტყვან, — „ამიერ... ძესა უფლად თქუმითა, ხოლო მამასა ღმრთად. რადა ესრეთ პფილოსოფისობ. შენ უფრომსდა ამთოდ ჰგრძნობ... ამას ვიტყვათ არა ულონონი ჩუენებად, ვითარმედ და შხოლოდ-შობილიცა ღმრთად იწოდების. რამეთუ პავლესი არს ჭმაველი მოძღვრებაა: ქრისტე კორცოაბრ, რომელი არს უკველოზე წეფე ღმერთი¹... პავლე უკუეთუ ვიდრემე ღმრთად ქადაგებს მას, ხოლო დავით იტყვა: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისამთა ღმერთი უფალი და გამოგვჩნდა ჩუენ². ეგრეთვე და მახარებელიცა: დასაბამსა იყო სიტყუად და სიტყუად იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუად³. გარნა იხილე, თუ რად პო მწვალებელთა სიბოროტემან. რამეთუ იტყვან, ვითარმედ: „თეოს“ ვიდრემე წერილ არს, რომელ არს „ღმერთი“, უართრონოდ, ხოლო „ო თეოს“ არა წერილ არსო, რომელ არს ღმერთი ართრონიანი. იხილე წულილმოქმედებად სიბოროტისად, ვითარმედ „რავამს მამისა-თვს წერილი იტყოდისო“, — იტყვან, „ართრონსა დაუდებს მე-ტყუელი, ვითარმედ: „ო თეოს,“ და არა ესრეთ იტყვას, ვითარმედ „თეოს“; და ვითარმედ „ო თეოს“ დიდი, „ო საუკუნე“, „ო შემოქ-შეღი“ ცისა და ჭუეყანისაა... წყვილისა მოძღვრებისაებრ. ხოლო ძესა თვნიერ ართრონიანისა სიტყვასა წერილი, რათა გასწაოს განყოფილებაა, რამეთუ ართრონისა ვიდრემე მქონებელსა უფ-ლებადცა უმეტესი აქცესო, ხოლო არ-მქონებელსა ართრონისა უდარესი აქცეს ღირსებად“.

კანონნი ესე სადაც მიგიქუმან, მ ამაოო მწვალებელო და არა-ღმრთისმეტყუელო, პავლესაგანა გინა სხვა ვისგანმე? და პპოვეა განცხალებული მოძღვრებაა, ვითარმედ ართრონისა ქონებაა უდიდესად აჩუენებს ღმერთსა? რამეთუ მე ვიდრემე ამას არა კპო-ვებ, ხოლო ვპპოვებ ნაცვალსაკუეთებელსა საცთურისა შენისასა მა-ხელსა, რამეთუ არა ულონო ვარ ჩუენებად, — ვინავთვან ართრო-ნისაგან პფილოსოფოსობ და არა ჭეშმარიტებისა, — არა უღო-ნო ვარ ჩუენებად ძისაცა ართრონიანიდ ქადაგებულისა“ 31—35.

ამის შემდეგ ავტორი თავისი აზრის დასამტკიცებლად სახარები-დან იმოწმებს რამდენიმე მაგალითს (მ. 1,23; ი. 20, 25;) და საგანგე-

^{1*} რომ. 9,5; ^{2*} ფს. 117, 26-27; ^{3*} ი. 1,1.

ბოდ უპირისპირებს ერთმანეთს მათი ტექსტის მიხედვით სიტუაცია
ართრონიან და უართრონო ფორმებს ბერძნელში.

ამ ადგილების თარგმნისას დასჭირებია ქართველ მთარგველს
ქართულ ტექსტში განსხვავების ჩენენება ბერძნულ ეზოფრინიზმ და
უართრონო ფორმათა შორის და „სიტყუად ართრონულუს“ სწორებ
ამ პასაკების უკეთ გასაგებად არის დაწერილი. ოთონურ ხელნაწერ-
ში ამ თხზულებას სათაური არა აქვს (სათაური „სიტყუად ართრონ-
თათვს“ მოცემულია მხოლოდ S ხელნაწერში); გრამატიკული
ტრაქტატი წარმოდგენილია, როგორც შენიშვნა „თეოს“ სიტყვი-
სათვის, რომელიც ჩვენს გამოცემაში ვარსკელავით არის აღნიშ-
ნული; ხელნაწერში კი (იხ. ფოტო 1) მას და გრამატიკული
ტრაქტატის პირველ სიტყვას („შეისწავე...“) თავზე ერთნაირი ნი-
შნები აქვთ — პატარა წრეები. ეს არის ერთ-ერთი იმ ნიშანთაგან,
რომელიც ხელნაწერში საზოგადოდ იხმარება მაშინ, როდესაც ამა-
თუ იმ სიტყვას აშიაზე რაიმე შენიშვნა ახლავს; ოლონდ უკელა-
სხვა შენიშვნა მცირე მოცულობისა არის და აშებზე გატანილი,
გრამატიკული ტრაქტატი კი გადამწერს ძირითადი ტექსტის ადგი-
ლზე შეუტანია. ხელნაწერში, როგორც ზემოთ ვთქვით, ტექსტი ორ
სკეტად არის ნაწერი; ხოლო იმ გვერდზე, სადაც იწყება „სიტყუად
ართრონთათვს“, გადამწერს ტექსტი ჯერ გაბმით უსვეტებოდ დაუ-
წერია, მერე კი, „თეოს“ სიტყვიდან — ისევ ორ სკეტად; ერთში
განაგრძო ჰომილიის ტექსტი, მეორეში მოუთავსებია გრამატიკული
ტრაქტატი, რომელსაც ხელნაწერში თერთმეტი სევტი უკავია. „სი-
ტყუად ართრონთათვს“, ყოველთვის კიდის მხარეს მოქცეულ სევ-
ტშია გატანილი; ფურცლის წინა მხარეს — მარჯვენაში, უკანა მხა-
რეს — მარცხენაში, ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი გადაწერილია ისე-
თი დედნიდან, სადაც მას ნამდვილი მარგინალური შენიშვნის სახე
ჰქონდა — ნაწერი იყო აშიაზე. ქართულ პრაქტიკაში ცნობილია შემ-
თხვევები, როდესაც აშიაზე ძალიან დიდი შენიშვნებია გატანილი —
მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ ხელნაწერი A — 109³⁸.

„სიტყუად ართრონთათვს“, როგორც სხვა შენიშვნები, ნაწერია
უფრო წვრილი ხელით, ვიღრე დანარჩენი ტექსტი, ოლონდ სვეტები

³⁸ A — 109 XII ს. კრებულია, შეიცავს გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზუ-
ლებებს, რომელიც ეფრემ მცირის თარგმნილია. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღ-
წერილობა... A კოლექციისა, ტ. I₂, გვ. 34.

ფართოა (შესაბამისად, ვეორე სვეტი, საღაც ოქროპირისეული ტექ-
სტი შიდის, უფრო წვრილია), სხვაგან კი სვეტების სიგანე ერთნა-
ორია.

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ გრამატიკული ტრიქტატი ე-
ს სევე იწყება, როგორც ჩვეულებრივი შენიშვნები: „შეისწავლით ეს ეს
მეთუ...“.

ყველაფერი ეს თვალნათლივ მოწმობს, რომ ქართული გრამატი-
კული ტრაქტატის ავტორი ის პირი ყოფილა, რომელმაც ით სი-
ტყვა ქართულად თარგმნა. „სიტყუად ართრონთათვს“ მას დაუწე-
რია, როგორც ქართული თარგმანის მეითხველისათვის ძნელად გასა-
ვები ადგილის კომენტარი (ეს გარემოება, როგორც აღნიშნეთ,
თხზულების დასაწყისშივე არის ნახსენები): ავტორი ამბობს, რომ
იოანე ოქროპირის მიერ მწვალებელთა საწინააღმდეგოდ თქმული
განმარტება იოანეს სახარებისა (იგულისხმება ი. 1,1) „გარდმოითა-
რგმნოს რაა, დაბნელდების უართრონობისათვს ენისა ჩუენისა და
ცხადსა და ნათელსა სიტყუასა უცნაურ ვინახმე ჰყოფს, რამეთუ შე-
უძლებელ არს თარგმანებად მისი ენისა ზედა ქართულსა“ 1. სწო-
რედ ამიტომ განუზროხავს მას ესწავლებინა ქართველი მეითხველისა-
თვის, „თუ რაა არს ართრონი და ვითარ ვერ ეგების ენისა ზედა ქარ-
თულსა თარგმანება მისი და ვითარ იყუმევენ ამას ართრონსა ბერ-
ძენი“ 1. მაგრამ ის, რაც შემდეგ მოსდევს, უკვე გრამატიკული ხა-
სიათის ნაშრომია: ავტორი საქმაო სისრულით მიმოიხილავს ბერძნუ-
ლი ართრონის ფორმებს და ბერძნულ ენის ართრონთა ქონება-არ-
ქონების თვალსაზრისით უდარებს ქართულს. თხზულებაში მოცემუ-
ლია განსაზღვრებით ართრონთა ცხრილები თანმიმდევრულად სამი
(მამრობითი, მდედრობითი და საშუალო) სქესისათვის, ნაჩვენებია
ართრონიანი და უართრონო სიტყვების ბრუნების ნიმუშები. თითოე-
ული სქესის ართრონთა და სიტყვათათვის მითითებულია სათანადო
ფორმები მხოლობით, ორობით და მრავლობით რიცხვები. მამრობითი
სქესის სიტყვათა ნიმუშად ავტორს აულია „თეოს“ (შერს), მდედ-
რობითისა—„ტრიას“ (ტრიას), საშუალოსი—„პნევმა“ (პნევმა).

გარდა განსაზღვრებითი ართრონებისა, თხზულებაში ჩამოთვლი-
ლია კიდევ მიმართებითი ნაცვალსახელები („ართრონი დამორჩილე-
ბითინი“). საბოლოოდ, ოქროპირისა და მწვალებელთა დავის კიდევ
ერთხელ ხსენების შემდეგ, ავტორი თხზულების დასასრულს გამო-

თქვამს იმედს, რომ მონდომებული მკითხველი მისი მრავალგზის და მოუწყინებლად წაკითხვის შემდეგ შეძლებს ართრონთა როდებს გაგებას: „განმარტებულად პჰოს ძალი ართრონთა კითარებისაც, თუ რანი არიან ართრონნი“ 24. ეს დასკვნითი გამონათქვამი ერთნებულ დადევ ადასტურებს, რომ თხზულებას, რომელიც თავდამატებულად ბერძნული დედნის ერთი ადგილის ქართული თარგმანის განსამარტავ შენიშვნად ყოფილა ჩაფიქრებული, საბოლოოდ ორიგინალური გრამატიკული ნაშრომის სახე მიუღია.

ამიტომაც იყო, რომ სკომონ კარგარეთელმა — საფარული ხელნაწერის ვადამწერმა — იგი თავის კრებულში შეიტანა, როგორც დამოუკიდებელი თხზულება.

ე. „სიტყუად ართრონთათვს“, როგორც გრამატიკული თხზულება

ზემოთ ნაჩვენები იყო მიზეზი, რომლის გამოც დაიწერა „სიტყუად ართრონთათვს“ და გადმოცემული იყო ამ თხზულების საერთო შინაარსი. აქეამად მოკლედ შევეხებით ამ ნაწარმოებში განხილულ გრამატიკულ კატეგორიებს და მათ აღმნიშვნელ ტერმინებს.

გრამატიკულ ტრაქტატზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი იკტორის ენათმეცნიერულ შეხედულებათა საყრდენს, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოადგენდა დიონისიოს თრაკიელისა და მისი მრავალრიცხვანი კომენტატორების მიერ შემუშავებული სისტემა. დიონისიოსის გრამატიკა და მის კომენტატორთა სქოლიობი, რომლებშიც დაწვრილებით არის განხილული ალექსანდრიილი მწიგნობრის! ნაშრომის მრავალი საკითხი, ფართოდ იყო გავრცელებული ზიზანტიაში და სხვაგანაც დიდი გავლენა მოახდინა გრამატიკულ კონცეფციათა ჩამოყალიბებაზე²; ამგვარი გავლენის მაჩვენებელია ად-

¹ გამოთქმულია აზრი, რომ დიონისიოს თრაკიელის სახელით ცნობილი გრამატიკა ნამდვილად ჩას არ ეყუთვნის. E. P. M. Fraser, *Ptolemaic Alexandria*, Oxford, 1972 v.I, p. 469, v. II, p. 680.

² И. М. Тронский, Проблемы языка в античной науке. Античные теории языка и стиля. М., 1936, с. 28. R. Robins, Ancient and Medieval Grammatical Theory, p. 46.

հյուլո սորովութիւնը³ და სოմեցուրու շրամաტուպուլո լատինաբառուրա, „Սա-
Ծովաց արտիոնտատցու“ զգրետց ծերմելո շրամաტուպուլո թումութեածի
աշխարհ զալցենա ամյլացնեბն; ეს ըժողու զբուրու շրամաტուպուլ սიս-
տեմասաւ და მის Երկրմօնոլոցიասաւ.

თხზულցն დასაწყისში օღნიშնուლու, რომ պատճեացրեն, რაც კი
աრსებობს, აქვს ს ა ხ ე ლ ი; ეს ენი „Տաելու պատճեացրեბა სუլուրთა
და უ ს უ լ ո ւ თ ა ნ ი, ხ ი ლ უ լ თ ა დ ა უ ხ ი ლ ա ց თ ა ნ ი“. ეს განსაზღვրება ახლოა
աრსებութ სახեლის ტრաდიციուլ განსაზღვրებաւთან, Երմինი კი ծե-
մնուլ ծնօմա-ს შეესაბამება (պայքա სოմեցու անուն). Տաելու გ
զ ე ტ ი რ ი պ ა ფ ს ს ა მ չ გ უ ფ ა დ გ რ ა მ ა ტ ი պ უ ლ ი ს ქ ე ს ი ს მ ი ხ დ ე ი თ : „Տ ა ხ ე ლ -
ნ ი ... ს ა მ თ ა ს ა ხ ე ლ ი ს - დ ე ბ ა თ ა გ ა ნ ს ა ც ნ ა უ რ ი ი ქ მ ნ ე ბ ი ი ნ დ ა ი წ ი ღ დ ე ბ ი ი ნ
ծ ე რ մ ე ნ თ ა შ ო რ ი ს , ე ს ე ი გ ი ა რ ს : მ ა მ ა ლ თ ა დ ა დ ე დ ა ლ თ ა დ ა შ უ ა თ ა გ ა ნ “
2. ს ქ ე ს ი ს օ ღ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა დ ი ხ ვ ა რ ე ბ ა ნ თ ა თ ე ს ა ვ ი : զ ე ტ ი რ ი მ ი უ თ ი-
თ ე ბ ს , რ ო მ ე ს ა თ უ ი ს ს ა ხ ე ლ ი ა რ შ ე ი ღ ლ ე ბ ა ს ა მ ი ვ ე ე ა ნ ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი
ს ქ ე ს ი ს ი ყ ი ს , ი გ ი պ ა ფ ე ლ თ ვ ი ს ე რ თ გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ქ ე ს ი ს გ ა ნ ე კ უ თ ვ ნ ე ბ ა ;
თ ი თ ო ւ უ ლ მ ა თ გ ა ნ ს კ ი თ ა ე ი ს ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა ა ქ ვ ს : „ა რ ა
თ ი თ ო ւ უ ლ ს ა ს ა ხ ე ლ ი ს ა მ ნ ი ვ ე დ ა ს ა მ თ ა ვ ა ნ ვ ე ს ა ხ ე ლ ი ს - დ ე ბ ა თ ა ე წ ი-
დ ე ბ ი ი ნ , ა რ ა მ ე დ պ ა ფ ე ლ თ ა ს ა ხ ე ლ თ ა შ ო რ ი ს გ ი ნ ა თ უ მ ა მ ა ლ ი ე წ ი ღ დ ე-
ბ ი ს ს ა ხ ე ლ ი , გ ი ნ ა თ უ დ ე დ ა ლ ი , გ ი ნ ა თ უ შ უ ა დ ა თ ე ს ი ს ა ს ა ხ ე ლ ი ს ა
ა ქ უ ს გ ა ნ ე კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა ჲ ; დ ა ა რ ა გ ა რ დ ა ე რ წ ყ უ მ ი ს ე რ თ ი მ ე ო რ ი ს ა ს ა ს ა
ს ა ხ ე ლ თ ა ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ე ბ ა ჲ , ა რ ა მ ე დ თ ი თ ო ւ უ ლ ი ს ა ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ა ს ა ხ ე ლ თ ა ს ა
2. ნ თ ე ს ა ვ ი ծ ე რ մ ნ უ ლ ი շ ე ნ ი ს ი ტ ყ ვ ი ს პ ი რ დ ა პ ი რ თ ა რ გ მ ა ნ ს წ ა რ მ თ ა დ გ ე ნ ს . რ ո გ ო რ ც Ե რ მ ი ნ ი , ი გ ი
მ ი მ დ ე ვ ე ნ ი ე პ ი ქ ე ბ შ ი ც ხ შ ი რ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ა — გ ა მ ი ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა ზ უ რ ა ბ
შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი ს გ რ ა მ ა ტ ი კ ა შ ი ს ქ ე ს ი ს օ ღ ს ა ნ ი მ ნ ა ვ ა დ : „ნ ა თ ე ს ა ვ ი თ ხ ი : ს ა-
მ ა მ ა ო , ს ა დ ე დ ა მ , ზ ი ა რ ი , ა რ ა ვ ი ნ ი “. შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ა , რ ो გ ო რ ც
ც ნ ი ბ ი ლ ი ა , ს ო მ ხ უ რ წ ყ ა რ ო ე ბ ს ე ყ რ დ ნ ი ბ ა . ი გ ი წ ა რ მ თ ა დ გ ე ნ ს ს ვ ი მ ი ნ
ჭ უ ლ ა ე ლ ი ს გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს თ დ ნ ა ვ შ ე ც ვ ლ ი ლ თ ა რ გ მ ა ნ ს , ხ თ ლ თ ს ო მ ე ხ ი
მ წ ი გ ნ ი ბ რ ი ს ნ ა შ რ ი მ ი თ ვ ი თ ნ ა რ ი ს ა მ ი კ ი დ ე ბ უ ლ ი ღ ი ო ნ ი ს ი ს ი ს თ რ ა-

³ Н. В. Пигуловская, Культура сприйцев в средние века. М., 1979, с. 113, Р. Рылова, Грамматика сприйского языка, с. 7.

⁴ Н. Адонц, Дионисий Фракийский, с. II. С. Джаукян, Языкознание в Армении в V—XVIII вв. В кн.: История лингвистических учений, Средневековой Восток, Л., 1981, с. 15.

კიელის გრამატიკული ტრაქტატის სომხურ თარგმანსა და მის კამე-
ნტარებზე⁵. ნათესავი შანშოვანის გრამატიკაში ახლ სიტყვის
თარგმანს წარმოადგენს. ეს სომხური ტერმინი კი ყოველ სიტყვას
შესაბამისია დიონისიოსის თხზულების ძეველ თარგმნებში⁶ და
შემდეგშიც სომხურ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებუ-
ლი. ანტონის გრამატიკაშიც გრამატიკული სქესის აღსანიშნავად ნა-
თესავი იხმარება: „მდევარი ესე... ომელა ნათესავი... ოთხა
მიმართ სახელთა აქუს წუალება, ჩამეთუ სახელი ენისამებრ ჩუენი-
სა ანუ არს მამრობითი, ანუ მდედრობითი ანუ უმეშუცობითი და ანუ
საზოგადო“⁷.

როგორც ზემოთმოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ავტორს ბერძნულში
გამოუყვითა სამი სქესი: მამალი, დედალი, და შუა. ქართუ-
ლი ტერმინები, რომლებიც მრავალჯერ არის ნახმარი ან თხზულება-
ში, შეესაბამება ბერძნულ მართვისა, შესაბამება ბერძნულ მართვისა, ისეთერი სიტყვებს.

დედალი, როგორც გრამატიკული სქესის აღმნიშვნელი ტერ-
მინი, ათონურ ხელნაწერში სხვაგანაც გვხვდება: ლა სიტყვის და-
საწყისში არის ასეთი ფრაზა: „ვინ არსა დედაკაცი, მქონებელი ათთა
დრაქმათად?... იგი არს ღმრთისა სიბრძნე“ დედაკაც სიტყვის აქვს
შენიშვნა აშიაზე: „შეისწავე, რამეთუ სიბრძნისა სახელი დედალი არს
ბერძნულ (იგულისხმება თავზ, მ. 7.), ხოლო სიბრძნე ქრისტე არს
და ვინავთვან დედალი არს სახელი მისი, ამისთვის დედაკაცისა სახელსა
უწოდს ქრისტესა მახარებელი“. ეს „შეისწავეც“ უთუოდ იმავე იე-
ტორისა არის, რომლის დაწერილია „სიტყუად ართრონთათვს“.

დედალი და მამალი ით სიტყვაში აგრეთვე ბუნებრივი სქე-
სის აღსანიშნავადაც გვხვდება: „ორთა უცხოთა ღმერთთა პქალაგებს:
ერთსა მამალსა და ერთსა დედალსა“ პ. 51.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორს ბერძნულისათვის
მხოლოდ სამი სქესი დაუსახელებია როგორც ცნობილია, ბერძნული
ტრადიციის მიხედვით შესაძლებელია ენაში გამოიყოს კიდევ საერთო
(აიაგო) და ზე-საერთო (ეპახიაგო) სქესი. ეს თვალსა-

⁵ ილ. იბულაძე, ქართული გრამატ. ლიტერატურის აღრიცხველი ძეგლები,
ზრდები, ტ. II, გვ. 170, 174.

⁶ Н. А. до нц., Диописий Фракийский, с. 13.

⁷ ქართული ლრამმატიკა, შედგნილი ანტონ I-ის მიერ, თბ., 1885, გვ. 127.

ზრისი ზოგჯერ სხვა ენის გრამატიკებშიც არის გატარებული⁸. ქართველ ავტორთაგან ზურაბ შანშოვანს, როგორც ვნახეთ, ოთხი სქესი აქვს დასახელებული: სამამაო, სადედაო, ზიარი, არავინი. ამ ტერმინებს შეესაბამება სომხურის արაქან, ჩდაქან, հաստրակ, ჯეყურ. ანტონსაც თავის გრამატიკაში გამოყოფილი აქვს ოთხი სქესი (ნათესავი): მამრობითი, მდედრობითი, უმე-შუცობითი (ე. ი. საშუალი) და ზოგებითი (საზოგადო). ოლონდ ანტონი იქვე აღნიშნავს: „არა რამე აქვს ნიშანი ჩუღნისამებრ ენისა სახელსა არსებითსა მამრობითად თქმულსა და არცად მდედრობითად თქმულსა“ და ფორმალურ ნიშანდ მხოლოდ „ზედ-შესრულთათ კს“ მიიჩნევს ა დაბოლოებას⁹.

გრამატიკული ტრაქტატის ავტორმა სქესის განსაზღვრებისას სრულიად მართებულად უპირატესობა მიანიჭა არა სახელის მიერ აღნიშნულის სქესს, არამედ სახელის ფორმას, ეს კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში, სადაც იგი ამბობს, რომ თითოეული სქესის სახელის ბრუნება განსხვავებულია და მეორე სქესისას არ ემთხვევა.

უნდა შეენიშნოთ კიდევ, რომ ავტორი, რომელიც რამდენისამე აღვილას ბერძნულსა და ქართულს უპირატესირებს ერთმანეთს და ცდილობს ამ ორ ენას შორის სხვაობისა თუ მსგავსების ჩეენებას, ქართულში სქესის არსებობის შესახებ საზოგადოდ არაფერს ამბობს. ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს ავტორის ვინაობის საკითხის გასარკვევადაც. როგორც ცნობილია, ზოგიერთი ქართველი მწიგნობარი აღრევე ცდილა ქართულში გრამატიკული სქესი დაედგინა. ქ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ გრამატიკული სქესი XI საუკუნის მეორე ნახევრიდან არის შემოღებული; ამის დასამტკიცებელ საბუთად მას მოჰყავს ის, რომ ეფრემ მცირე მას „ახლად მოპოვებულს“ უწიდებს¹⁰. აქ იგულისხმება ეფრემის „შეისწავე“ ასკეტიკონის თარგმანში (ხელნაწ. ინსტ. A — 1115, XII ს.). ტექსტში არის სიტყვა „მდიდარად“

⁸ შდრ. Н. А. Донц, Дионисий Фракийский, с. 13, CLXIV.

⁹ ილ. აბულაძე, ქართული გრამატ. ლიტერატურის აღრინდელი ძეგლები, 83, 176.

¹⁰ ქართული ღრამატიკა, გვ. 127—128: ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირეველი და ქართული გრამატიკის საკითხები, გვ. 109.

¹¹ ქ. კეკელიძე, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონიკრატია, ეტიუდები, 1, გვ. 254.

(„მ დიდარად მოილებნ ჭიშნაურსა, ხოლო ქურივი მატყლა შეღებილსა“. 154 ვ), რომელიც განმარტებულია შემდეგინად: „შესწავი: მ დიდარად ახალ მოპოვნებულად დედლად სიტყუაზ, რამეთ თუ დედაკაცი არს მომდებელი ჭიშნაურისად“¹².

მდედრობითი სქესის სახელის ნიმუშად შანშოვანს დასხელებული აქვს „წინასწარმეტყველა“¹³. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დინიშნოს, რომ ა დაბოლოება მდედრობითი სქესის სახელთათვის ქართულში ანტონს უფრო აღრეული წყაროებიდან აქვს ამოღებული¹⁴.

გრამატიკული სქესის აღმნიშვნელი ტერმინები გვხვდება იმანე ქსიფილინოსის მეტაფრასულ კრებულში (ქუთ. მუზ. № 3, XVI ს.), რომელიც უფრო აღრე უნდა იყოს ნათარგმნი თვითონ შეტრიშვილის თუ პეტრიშვილული სკოლის მიმდევრის მიერ: „შეისწავე, ვითარმედ ბერძულნი სიტყუანი ყოველნი ანუ მამალნი არიან, ანუ დედალნი, ანუ არარომელნი სახელთა მწოდებელნი“¹⁵; „შეისწავე, ვითარმედ ყოველი სახელი სიტყუად ელლინთად სამფერ, ესე იგი სამსახე არს: დედალ, მამალ და არარომელ. და სახელი მამათა საწოდებელად ესრეთ იქმნების: „ო ანთროპოს“, გეგულების რად წოდებად მაჟაციასად, და „ი ანთროპოს“, გეგულებოდის რად წოდებად დედაკაცისად“¹⁶. საყურადღებოა საშუალო სქესის აღმნიშვნელი ტერმინი არარომედ ის, რომელიც თავისი შინაარსით უფრო უახლოვდება ისპერეზის.

თითოეული სქესის სახელი თავ-თავის ართრონებს დაირთებს. ართრონთა ფუნქცია ავტორს ასე აქვს განსაზღვრული: ართრონი, მისი სიტყვით, ბერძნულ ენაში „წინა-დასადებელი არს სახელისად და შუენიერ-ჰყოფს სახელსა და რეცა პატიგსა რასმე მიჰმადლებს“ 6; არ-

¹² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექციისა, ტ. IV, თბ., 1954, გვ. 119.

3. А. Сарджвеладзе, У истоков грузинской лингвистической мысли: Вопросы языкоznания, 1983, I, с. 117.

¹³ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრიცხველი ძევავები, გვ. 177.

¹⁴ შელ. ა. ჩიქობავა, იბერიულ-კეკესიურ ენათა შესწაველის ისტორია, თბ., 1965, გვ. 99: „ანტონი იმასაც გრძნობს, რომ სხვა ენაში ასეთი გამოსახულებების არსებობა არ კმარა იმისათვის, რომ ქართულ გრამატიკაში სათანადო ერთეული გამოიყოს: ა დაბოლოებაც ამიტომ დაუძებნა მდედრობითს“.

¹⁵ ზ. სარგვლაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 245.

¹⁶ კ. კვალიძე, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონიკაფიისა, ეტაუდები, I, გვ. 253.

თრონებს იგი სახელთა საფუძველსა და საძირკველს უწოდებს: „არ-თრონი სხუანი არანი არიან, თვინიერ საძირკუელი სახულთან“ 3; „ართრონი თავით ქერძო დასასხმელი, ვითარცა საფუძველი რა-მე და საშუალებელი“ 12. ავტორს ბერძნულში ართრონში მუჭქოშვილიდ ლირსებად მიაჩინა და მიუთითებს, რომ ართრონი საფუძველი გის გამო „უმეტად და ბნელად საგონებელ არს ენასა ზედა ჩუენსა ლექსი თარგმანებული“ 1.

(ბერძნულ ართრონთა შესახებ მსჯელობისას ავტორი არაერთგზის გახაზავს ქართულში ართრონთა არარსებობას.) მის მიხედვით, ბერძნულიდან თარგმნისას ლექსი, რომელიც ბერძნულში „ნათლად ძეს..., გარდმოითარგმნოს რამ, დაბნელდების უართრონბისათვა ენისა ჩუენისა და ცხადსა და ნათელსა სიტყვასა უცნაურ ვინაომე ჰყოფს, რამეთუ შეუძლებელ არს თარგმანებად მისი ენასა ზედა ქართულსა... ვერ ეგების ენასა ზედა ქართულსა თარგმნად მისი“ 1; იგი აღნიშნავს, რომ ბერძნული ართრონიანი სიტყვები ქართულად უართრონდ უნდა ითარგმნოს:) „რამეთუ ჩუენსა ენასა არა ჰქონან სახელთა წინა დასასხმელი ართრონი, ვინაოცა, რავამს გეგულებოდის ბერძულსა ართრონიანსა სახელსა თარგმანებად, „ო თეოს!—სა ესრეთ სთარგმნი, ვითარმედ „ღმერთი“. რამეთუ არა არს ართრონი ენასა ზედა ჩუენსა და ვერ შესაძლებელ არს თარგმნად მისი, ვინაოთგან არა არს“ 6. ართრონის საჩვენებლად ქართულში მას ბერძნული ართრონების გა-მოყენება დასკირებია: „არა თუ ესრეთ ვინმე, ვითარცა ბერძულად არიან, დაუსხნეს, სხუებრ შეუძლებელ არს თარგმნად“ 19. ამის შე-მდეგ იგი იძლევა მაგალითებს ბერძნულ ართრონდართული ქართუ-ლი სიტყვების ბრუნებისა: „ო ღმერთი, ტუ ღმრთისავ... ტის სამები-სავ, ტინ სამებასა...“ და ა. შ. საბოლოოდ კი ასკვნის: „გარნა არცა ეგების ესრეთ თქუმად ქართულად და არცა შუენის ენასა ჩუენსა არ-თრონი ბერძული; და ქართული ართრონი არა არიან“ 19.

(ავტორი ქართულ სიტყვათა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელო-ბას (ნაწევართა საშუალებით) სრულიად არ ახსენებს; ეს გამომდინა-რების მისი ნაშრომის ხასიათიდან — ავტორს აინტერესებს მხოლოდ „სახელთა წინა დასასხმელი ართრონი“ ბერძნულში და შესაბამის ფორმათა არსებობა-არარსებობის საკითხი ქართულში.)

გრამატიკულ ტრაქტატში ავტორისეული მსჯელობა ეხება ართ-რონს, რომელიც თანამედროვე ოვალსაზრისით განსაზღვრულ არ-

ტიქლს წარმოადგენს) ასეთი ართრონები ბერძნული ტრადიციის მიხედვით არის „*Αρθρον προτακτικόν*“ („დამამორჩილებითი“). ამ ტრადიციის შესაბამისი კვალიფიკაცია ავტორს არ მოუყრელებენ მას უპეველად იცნობდა, რადგან თავისი გრამატიკული წერტმა ბოლოში მას გარჩეული აქვს კიდევ „ართრონები დამორჩილებითი ნიზი“ ანუ თანამედროვე ტრადიციონულობით — მიმართებითი ნაცვალსახელები. მიმართებითი ნაცვალსახელი (პრაზი სიტაკტიკი) დიონისიოს თრაკიელის გრამატიკაში და მის ნაშრომზე დამყარებული ტრადიციის მიმდევართა თხზულებებში უპირისისირდება განსახლერებით ნაწევარის (პრაზი სიტაკტიკი). „დამორჩილებითი ართრონები“ ავტორს აღარ განუხილავს დაწერილებით, მას მხოლოდ ჩამოთვლილი აქვს ათ-ათი ფორმა ყოველი სქესის ყველა რიცხვსა და ყველა ბრუნვაში, წოდებითის გამოკლებით (სწორედ ამიტომ არის მათი რიცხვი ყოველი სქესისათვის პირელად დასახელებულ ართრონთან შედარებით სამით ნაკლები). ჩამოთვლისას იყი თავის ჩერულებრივ წესს მიჰყება: ასახელებს მამალ, დედალ და შუა ართრონებს მხოლობით, ორობით და მრავლობით რიცხვში. უფრო დაწერილებითი ისინი აღარ აუხსნია აეტორს, რადგან შიშობდა, რომ „ამათსაცა ძალა აწ განმარტებად სატვროდ ალუჩნდებოდა მეოთხეულსა და აწინდელსა სიტყუასა ამათისა ძალისა განმარტებად არაუ ექმარებოდა“²³ 23. ბოლო ნაწილი ამ ფრაზისა აშკარად მოწმობს, რომ თხზულების დაწერის საგანგებო მიზანია იმ „ართრონთა“ ასწანა, რომელთაც დღეს ნაწევარს (არტიკლს) ვუწოდებთ. ართრონთა ფორმები, როგორც უკვე აღვნიშვნეთ, ქართული ასოებით არის გადმოცემული, გადმოცემის ფორმა განხილულია ქვემოთ (გვ. 83).

ართრონის ქართული სახელწოდება პირდაპირ ბერძნულიდან არის გადმოღებული (პრაზი). ეს ტერმინი იხმარება ართრონებზე მსჯელობისას (შდრ. კატ)¹⁷. ართრონის ხმარებას „დასუმა“, „დადება“ ან

⁷ Н. А д о н и, Дионисий Фракийский, грамматику мицедо Св. Епифаниос, რომ დანისოსის გრამატიკის ქველ სიმხურ თარგმანში ართრონის მაგირ ჩერენებითი ნაცვალსახელია დასმული; დაუთ უძლეველის კომენტარებში კი ნათევამია, რომ ართრონი სიტყვის თავში დაისმის და გაირჩევა სქესისა და რიცხვის მიხედვით. გვ. CLXXXV.

„დასხმა“ (მრავლისა) ეწოდება: თავისა ართრონსა დაუსუმენ 13. ართრონსა დაუდებს პ. 34; სამგუარად დაუსხმენ ართრონთა 4.

უნდა შეენიშნოთ, რომ ქველ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში ართრონი სხვაგანაც არის ნახსენები: თეოფილაქტე ბულლარელის 5 თართ გმანებაში ერთ ადგილას ნათქვამია: „არა მარტივად იტყვნ, უათარმედ „მესია“, არამედ „ტონ მესიან“ ართრონისა თანა“ (A 52, 12 v). ამავე თხზულებაში ართრონ ფუძიდან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა „დანაწევრებას, განსაზღვრას“ აღნიშნავს: „კმად ვიდრემე არს მშვნელ დაუართრონავი, რომელი ალმოვალს კორკისაგან, ხოლო ოდეს დაიართრონს ენისა მიერ, მაშინ იქმნების სიტყუად“ (A 52, 95. მაგალითები ამ ხელნაწერიდან მოგვაწოდა ზ. სარჯველაქემ).

ართრონი, როგორც სახელის განმსაზღვრელი („განმათვესებელი“) ნახსენებია თხზულებაში, რომელიც ნათარგმნია არაუადრეს მეთორმეტე საუკუნის დასაწყისისა პეტრიწონული სკოლის უცნობი წარმომადგენლის მიერ. აქვე არის დართული საკმაოდ ვრცელი „შეისწავე“, რომელშიც მოცემულია ზოგიერთი ცნობა ბერძნულ ართრონთა შესახებ: „შეისწავე, ვითარმედ აქა თქმულ არს წინა-სიტყუად იგი „ონ“-ი, რომელსა ართრონ ად უწოდენ ლრამმატიკოსნი ბერძნი, რომელსა იყუმევენ წინადაწარ რადა მე თქმულისა, ვითარცა საცნაურისა და თვესისა და შესწავებულისა და განჩინებულისა პირისა გინა სიტყუსა ანუ საქმისა ანუ თვესისა შესასწავებელად და შესათვესებელად... ჩუენცა განმათვებელი და უწოდეთ „ონ“-სა მას, მათგან ართრონ ად წოდებულსა... მამალთა ართრონი, ესე ივი არს განმათვებელი, არს „ონ“-ი და „ტონ“-ი, ხოლო დედალთა „ინ“-ი და „ტინ“-ი¹⁸. ეს „შეისწავე“ მოწმობს ქართველი მწიგნობრის დაკვირვებას ბერძნულ ართრონზე და ამიტომ საინტერესოა, მაგრამ იგი მაინც კერძო ხასიათის შენიშვნაა მხოლოდ და არა დასრულებული გრამატიკული თხზულება, როგორიც არის „სიტყუად ართრონთათვეს“.

ართრონი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მოგვიანებითაც გვხვდება, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით: შანშოვანის გრა-

¹⁸ ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ერთი უცნობი კანონიკური კრებული ძეველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, IX, თბ., 1960, გვ. 100.

მატიკაში ათ რონი (ასეა!) აღნიშნავს სხვადასხვა სახის მაწარმოებლებს, მორფემებს: „მოილების ათრონითა „მე“, ვითარცა: „მეწალკოტე“...; „ათ რონითა“ „თან“, ვითარცა: „თანამესამძლურე“...; ათრონათ მოილების „მე“, ვითარცა: „მეორე¹⁹“ ღიტურა-ტურაში აღნიშნულია, რომ მანშვანის შრომაში ეს ტერმინი თანდებულს ან მისი ფუნქციით ნახმარ ზმნიზედას აღნიშნავს²⁰. ართრონი შეტანილია სულხან-საბა თრბელიანის ლექსიკონშიც, სადაც ვითითებულია ამ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა (ამის შესახებ ნ. ქვემოთ).

სახელთა ფორმის ცვლილება ხდება თითოეული სქესისათვის განსხვავებული წესისამებრ: „არა გარდა ერწყუმის ერთი მეორისასა სახელთა ცვალებულებაა, არამედ თითოეულისა ნათესავისასა ცავის თითოეული დრეკასა სახელთასა“ 2. დრეკა თხზულებაში ნახმარია როგორც ბრუნების, ისე ბრუნეის აღმნიშვნელ ტერმინად. ბრუნებას აღნიშნავს იგი შემდეგ მაგალითში: „შუანი ართრონი... პევანან ვიდრემე რიცხვთაცა და გუარითაცა დრეკისა ამთა“ 16. ხოლო ბრუნვათა დასახელებისას დრეკა ამა თუ იმ ბრუნეის აღნიშნავს: „ათცა მეტ არიან დრეკანი სახელთა მამალთანი“ 11 (იგულისხმება ყველა ბრუნეის ფორმა სამი რიცხვის მიხედვით). ბრუნეის მნიშვნელობით ერთხელ ნახმარია კიდევ სახელის-დრეკა: „ერთისა პირისა სახელის-დრეკანი არიან ხუთნი“ 13.

დრეკა შეესაბამება ბერძნულ პτორიც-ს. მთლიად ნათელი არჩენს ქართული გრამატიკული ტერმინის წარმომავლობა. იქნებ აეტორმა იგი დაუკავშირა არა პრიტა ზმნას, რომელიც „ვარდნას“ აღნიშნავს და რომლისგანაც ტრადიციას გამოჰყავს ბრუნების აღმნიშვნელი ტერმინები მრავალ ენაზე (შდრ. რუსული ပადეჯ)²¹, არამედ პრისტა-ს, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „მოღუნვა, დრეკა“.

ბრუნეისა და ბრუნების აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება აგრეთვე პტოსი და დაკუეთვა ა. ორივე ტერმინი დადასტურებულია ამონიოსის ფილოსოფიურ თხზულებებში, რომელ-

¹⁹ ილ. აბულაძე, ქართული გრამატ. ლიტერატურის აღრინდელი უკალება, 23. 179.

²⁰ ა. ჩიქობავა, მეტრიკა-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 66.

²¹ შდრ. Н. Адопц., Дионисий Фракийский, с. CLXVI.

თა მთარგმნელად ვარაუდობენ იოანე ტარიშისძეს ან იოანე პეტერ რიტს²².

ბრუნვის აღსანიშნავად ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში იხმარება ს რ ბ თ ლ ი. „ს რ ბ თ ლ ნ ი ა თ ნ ი: საწრფელო, სანათესაო, სამირცემა დო... საწოდებო“²³. ანტონის გრამატიკაში გვხვდება უ ბ რ უ ს უ მ ც ჭ ე ს „ბ რ უ ნ უ ა ნ ი სახელთანი არიან რუა“²⁴. ორივე ტერმინი სომხური დილიქ-ს თარგმანს წარმოადგენს.

ბერძნული ტრადიციის მიხედვით, გრამატიკულ ტრაქტატში სახელთა და ართხონთათვის დასახელებულია სამი რიცხვი: ერთობითი რიცხვში დგას სიტყვა, როდესაც „ერთსა პირსა აქსენტდება“ 6; მრავლობითში დასმული სიტყვა კი, მაგალითად, „ლმერთნი“, მრავალს აღნიშნავს; ორობითის განსაზღვრებისას ავტორი მიუთითებს, რომ მსგავსი რამ ქართულში არ არსებობს, რაც, მისი აზრით, ართულებს ამ გრამატიკული კატეგორიის განმარტებას: „ხოლო ო რ ო ბ ი თ თ ა თ ვ ს ვითარდა ცხად-ვყოთ, რამეთუ არცა იგინი არიან ენასა ზედა ქართულსა? გარნა ითქმოდენვე, რამეთუ ო რ ო ბ ი თ ნ ი მათ ეწოდებიან, რომელნი მხოლოდ ორთა პირთა საცნაურ-ჰყოფენ. რამეთუ თქუმითა, ვითარმედ „ტო თეო“ (τώ θεώ β. Θ.) ორნი პირნი საცნაურ იქმნეს მსმენელსა... „ლმერთი“ ერთსა პირსა, ხოლო „ლმერთნი“ მრავალთა პირთა დაშსახვენ და არა ორთა ამისთვის, ვინაჲთგან ორთა პირთა დამსახველნი არა გუქონან სახელნი“ 8.

ავტორის მიერ გამოყენებული ტერმინები ბერძნულის მიხედვით არის შექმნილი: ერთობითი — ენიაბი, ორობითი — მუნიაბი, განმრავლებითი — πληθυντιაბი. იგივე ტერმინები გვხვდება იურემ მცირის „სამოციტულოს თარგმანებაში: „უსაკუთრეს არს, რამთა არა განმრავლებითად, არავედ ერთობითად“

²² ვ. ჩაფავა, ამონიოს ერმიასის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკული ხასიათის ცნობები, მაცნე, 1981, № 4, გვ. 132, ეს ნაწარმოებებია: მოსაქსენებელი ხელთა კმათადმი პორტირი ფილოსოფოსისათა და მოსაქსენებელი ათთა კატერიკათადმი არისტოდელისთა. უძველესი ხელნაწერი — S 2562 (XIII—XIV სს.).

²³ ილ. აბულაძე, ქართული გრამატ. ლიტერატურის აღრინდელი ძეგლები, გვ. 179.

²⁴ ქართული ლრამატიკა, გვ. 6.

ითქუმოდის²⁵. შემდგომი დროის გრამატიკულ ლიტერატურიში უსაბამისი შინაარსის ტერმინები განსხვავებულია: ზურაბ შანშავაში გრამატიკაში ნახმარია სამხოლო და სამრავლო: „რიცხვი ნი ორნი: სამხოლო და სამრავლო“, შდრ. საჭარან კუჭამასაკან²⁶. ანტონის გრამატიკაში გვხვდება მხოლოდითი და მრავლობითი, რომლებიც მხითარის სომხურ ტერმინთა ზუსტიარებად არის მიჩნეული²⁷.

ბერძნულ ართრონთა და სიტყვათათვის დასახელებული ხუთი ბრუნვა შემდეგია: ადგილობითი (ე. ი. სახელობითი), შობოლობითი ანუ ნათესაობითი, მიცემითი და მიზუზობითი (ე. ი. აკუზატივი). იგივე ბრუნვებია ნაგულისხმევი, როგორც ავტორის მსჯელობიდან ჩანს, ქართული ენისათვისაც.

ადგილობითი ბრუნვა ნახსენებია ორჯერ: „ონ“-ი არს პირები ართრონი, რავამს ადგილობითად იქუმევდენ ქსენებსა სახელისასა“⁴; „რავამს პირებელად ადვილობითად და ერთსა პირს აქსენებდენ“⁶. ეს ტერმინი ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიათვის უჩვეულოა. საიდან უნდა იყოს იგი წარმომდგარი? როგორც ცნობილია, სახელობითი ბრუნვის ბერძნული სახელწოდება, ძეელ გრამატიკებში მიღებული, არის ბრძენი, აგრეთვე ბიამათანი და ეს ტერმინი როგორც საზოგადოდ დიონისიოსის მიერ ხმარებული სხვაც, განხილულია და თარგმანებული შემდგომდროინდელ კომენტატორთა მიერ. მაგალითად, ეს ტერმინილია სომხურად როგორც պარզ, ხოლო სომებს კომენტატორს, დავით უძლეველს, იგი ეს მისი როგორც մեկნახ, անշაրაգիր—ე. ი. „მარტივი, ადვილი“²⁸. ზემოთქმული იმას როდი გულისხმობს, რომ ქართული ადგილობითი სომხური ტერმინის თარგმანია; დასაშვებია ვარაუდი, რომ ქართველ

²⁵ ქ. დანელია, ახალი მასალები ქართული სამწერლო ენის ისტორიისათვის, გვ. 30, 31.

²⁶ ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის იდრინდელი ძეგლები, გვ. 179.

²⁷ ქ. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, გვ. 10:6 106.

²⁸ Н. Адонц, Дионисий Фракийский. с. CLXVII.

ავტორსაც ამგვარადვე გაუგრა ბერძნული და მისი შინაარსის შესაბამისი ტერმინი აღვილობითი შეუქმნია.

უნდა აღინიშნოს, რომ ძეველ ქართულ წყაროებში სახელმწიფო ბრუნვის ბერძნული სახელწოდებები ზოგჯერ პირდაპირ არ მატელირდებიან რანილი: ამონიოს ერთიასის თხზულებებში ამ ბრუნვის აღსანიშნავად ნახმარია ევთია და ორთი²⁹.

განსხვავებულია ავტორები ზურაბ შანშოვანისა და ანტონის ტერმინები: სახელობითი ბრუნვისათვის: პირველის შრომაში, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ნახმარია საწრფელო, ანტონის გრამატიკაში, როგორც ცნობილია, ნახმარია წრწფელობითი და სახელობითი: „დასაბამ ბრუნვათა არს წრწფელობითი, რომელსაცა უფრორე სამართალ არს, რამეთუ ეწოდებოდესცა სახელობითი“³⁰. პარალიგმებში (გამოცემის მიხედვით) გამოყენებულია პარველი: წრწფელობითი ბრუნვის ბერძნულ ნიმუშთა ქართულ თარგმანში ყოველთვის გვხვდება სახელობითის ფორმა: ღმერთი, სამებაჲ, სული. ის ფორმა, რომელსაც დღეს წრწფელობითს ვუწოდებთ, აეტრის სახოგადოდ არსად არა აქვს ტრაქტატში ნიმუშად მოყვანილი, თუმცა თვითონ მას საკმაოდ ხშირად ხმარობს (შედგენილ შემასმენელში)³¹. ეს გასაგებიცაა, რადგან ქართულში ბრუნვათა სისტემა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთლიანად ბერძნულის მიხედვით აქვს ჩამოყალიბებული.

მომდევნო ბრუნვად გრამატიკულ ტრაქტატში დასახელებულია შობილობითი ანუ ნათესაობითი. ეს ორი ტერმინი აე-

²⁹ გ. რაფაელი, ამონიოს ერთიასის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკაზე ხსიათის ცნობები, გვ. 133.

³⁰ ქართული ღრამმატიკა, გვ. 134.

³¹ ქართული ღრამმატიკა, გვ. 7—20. ე. ბაბუნაშვილს მიანინა, რომ ანტონიან ტერმინი „სახელობითი“ ისეთივე სრულფულებიანი ტერმინია, როგორც წრწფელობითი, მეტიც შეიძლება ითქვას, მას უპირატესობაც კი ენიჭება“. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, გვ. 85, შენ. 108.

³² საინტერესოა, რომ ეფრემ მცირემ მის ირგინალურ ნაშტომში, რომელშიც ლექსიკონის ნიმუშია ჩართული, განსამარტვი ერთოულები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, წრწფელობითის ფორმით დაასახლა: ადგილ ღმრთისა, ზრახვა უფლისა, მთა წინააღმდეგომ ღმრთისა და სხვა: მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირე, ჭალმუნთა თარგმანებისა: საიუბილეო, ძეველი ქართული ენის კათედრის წრომები, ტ. 11, 1968, გვ. 118.

ტორს სინონიმებად მიაჩნია: „ამას ეწოდების შობილობითი დანართების ათი დრეკად სახელისაა“ 9. პირველი ორჯერ არის ხას-მარი ტექსტში, მეორე—ხუთჯერ. ორივე ტერმინი ბერძნული ყოფილი არის სარგმანს წარმოადგენს.

ბერძნული სახელწოდების პირდაპირი გადმოცემა — გენიკი გეხვდება ამონიოს ერმიასის თხზულებებში, სადაც მის პარალელურად ქართული ნათესაობითიც არის³³. შესაბამისი ბრუნვის სახელწოდება ზურაბ შანშოვანის გრამატიკაშია სანათესაობის ანტონის გრამატიკაში ისევ ნათესაობითი არის ნახმარი. ამ სახელწოდების ტერმინის პირველწყაროდ ანტონისათვის სომხური სტასიან არის მიჩნეული (რომელიც თვითონ ბერძნულის სწორ თუ არასწორ თარგმანს წარმოადგენს)³⁴. ზემოთმოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ნათესაობითი, როგორც ტერმინი, ქართულ პრაქტიკაში აღრეც ყოფილა; არ არის გამორიცხული, რომ ანტონი, ნებსით თუ უნებლიერ, ძველ ტრადიციის შისდევდა ამ შემთხვევაში. აღსანიშნავია ერთი გარემოება: ნათესაობით ბრუნვაში დასმული ბერძნული მაგალითები გრამატიკული ტრაქტატის ვეტორს ქართულად ორმავი (ნანათესაობითარი) ბრუნვის ფორმებით აქვს ნათარგმნი, რაც კარგად ჩანს მრავლობით რიცხვში: ლმერთთანი 9; სამებათანი 15; სულთანი 18. ასეთივე ფორმებითაა დამოწმებული ქართულ სიტყვათა ართონებიანად ბრუნვების ნიმუშები: ტუ ლმრთისაა... ტის სამებისაა... ტე სულისაა 19.

მიცე მითი ნახვარია ბერძნული ბათარების გადმოსაცემად და ბერძნული სიტყვის შესაბამის თარგმანს წარმოადგენს: მიცემთა და რაც იტყოდინ — „ტო თეო“ 7. ამონიოსის თხზულებათა თარგმანებში ამ ბრუნვის სახელწოდებად იხმარება მიცე მითი და დოტიკი³⁵. ზურაბ შანშოვანის ტერმინია, როგორც უნახეთ, სამო-

³³ ქ. რაფაელ, ამონიოს ერმიასის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკისათვის ცნობები, გვ. 133.

³⁴ ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღწინიული მულები, გვ. 179.

³⁵ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკრებულო, გვ. 86, შენ. 109.

³⁶ ქ. რაფაელ, ამონიოს ერმიასის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკული ხასათის ცნობები, გვ. 133.

ცემადო, ანტონისა — მიცემითი: „სახელი ესეგუარი არა და-
ვნიშნავს თავეადსა არსებასა მყოფისასა, არამედ მისდა მიმართებადსა
რამესა, ესე იგი, საწადსა ანუ სახედულსა, ანუ მისაცემელსა, რომ-
ლისა ძლით ითქმის მიცემითა და“³⁷. ანტონის ეს ტერმინიც მიჩნ-
ნეულია სომხურის თარგმანად (*տրական*)³⁸. ანტონის ტერმინოლოგია
მართლაც სომხურს მისდევს საზოგადოდ, მაგრავ საკითხის ისტორიი-
სათვის მსგავს სახელწოდებათა აღრე არსებობაც არ არის ვნიშვნე-
ლობას მოკლებული.

მიცემითის ბერძნული ნიმუშები გრამატიკულ ტრაქტატში ამავე
ბრუნვის ფორმით არის ნათარგმნი: „ტო პნევმატი“ სულსა 17. მიცემი-
თი ბრუნვის სახელწოდებას ეკორი ასე ხსნის: „მიცემითი ამის-
თვს ეწოდების ლექსსა მას: რაეამს ეტყოდი ვისმე, ვითარმედ: „ვის
მისცემ ამას რასამე?“ და მან გრძუას, ვითარმედ: „ლმერთსა“ 10.
მართლაც, ეტორის მიერ დასახელებული ნიმუშის შესაბამის ბერ-
ძნულ მაგალითში სიტყვა მიცემით ბრუნვაში უნდა დაისვას (შემ).

ბერძნული აკუზატივის (αἰτιατική-ს) სახელად გრამატიკულ ტრაქ-
ტატში გამოყენებულია მიზეზობითი: „ხოლო მიზეზობი-
თად რაა, ესრეთ ვითარმედ: „ტონ თეონ“ [τὸν θεόν] 7. ზემოთ-
მოყვანილ მაგალითში ბერძნულ სიტყვას ქართული თარგმანი არ
ახლავს; სხვაგან ბერძნული აკუზატივის ფორმის შესაბამისად ქართულ
ში მიცემითი ბრუნვა არის: „მიზეზობითად უართორონოვ
„პნევმა“ [πνεῦμα] და ართონიანად: „ტო პნევმა“ [τὸ πνεῦμα].
ვითარმედ „სულსა“ 17.

აზრთა სხვადასხვაობა ამ ბრუნვის სახელწოდებისა და მნიშვნელო-
ბის შესახებ თვით ბერძნულ გრამატ. ლიტერატურაში არსებობს:
ჯერძენი კომენტატორები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ საიდან
მომდინარეობს სახელწოდება: ასტევ („თხოვნა“), თუ ასტამასა:
(„მიზეზის პოენა, დაბრალება“) ზმნებისაგან, ბერძნული ტერმინის გან-
სხვავებული ინტერპრეტაციის შედეგია სომხურ გრამატიკულ ლიტე-
რატურაში დამკვიდრებული ტერმინებიც, რომლებიც ამ ბრუნვას

³⁷ ქართული ლრამმატიკა, გვ. 138.

³⁸ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირეველი და ქართული გრამატიკის საკითხები,
გვ. 86.

აღნიშნავდნენ: ჩაუგასტან (რაյონი — „თხოვნა, ველრება“), ქართველიან (ქართველი — „თხოვნა, ველრება“) და აფასთავასტაკან (აფასთავასტაკან — „გამოწვევა, მიზეზის, საბაბის მიცემა“)³⁹. უკანასკნელი სომხური ტერმინი ქაზ-ზე ახლოა ქართულ მიზეზობითთან.

ბერძნული ტერმინის სხვადასხვაგვარი გაგების შედეგია აგრეთვე ის განსხვავებული სახელწოდებანი, რომლებიც ქართულში ვაკედება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი უშუალოდ ბერძნულია საგან არც მოდის. ამონიოსის თხზულებებში ისევ მიზეზობითი გვხვდება⁴⁰. ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში ხმარებულ საძიებოსა ანტონის შემასმენლობითი ენაცვლება. ეს ბრუნვა, ანტონის მიხედვით, „არღა წრფელობითად დაპირიშნავს არსისა არსებასა, არა-მედ შეასმენს, ანუ საყუარელ, ანუ საძაგელ და ანუ სხეუად . რამე ყოფად“⁴¹. შემასმენლობითი, როგორც ტერმინი, უფრო ღა-თინურის ტრადიციის მისდევს, ვიდრე სომხურისას⁴².

აკუშატივი, როგორც ცნობილია, ქართულ ენაში არ არის, მაგრამ ფილოლოგიური გრამატიკის ტრადიციები დიდი წნის განმავლობაში ქართულ ენას აწერდნენ მასში არარსებულ ბრუნვებს ჩვენს აკტორზე ბევრად უფრო გვიანაც. ზემოთ მოყვანილ მაგალითებს კიდევ შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ პირველ ქართულ გრამატიკაში, რომლის აკტორია მაჭო, ქართულში გამოყოფილია არა მარტო აკუშატივი, არამედ აბლატივიც („ბიჩი“ — ე. ი. „ბიჭი“) — ეკვე ლათინური ენის გავლენით⁴³.

სრულიად ბუნებრივია, რომ საშუალ საუკუნეებში გრამატიკულ ტრაქტატში, რომელიც უშუალოდ ბერძნული მწიგნობრული ტრადი-

³⁹ შდრ. Н. А д о н ц, Дионисий Фракийский, с. CLXVIII.

⁴⁰ მ. რაფაელა, ამონიოს ერმიასის თხზულებებში დადასტურებული გრამატ. ხასიათის ცნობები, გვ. 133.

⁴¹ ილ. აბულაძე, ქართული გრამატ. ლიტერატურის ალრინცელი რეგლები, 23. 179.

⁴² ქართული ლრამმატიკა, გვ. 140.

⁴³ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, 23. 87.

⁴⁴ ა. ჩიქობავა, პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ნაშრომების შესახებ. წიგნში: ა. ჩიქობავა, ქ. ვათევიშვილი, პირველი ქართული ნიბეჭდი გამოცემები, თბ., 1983, გვ. 31—32.

ციის მიმღევარი ავტორის მიერ არის დაწერილი, აკუზატივი ანუ
გიზე ზობითი არის გამოყოფილი.

აკუზატივის სახელწოდებას (ბერძნულს) და ბრუნვის ფუნქციას იგი
ასე ხსნის: „მიზე ზობითი ამისთვის [ეწოდების], ვინაზოგან იქმ-
ახვიდე რაა ვისგანმე, ვითარმედ „ვის ეძიებ?“ და მან გრძევს... „ღმე-
რთსა“ 10. შესაბამის ბერძნულ მაგალითში, რომელსაც ავტორი გუ-
ლისხმობს (თბი შეპ), სიტყვა მართლაც აკუზატივში უნდა დაისვას.
ღმერთი, ავტორის კონცეფციის მიხედვით, არის მიზეზი (პირი),
გამომწვევი ძიებისა. ავტორის ენათმეცნიერული ალლო ჩანს აქაც.
მას შეუმჩნევია ფორმობლივი სხვაობა ბერძნულ აკუზატივსა და მი-
ცემითს შორის და ყურადღება ზოუქცევია, რომ მათ გადმოსაცემად
ნახმარ ქართულ ფორმათა შორის ასეთი სხვაობა არ არის: „რამეთუ
ბერძულად განყოფილებად აქუს მიცემითსა და მიზეზობითსა, ვითარ-
ცა ზემო თვით იგი ლექსნი გვჩენიან, გარნა ქართულად ერთ ლექსად
ითქვემის, დაღაცათუ ძალი ორი აქუს“ 10. ამის შემდეგ იგი ასახელებს
ისეთ წინადადებათა ნიმუშებს, რომელთა შესაბამის ბერძნულ მაგა-
ლითებში მართლაც მიცემითი და აკუზატივი უნდა გვქონდეს, მაგრამ
რომლებშიც ქართულად ორივეჯერ მიცემითი ბრუნვა გვხვდება. ამის
შემდეგ იგი კვლავ იმეორებს: „ესრეთ ორი ძალი აქუს ლექსსა ამას და
ერთითა გუარითა ითქვემის ორივე ქართულსა ენასა ზედა, გარნა არა
ბერძულსაცა“ 11. ამრიგად, ავტორს ხაზი გაუსვამს იმისათვის, რომ
ფორმა და ფუნქცია ქართულში მისი თვალსაზრისით ერთმანეთს არ
შეესაბამება.

საზოგადოდ, აქაც და სხვაგანაც აშკარად ჩანს, რომ ავტორი ბერ-
ძნულ ენას და ბერძნულ გრამატიკულ მოძღვრებას კარგად იცნობს.
ის მსგავსება, რომელსაც ავტორის მიერ ნახმარი ზოგიერთი ტერმინი
იჩენს სომხურთან, არ ნიშნავს, რომ ეს ტერმინები სომხურის კვა-
ლიბაზეა შექმნილი. სომხური პარალელები მხოლოდ ადასტურებს
შესაბამისი ბერძნული ტერმინების ამგვარი გაგებისა და თარგმნის
შესაძლებლობას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ გრამატიკული
ტრაქტატის ავტორის მიერ ნახმარი სხვა ტერმინები, პირველ რიგში
თვით ართონი, სომხურისაგან სრულიად განსხვავებულია.

წოდებითი ბრუნვის ფორმა ავტორს სამსახვე სქესსა და სამსახუ-
რიცხვში აქვს ნაჩვენები: მისი ართრონი ყველგან ერთნაირია: ეს არის
ო [ტ]. ავტორი განსხვავებას ართრონსა და შორისდებულს შორის

ევრ ხედავს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წოდებითი არის ერთად-ერთი ბრუნვა, რომელიც ართრონს შეიძლება ჰქონდეს ქართულის: „ამათ ათცამეტთა ართრონთაგან ერთი მხოლოდ შესაძლებელ არ, ენისა ჩუენისაგან თქუმად, რომელ არს წოდებრონისა თავით კერძო „ოდ“ 19. შესაბამის მაგალითებში იგი, პაროგოც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნული წოდებითი ბრუნვის მაგალითების ქართულად თარგმნისას იყენებს შ-ს, რომელიც საზოგადოდ იხმარება ძეველ ქართულში მიმართვისას: შ, სულო 17, შ სამებანო 19.

ბრუნვის სახელწოდება შეესაბამება ბერძნულ ალექსანერ-ს. შანშოვანის გრამატიკაში აქაც, როგორც ყველგან, ბრუნვის სახელწოდება სა-ო კონფიქსით არის ნაწარმოები: ს აწოდებო. ანტონს ისევე, როგორც გრამატიკულ ტრაქტატში, აქვს წოდებითი (შერ. კოსაკან). ბრუნვათა რაოდენობა ერთობით სადა განმრავლებით არ ითს რიცხვში ხუთ-ხუთია; ორობითი სათვის კი ავტორს დასახელებული აქვს მხოლოდ სამი ფორმა. ამას იგი ხსნის შემდეგი მიზეზით: „ორობითნიც ხუთნი არიან... ვარნა ორობითთასა ორთა ართონთა გარდარწყუმენ სხუათა ორთა ზედა. ამისთვეს, ხუთთაგან ორნი რამ ორთა ზედა გარდაარწყუნე, სამაც შეიქმნებიან“. 5. მაშასადამე, იგი ფორმათა ნაკლებობას მათი დამთხვევით ხსნის.

ეს მცირე მიმოხილვაც კი თვალნათლივ ვეიჩვენებს, რომ გრამატიკული ტრაქტატის ავტორი მარტო ბერძნულ ენას კი არ ფლობდა კარგად, არავედ იცნობდა იმდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურასაც და გრამატიკის საკითხებში თავისუფლად ერკვეოდა. ამ ნაწარმოებში, იმდროინდელი ცოდნის დონის შესაბამისად, დაწერილებით არის მიმოხილული ბერძნული ართრონი, შეპირისპირებულია ბერძნული და ქართული ენები ართრონთა ქონება-უქონლობის თვალსაზრისით და ნაჩვენებია ზოგიერთი სხვა განსხვავებაც ამ ორ ენას შორის.

დიდია ამ თხზულების მნიშვნელობაც ქართული მეცნიერული აზროვნების ისტორიისთვისაც. „სიტყუად ართრონთათვს“ არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI — XII საუკუნეებში მართლაც ჰქონიათ გრამატიკული ლიტერატურა. ეს იმასაც მოწმობს, რომ XVII—XVIII საუკუნის მწიგნობართ წინ დაუხვდათ ენამეცნიერული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები, როგორც ირკვევა, ამ ტრადიციათ

ჩამოყალიბებას უპირველესად ხელს უწყობდა არა სომხური, არამედ ბერძნული კულტურული გარემო.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, როგორც ცნობილია, შრა-ვალი ძველი წყაროდან ამოკრებილ მასალას შეიცავს. ჰუმერიზმის საბას „სიტუაც ართრონთათვს“ აგრეთვე უნდა ჰქონოდა გამოყენებული. ლექსიკონის საბოლოო რედაქციაში ართ რონი ასე არის განმარტებული: „არიან ასოები, რომელი წინა მოეზავების სიტყვათა ანუ უკანის და გვარიან ჰყოფს და დატყობნს. არამედ ლათინთა და ელლინთა ენათა შინა უმრავლეს და უკეთ არიან. ამისთვის ღრამმატიკოსსა შინა სწერია სწავლება“ A. ამ განმარტებას, ზოგიერთი ცვლილებით იმეორებს Z. ადრეულ რედაქციებში კი (BC-ში) ართ რონის განმარტება უფრო ვრცელია. ავტოგრაფულ ხელნაწერში, რომელიც C რედაქციისა (ქუთ. ისტ. მუზ. ხელნ. № 300), შემდეგი იყოთხება: ართ რონი დანიშნულად ითქმის ესრეთ, რამეთუ ასონი რომელიმე წინა მოეზავებიან სიტყვათა, გინა უკანის და გვარიან ჰყოფენ. ადგარ-თველთა ენათა შინა ეგოდენ მრავლად არა სხენან, ვითარ ბერძულთა ენათა შინა, რამეთუ ბერძულებ ეწოდების ღმერთსა „თეოს“, უკეთუ დაუსხა ართ რონი, ითქმის „ო თეოს“ ესრეთ არს ართ რონი და არიან ბერძულთა ენათა შინა ათსამეტნი ართ რონი, ხოლო ქართულისა ენათათვის რომელთამე დაუწერიათ, არა იქმნებიან ართ რონი. იქმნებიან ქართულად ართ რონი, არამედ ბერძულთა სიტყვათა ართ რონი უმრავლესი წინა კერძო დაუჯდება, ვითარ და „თეოს“ — „ო თეოს“. ხოლო ქართულთა სიტყვათა უმრავლესი ბოლოს კერძო დაუჯდების და თავადაც მრავალი მოვალს“. ამ განმარტებას, (რომელიც მცირეოდენი ცვლილებით განმეორებულია BC რედაქციის სხვა ნუსხებშიც), საკმაოდ ბევრი აქვს საერთო იმ თხზულებასთან, რომელსაც „სიტუაც ართრონთათვს“ ეწოდება. მართალია, საბასთვის ართ რონი უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია, ვიდრე გრამატიკული ტრაქტატის ავტორისათვის. საბა, როგორც მის მიერვე დასახელებულ მაგალითთაგან ჩანს, ართრონს უწოდებს აფიქსს ან მორთვებს (ასეთების ნიმუშად დასახელებულია ბრუნვისა და პირის ნიშნები); ართრონად მიაჩნია საბას აგრეთვე ზოგიერთი თანდებული და ზმნისწინი, ნაცვალსახელი და ნაწილაკი⁴⁵.

⁴⁵ ღ. გ. წ. ა. ქ. გრამატიკული ტერმინები სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969, № 4, გვ. 30; მას ა-

მაგრამ იქვე, სადაც ლექსიკოგრაფი ბერძნულ ართონიან და უარობონო ფორმებს უპირისისპირებს ერთმანეთს და ბერძნულისათვის ცამეტ ართონს ითვლის, გარევევით მოისმის გამოძახილი გრამატიკული ტაქაქ-ტატის მასალისა. საფიქრებელია, რომ საბას ხელთ ჰქონდა: დრა ჭყაფის უყენებია „სიტყუად ართონთათეს“, შესაძლოა, სწორედ საფარული ხელნაწერის მიხედვით. როგორც ჩანს, საბამ არ იცოდა, ვინ იყო თხზულების ავტორი, ამიტომაც ამბობს: ქართული ენის შესახებ „რომელთამე დაუწერიათ“, რომ მას ართონი არა აქვსო. თვით ეს აზრი — ქართულ ენაში ართონთა არარსებობის შესახებ უთუოდ გრამატიკული ტრაქტატიდან ვომდინარეობს. ამრიგად, ადრეულ რედაქციებზე მუშაობისას საბას გამოუყენებია ეს თხზულება, ის გარემოება კი, რომ ლექსიკონის საბოლოო რედაქციაში განსხვავებული განმარტება გვხედება, საბას სამუშაო მეთოდის თავისებურების შედეგია. ცნობილია, რომ საბასეული განმარტებები მომდევნო რედაქციებში ხშირად იცვლება და მრავალმხრივ იხვეწება.

ვ. შენიშვნები ენისა და სტილის შესახებ

მასალას გრამატიკული ტრაქტატის ენობრივ თავისებურებათა შესასწავლად უპირატესად ათონური ხელნაწერი იძლევა, რადგანაც იყო არა მხოლოდ უფრო ადრეულია, არამედ ენის მხრივაც უფრო გამართულია. გარდა აქისა, ამ მასალას A-ში ავსებს ოქროპირის სახელით ცნობილი თხზულების მონაცემებიც. ზემოთ გამოთქმული იყო აზრი, რომ მეცხრამეტე პომილის მთარგმნელი და გრამატიკული ტრაქტატის ავტორი ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო. ენის მხრივაც ამ თავისებურებას ბევრი რამ აქვს საერთო, რაც აგრეთვე მხარს უჭერს ამ მოსახრებას.

ქვემოთ წარმოდგენილ შენიშვნებში ამ ორი თხზულების ენის სრული მიმოხილვა არ არის; ნაჩვენებია მხოლოდ ზოგიერთი მოვლენა, რომ-

ვ. ქართული გრამატიკული ტერმინოლოგის ისტორიიდან: თსუ შრომები, ტ. 200, თბ., 1978, გვ. 42.

ზემოსხენებულ შრომებში ართონ სიტყვის განმარტება დამოწმებულია მხოლოდ საბოლოო რედაქციის მიხედვით. იმ განმარტების შესახებ, რომელიც აღრეც რედაქციაში გვხედება, დ. გერაძე შეინშავს: „ართონის შედარებით ვრცელი განმარტება წარმოდგენილია Cq (ე. ი. ქუთაისის № 300 გ. შ.) ხელნაწერში. გრამატიკული ტერმინები... გვ. 31.

ლებიც ამ ნაწარმოებთა შესწავლისას ამა თუ იმ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უნდა იქნენ მიჩნეული. მასალის გაღმოცემისას ტრადიციული დანაწილება და თანმიმდევრობა ყოველთვის არ არის დაცული, რადგან ენობრივ თავისებურებათა წარმოჩინება ამგვარად უფრთხო მასაზე დაგენერირდა აღმოჩნდა.

შემდეგი გვითარებული სიტყვის გამოყენება არ არის დაცული.

ორთოგრაფიული თავისებურებანი

ზოგიერთ გრაფემათა ხმარება. ათონური ნუსხის გადამწერი, როვორც უკვე აღვნიშნეთ, გაწაფული კალიგრაფი ყოფილი. ტექსტი თითქმის უშეცდომოდ არის ნაწერი, ორთოგრაფიაც გამართულია, ნაირგვარობა დაწერილობებში საზოგადოდ ძალიან ცოტაა.

ც სისტემებრივ იხმარება მხოლოდ უმარცვლო უ-ს შემდეგ: საძირკულნი 3; საშუალებელნი 12; ქუშ; სხუბბრ; შუცნის 19; იშუცბს 3 18; გუცრდსა 3. 37; შიშუცლი 3. 38; ძუცლსა 3. 40.

ამგვარი დაწერილობანი, რომლებიც S ნუსხისაც ახასიათებს, ჩვენს გამოცემაში ყველგან გასწორებულია.

იქ, სადაც ქველი ქართული ენის ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო ემ დიფთონგის შესაბამისი ც დაწერილობა, ყოველთვის გვხვდება ე: სიმრავლე მშვდობისად 3. 8. ეკ კაცისად, მჯდომარე მარჯულნით 3. 72.

არ იწერება ც უფროობითი ხარისხის სახელებში და ვითარების ზმნიშედებში: ესრეთ 6; ეგრეთ 9; ეგრეთვე 11, 13, 15, 18, უტყბილეს 3. 18. უქულნარესად 3. 31; ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ც გრაფემას მხოლოდ ორთოგრაფიული დანიშნულება იქნება; იგი ე-საგან განსხვავებული ფონემის აღმნიშვნელი არ არის.

ც გრაფემა თითქმის უკლებლივ არის დაცული იქ, სადაც ამას ქველი ქართულის ნორმები მოითხოვს — ამ და ომ დიფთონგების დაწერილობებში: დრეკად სახელისად 9; თარგმანებად სამეფოდ 3. 14; ბრგუნვილი ენად 3. 18; სამარადისოხსაგან 3. 18. ის ნაირგვარობა ამ დიფთონგის დაწერილობაში, რომელიც S ნუსხაში გვხვდება, ათონური ნუსხისათვის უცხოა.

ც, როგორც მარცვლიანი, ისე უმარცვლო, A-ში შერწყმული დაწერილობისაა — წარმოდგენილია ერთი სამკბილიანი გრაფემით. უ-სა და ო-ს გრაფიკული აღრევა იშვიათია. „სიტყუად ართონთათვს“ ერთად-

ერთ მაგალითს იძლევა: ართოუნსა 13; ასევეა: გუნდით (გონიერი) 3. 27.

უმარცვლო უ თითქმის ყოველთვის ძელი ქართულის ნორმების შესაბამისად იწერება: იქუმევენ 1; საძირკულონი 3; გარდააზრის 5; შუცნიერნი 6; მოაქუნდა 3. 2: სიკუდილი 3. 10. პირადი მიზანისას უმარცვლო უ და მისი მომდევნო ი ყოველთვის კ გრაფემით გამოიხატება: თვენიერ 3: იტყვან 4; სატკროდ 20; სირცხულეულ 3. 2: გვრგვნთა 3. 3; საყვრთა 3. 23; ამგვარი დაწერილობა ათონური სკოლისათვის დამახასიათებლიდ არის მიჩინეული.

შ იხმარება მხოლოდ მიმართვაში: შ ქრისტეს მოყუარენო. პ. 1; შ ამაოთ მწვალებელო პ. 35; გრამატიკულ ტრაქტატში ბერძნულ პარადიგმებში მიმართვითი შორისიდებული (ბ) გამოცემულია ოთი, მაგრამ შესაბამის მაგალითთა ქართულ თარგმანებში ტრადიციისამებრ ისევ შ არის: წოდებითად რამ, კუალად: „ო თე“. ეს იგი არს, ვითარებდ: შ ღმერთო 7.

ს და კ ერთმანეთში ალრეული არ არის. გულის კ მა და მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები ყოველთვის კ-თი იწერება.

ორი ზედიზედ მოსული ერთნაირი ბგერის გამოხატვა. ორი ერთმანეთის მომდევნო ერთნაირი ბგერა ჩვეულებრივ ორი ნიშნით გადმოიცემა, ე.წ. „თეშდიდური მოვლენები“ იშვიათია როგორც სრულად დაწერილ, ისე დაქარაგმებულ სიტყვებში: ალსაარებად პ. 32 (მაგრამ: აღმსარებელნი პ. 2); მმწყსელი, მმწყსელისათვს პ. 60; ორობითთავ 8; განმრავლებითთავ 11; მსახურებითთავ პ. 2; ლექსისა 10; პ. 38 (მავრამ: ლექსი 11); დავითისსა პ. 8; ეკალნი აღმოავლინნა პ. 10; აცხოვნნა იგინი პ. 65; გამოიყვანნა იგინი პ. 74; იგინი ურჩ ექმნეს პ. 66, 67 (მაგრამ: წწყლნიცა... იქმნეს პ. 14).

დაქარაგმება და ზოგიერთი სიტყვათა ფორმა გამოცემაში. დაქარაგმება A-ში შედარებით ნაკლებად გამოიყენება, ხშირია სიტყვათა სრული დაწერილობანი. მეტწილად დაქარაგმებულია თანდებულები, კავშირები, ზმნიზედები, ნაცვალსახელები. სხვა სიტყვებში დაქარაგმებას სისტემური ხასიათი არა აქვს. ამიტომ ათონური ხელნაწერის ქარაგმათა გახსნა უმეტეს შემთხვევაში ეჭვს არ იწვევდა. იმ სიტყვებში, რომელთათვის სხვადასხვა დაწერილობა არის მოსალოდნელი, ქა-

¹ ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 134.

რაგმები წინამდებარე გამოცემაში თითქმის ყოველთვის გახსნილია გათი სრული დაწერილობის შესაბამისად.

წწ ყლ და წწ ყლ ბა სიტყვათა პირველი ნაწილის ფორმას გვიჩვენებს სრული დაწერილობანი: წინამდებარებულთა 3; საწილა ნამდებულმეტულთა 3. 38; საწინამდებარმეტულთა 3. 43. პირველი გვ. 19;

თქ მ (ლ). ეს სიტყვა საკმაოდ ხშირად გვხვდება გახსნილად დაწერილი; თქუმად 3. 19, 25, 28; თქუმული 3. 7; თქუმულად 3. 39; ომომთქუმებან 3. 37 და სხვ. უფრო იშვიათია დაწერილობა უმარცვლო უ-ს გარეშე: თქმულისა 3. 4; თქმულად 3. 61; ამიტომ ქარაგმათა გახსნისას გამოცემაში სრული დაწერილობა ვარჩიეთ, მით უმეტეს, რომ ხელნაწერისთვის საზოგადოდ დამახასიათებელია უმარცვლო უ-ს შენარჩუნება.

მც ხ-ვ რ(ება) და მც ხ(ე) ბა). ტექსტში გახსნილად დაწერილ სიტყვებში გვხვდება: მაცხოვარი 3. 75; მაცხოვრისა 3. 7; ვაცხოვარებისა 3. 40; მაცრამ არის აგრეთვე: მაცხოვარებისა 3. 28; მაცხოვარი 3. 56. ამიტომ დაქარაგმებული დაწერილობებიც გამოცემაში ორგვარად არის გახსნილი იმის მიხედვით, არის თუ არა მათში ვ. ცხრ-ბა და ცხვ-რბა ქარაგმები გახსნილია იმავე წესით, როგორითაც წინამავალი სიტყვისა.

ი ც-ლ გამოცემაში გახსნილია ასე: ისრაელ. ამგვარი სრული დაწერილობები აღრევეც გვხვდება², ათონურ ხელნაწერში კი ც, როგორც ვნახეთ, საზოგადოდ ნაკლებ იხმარება, ამიტომ ასეთი იყოთვეისი ვარჩიეთ.

პუნქტუაციის სისტემაზე და ხელნაწერში გამოყენებულ სხვა ნიშნებზე მსჯელობა იხ. ზემოთ.

ფონეტიკური მოვლენები

არქაული ფორმები. ათონურ ნუსხაში კარგად ჩანს მცდელობა ძველი ქართული სამწერლობო ენისათვის ნორმად მიჩნეულ ფორმათა დაცვისა: „მცდარ“ დაწერილობათა რაოდენობა ტექსტში შედარებით მცირეა; რაც არის, უმეტესად ქართული ენის ისტორიულზ განვითარებისათვის საყოველთათ პროცესებს ასახავს. შეიძლება და-

² ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მცი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: სინური მრავალთავი, გვ. 309.

ვასახელოთ პირეელადი ფორმების ხმარება ს თანხმოვანის ასიმილაციის გარეშე ნუნისმიერ შიშინა თანხმოვანთა წინა პოზიციაში: სკული, სკულისა, პ. 40, 43; სკულისდებათასა პ. 40; სკასა პ. 69; სკომლეთ პ. 11; სჭამდით პ. 69; სამსკუალთასა პ. 37; აღმოსკრეპტ. 142 და სხვ. მსგავსი ფორმები მწიგნობრული ენისათვის დამახსროვებლით არის მიჩნეული³.

შენარჩუნებულია ნათესაობით ბრუნვის ფორმანტის ს: შვილისშეილთა პ. 47. სიტყვა წარმოდგენილია კომპოზიტად: იქვს სათანადო გრაფიკული ნიშანი — რკალი სიტყვის ნაწილებს შორის.

ბგერათა დაკარგვა. თანხმოვანთაგან ხშირად იყარება ვ: ნათესაობით, 9; ნათესაობითად 13, 17 (შესაბამისი ადგილები S-ში: ნათესავობითი; ნათესავობითად); ფრთოან პ. 25; წიდოანმან პ. 59; პლო პ. 12; იპოების პ. 31.

ვ ზოგჯერ შენარჩუნებულია იქ, საღაც მოსალოდნელი იყო მისა დაკარგვა: დაცულ პ. 14; მაგრამ: კუმეული პ. 16.

ერთმანეთის გვერდით გვხვდება: ბრგუნილი და ბრგუნეილთა პ. 18; ხმოვანთაგან იყარება ა: საღმე პ. 6; არ მქონებელსა პ. 34. ე დაკარგულია: ესოდენად პ. 15; ესოდენ პ. 24, 50. ა და ე ხმოვანთა რედუქცია ფუძეკუმშვად სახელებში უმეტესად არ ხდება: ნაცვალიდ პ. 10, 48; აღმომავალისა პ. 8; იშვიათია შეკუმშული ფორმები; უმეტად 1; სოფლად პ. 5; შიშულისა პ. 21; შიშულად პ. 47.

ყოველთვის იყუმშება დედალ და მავალ ფუძეები: დედლისა 12; მამლისა 4. იყუმშება ძალ ფუძე ბრუნებისას და მაშინაც, როდესაც იგი ახალი ფუძის საწარმოებლად არის გამოყენებული: ართრონთა ძლით 1; ართრონთა ძლითიცა ესე სიტყუად 23.

ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება პარალელური ფორმებიც: მწერალად პ. 16; მაგრამ: მწერლისა მახვილმწერლისა პ. 17.

სიტყვასაწარმოებელ აფიქსთა დართვის შემთხვევაშიც ურედუქციონ ფორმები გვხვდება: საგონებელობად პ. 53; ახალმკუეთელობად პ. 13; ერთქმაობად პ. 70; მაგრამ: სამეცვად პ. 69.

ყურადღებას იქცევს უ-ს დაკარგვა მეუფე და მისგან ნაწარმოებ ფუძეებში. რამდენიმე სრული დაწერილობა ეჭვს არ ტოვებს, რომ სწორედ ეს ფორმა არის ჩვეულებრივი ტექსტისათვის: მეფე

³ ბ. სარჯეველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესახვათ, თბ., 1984, გვ. 302.

(ციტატაში: ლი მაღალ, საშინელ, მეფე დიდ — [ფს. 46,3] 3, 11; მეფისა პ. 24, 28. სამეფოსა პ. 24; სამეფოთა პ. 16; მეფობად პ. 75. ერთადერთი გამონაკლისია: სამეუფოსა პ. 2, და იქაც უ ზემოდან არის ჩამატებული.

გ) სხვადასხვა. განვითარებულია ნ: შეამწინებულებს პ. 49. გვაძეს აგრეთვე: ნამეტნავად 23, მაგრამ: ნამეტავად პ. 22. გვხვდება ძევლი ფორმები: რაოდენ პ. 1, რაოდენი პ. 15 და ახალი: რავდენი პ. 18.

ა ნუსხაში (გრამატიკულ ტრაქტატში) ჩვეულებრივი ფორმაა თ ა-თ ო ე უ ლ ი: თითოეულსა 2; თითოეულისა 2; 3, 11, 22. S-ში შესაბამის აღვილებში თკ თ ე უ ლ ი გვხვდება.

საინტერესო ფორმაა: მწვალებრებრი (←მწვალებ(ე)ლებრი) პ. 27.

ტექსტში ჩვეულებრივ ტრადიციით დამკვიდრებულ ფორმას ინარჩუნებს ისრაელ (იტ'ლ): მეფე ისრაელისად პ. 11; სახლისა ისრაელისა პ. 65. მხოლოდ ერთგან გვხვდება განსხვავებული ფორმა: იზრაილ პ. 43, უკანასკნელი საყურადღებოა იმითაც, რომ ბოლო ი ბერძნულის გამოთქმას ასახავს (ბერძნული სიტყვების გადმოცემა ქვემოთ საგანგებოდ არის განხილული).

მეღერის გაელენით ს—ჲ: არიანოს (‘Aρειανός): არიანოზთა უკუკნებავს პ. 27. ამ სიტყვის ფორმა (ისევე როგორც ანგელოზისა) ტრადიციულია ქართულისათვის.

ბერძნული სიტყვების გადმოცემა. გრამატიკულ ტრაქტატში და საზოგადოდ A-ში ცველგან ქართული ასოებით არის გადმოცემული არა მარტო ქართულში შემოსული ბერძნული სიტყვები, არამედ ისინიც, რომელთა უცხო წარმოშვავლობაზე არის საგანგებო მსჯელობა. ასეთებია: ბერძნული ართონები და ნიმუშად მოყვანილი საბრუნებელი სიტყვები, A-ში სხვაგან ტექსტში ნახმარი და აშიებზე შენიშვნებში გატანილი ბერძნული სიტყვები, რომელთა მნიშვნელობებია განმარტებული. სავარაუდოა, რომ ასე იქნებოდა ავტოგრაფშიც, რადგან ასეთია ქართული ტრადიცია. მაგალითად, 1035 წ. გადაწერილ ხელნაწერში (ხელნაწ. ინსტ. A—135) უცნობი კომენტატორი წერს: „ბანინ“ წერილ არს სიტყუასა მას ჰებრაელთა შორის გალობასა, რომელი „შვილად“ ითარგმანების⁴. ეფრემ მცირეს ასეთი განმარტე-

⁴ ქ. დავით იონე, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უძველესი ქართული „დავითის“ ტერმინოლოგიისა და ტექსტუალური თავისებურებებისა: ეტიე, 111, თბ., 1955, გვ. 126.

ბები აქვს: „ებრაელთა თვესსა ენასა სხუად სახელი აქუს ცხებულსაა, ესე იგი არს „მე სი ა“, ხოლო ბერძულად „ქ რი ს ტე“ ას, „კ ვ კ ა“, რომელ არს ებრაულად, და „პ ა ტ ი რ“, რომელ არს ბერძულად სხელი მამისად“⁵.

ქართველ მთარგმნელთა პრაქტიკის მაჩვენებელი კუჭურებულის რის ერთი შენიშვნაც, რომელიც მის მიერ თარგმნილი „საქართველოს“ აშიაზეა მიწერილი ტექსტის ხელით იქ, სადაც ძირითად ტექსტში რამდენიმე უცხო წარმომავლობის სიტყვაა დამოწმებული (სპარადი, გალატოზი, ნაკაში და სხვ.): „შეისწავე, რამეთუ ესე კელთსაკმართა სახელები ზოგი ბერძულადვე დავწერე, რაფამს მრავალთაგან გამოვიდიე და ზედამიწევნით ვერვინ მითხრა. რამეთუ ადგილსა და ადგილსა სხუად და სხუად კელთსაკმარი აქუს და ზოგა აშარდა იპოების; ამისთვე დაგდებასა ანუ ტყუვილით დაწერასა ბერძულადვე დაწერად ვირჩიე. რამეთუ თკო ბერძენიცა ამასვე პყოფენ, რომელ სხესა ქუეყანისა ნაყოფსა, რომელიცა საბერძნეთს არა დგას, მისივე ენისა სახელითა დასწერენ: შაქარსა — სახარად, უულყასა — კულკასად და ზაფრანსა — ზაფრად, რომელი-ესე არაბულითა ენითა არიან და მათსა ქუეყანისა იქმნებიან“⁶, „ბერძულადვე დაწერა“, როგორც ხელნაწერიდანვე ჩანს, გულისხმობს ბერძნული სიტყვების ქართული ასოებით გადმოცემა.

ათონურ ხელნაწერში ბერძნულ სიტყვებში განსაკუთრებით საყურადღებოა ხმოვანთა გადმოცემა.

ბერძნული ხმოვნები და ისტორიული დიფორმინგები ქართულ ტექსტში შემდეგნაირად არის ასახული (ქვემოთ მაგალითებში ვრამატიკული თხზულებიდან ამოღებულ ნიმუშებს დამოწმება არ ახლავს, რადგან ყველა ფორმა საძიებელში არის ნაჩვენები):

—ა (ჸ), ას (ჸს), ტა (ზა) და სხვ. ე—ე· თეოს (შეტ), თეე (შეტ), ლექსი (ასტი) და სხვ; ი—ი: ი (ი, ი), ინ (იუ), ტი (ზე) ოიტორ,

⁵ ვ. შანიძე, შესვალი ეტრემ მცირის ტალმუნთა თარგმანებისა, გვ. 92.

⁶ კ. დანელია, ახალი მასალები ეტრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესწავლისათვის, მაცნე, № 4, 1974, გვ. 36.

⁷ ყულყასი — არაბ. قلقاس მცენარეა (მიწავაშლა, ეგვიპტური კართვილი). „შეისწავე“ გამოქვეყნებულია: ქართულ ხელნაწერთა ილწერილობა... A ფონდისა, ტ. 14, თბ., 1954, გვ. 119.

(έργατωρ), διδούσε (διδούσε δόρτο, διδούσεισα $\delta^{\text{π}}$ ζωμ; δίδημος); οινούς (οινούς τεκνόδομος, οινοτεκνόδομος δ ζωμ; ἡγιονοχεία, ἡγιονοχος). Σαγγούταρ-Σακελλαγούταρος οινούς 3, 65 (Ησαΐας, οινούς 3, 74 (Ιωάννης).

ისეთი გადმოცემები, რომლებიც ე. წ. იტაციზმს ასახულებ, მაგრამ უკვე XII საუკუნის ქართულისათვის კარგად არის ცნობილი. მათგანისაუკუნის ზემოთ მოყვანილი სიტყვისათვის შეიძლება დავსახელოთ განსხვავებული ფორმები უფრო ძველ ძეგლებში (საკუთარი სახელები: ესაია, იოელ). შეიძმჩნევა ისიც, რომ ზოგიერთ ტექსტში დაწერილობა მერყეობს. გვხვდება როგორც ძველი, ისე ახალი წარმოთქმის შესაბამისი ფორმები⁹.

ერთგან გვხვდება: ეპქლისიისასა კ' მ ჰომ. (შდრ. ჰეკლესი). კა
უნდა იყოს ელინოფილურ ტრადიციათა მიმღევარი მთარგმნელის
მიერ ნახმარი ფორმა, რომელშიც არა ვარტო გვიანდელი გამოთქმის
შესაბამისად უ ხმოვნით არის გადმოცემული, არამედ ორი ერთგვა-
რი თანხმოვნის დაწერილობაც შენარჩუნებულია. ორი თანხმოვანი
იწერება აგრეთვე ამ სიტყვაში: ელლინთა პ. 51;

—ο: Τρίσιας (τριάδες); γράποις τριγράποις αργαν. 3. 52 (ἐπιστολή). ο—ω: ω (δ, δ), ως (δε), ων (δν), τρι (τό), τρεως (θεός), αρτρόν (ἀρθρόν). ω—ω: ω (ώ, φ, ώ), ων (ών). λυρέω (λύμα).

გამონაკლისია უმლია (ტექსტი) სათაურებში:

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მიმართვისას ა შორისდებული ქართულად მ-თი არის გადმოცემული.

ս—չ: Տշնտղմա (ԾԵԿԻՂՄԱ) յ՝ % Յոթ.

ა:—ე: ე (ა), ტენ (ταῖς), ტეს (ταῖς). ასეთი გადმოცემა ბუნებრივია იმ დროისათვის, როდესაც არის საფარაუდო ოხზულების დაწერა, რადგან შესაბამისი ცვლილება ბერძნულში ბევრად უფრო ადრე ხდება¹⁰. ე ას დიფორნგის გადმოსაცემად XI — XII ს. მრავალ ძეგლში გვხვდება. გიორგი მთაწმიდელი ფსალმუნის ანდერძში წერს: უკუ-

⁵ 6. ମାତ୍ରାନ୍ତରେ, ଶିଳ୍ପାନ୍ତରୀୟରୁ ଦେଖିଲୁଣିଲୁଷ ଘର୍ଣ୍ଣରୁଷ ଶାସକଶ୍ରଦ୍ଧା, ପଦ., 1965, ୧୩, ୩୦: ମାତ୍ରାନ୍ତରୀୟରୁ (ପ୍ରେସ୍. ୧୧, ୧୭୬, ୨୨), ଢର୍ମଗ୍ରହିତା (ପାଠ୍ୟକ୍ର. ଫର୍ମ. ୬୬).

9. შანიძე, გორგი მთაშმილის ენა იღვანებს და ეკოლოგის ცხოვტებას, მიხელეთა: ძეგლი ქართული ენის ძეგლები, 3, თბ., 1946, გვ. 80. (სქემა, აპთორი).

¹⁰ ს. კაუნიში შვეიცარია, გიორგი ამარტოლის ხრონიკების ქართული თარიღი, II, თბ., 1926, გვ. 67.

ეთე ერმე... კე (ჯავ. მ. შ.) იცოდის, ანუ დარ (გარ) გინა ოფენა¹¹ ი—ჰ: ტკნ (თინ), ტკს (თის), ზნ (ცინ), ქს (ცის) ტრიადენ (ტრიადია). ა. ღითოონგის გადმოცემა ქართულში სახოგალოდ სხვადასხვაგვარია (ლ, კ, ი). განსხვავება შეპირობებულია როგორც ქრონილოგიური. ასე დიალექტური ფაქტორებით¹². ათონურ ხელნაწერში სისტემების მსგავსობა¹³ კულტ დარღვევები (უმთავრესად S-ში) გრამატიკულ თხზულებაში მხოლოდ გადამწერის მიერ დაშვებულ შეცდომებს წარმოადგენს.

ეს—ეს: პნევმა (პნეუმა).

ის—უ: ტუ (თინ), ტუს (თინი), თეუ (შინი); მუ (მინ) ჸ. 25.

ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე ქართული დაწერილობა სხვადასხვა ბერძნულ ბეკრას შეესაბამება: ე, აა — ე; ი, ი — ი; օ, ო — ო; ამის შედევგად გრამატიკულ ტრაქტატში ზოგჯერ ფორმათა დამთხვევაც ხდება: ოონ — τόν, τῶν და სხვა. როგორც ზემოთ მივუთითეთ, თხზულების ორიგინალში მახვილის და ასპირაციის ნიშნები უნდა ყოფილიყო (არა მარტო S-ში, არამედ ათონურ კრებულშიც კი, ეს ნიშნები უსწოროდ არის ნაბეჭდი). ამიტომ ზოგიერთი დაწერილობა (მაგალითად, ტ და ტ), ალბათ, გრაფიკულად ირჩეოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ ხმოვნის გაღმოცემაში კი დამთხვევები მაინც უნდა ყოფილიყო¹⁴.

თანხმოვანთაგან საყურადღებოა წ, ყ, ჯ-ს ქართული გადმოცემა. პირველის ნიმუშად შეიძლება დავისახელოთ: ქეროვიმთა ლ-ი პომ და სახელები: იაკობ (ივაბე) ჸ. 75; რუბენ ჸ. 75 (*Ρευθήν). ხოეარ (ხობერ) ჸ. 30. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მთარგმნელი კარგად ცნობილ ბიბლიურ სახელებს ძევლი, ტრადიციულად ქცეული ფორმით ხმარობს, სხვაგან კი შესაძლოა განსხვავებული გადმოცემა აჩევნოს. ხოვთ ბიბლიის ოშეურ ტექსტში ყველგან (ეზექ. 3, 15; 23;

¹¹ ფსალმუნის ძევლი ქართული რედაქციები, გამოსცა მ. შანიძე მ, ძევლა ქართული ენის ძევლები, 11, თბ., 1960, გვ. 027.

¹² 6. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საყითხები, თბ., 1978, გვ. 18, 19.

¹³ უნდა შევნიშნოთ, რომ ძევლად ქართველ შიგნობრებს ზოგჯერ მაინც უცდიათ ამ სხვაობის ჩევნება; შატბერდის კრებულში ე. წ. „სასწავლო წიგნში“, ბერძნული ანბანის 0-ს გადმოსცემს ოკ, ხოლო ო-ს შ. შატბერდის კრებული, გვ. 196.

10, 15; 10, 20; 10, 22) ქობარ სახით არის მოცემული¹⁴ ხოლო გვ-ლათურ ბიბლიაში, რომელიც ელინოფილური მიმდინარეობის წარმო-მადგენლის ნაშრომად არის მიჩნეული, შესაბამის აღვილებული გვ-გვ-ბარ იყითხვისი გვხვდება (ვახტანგისეულ გამოცემაში უკავშირის ქს გადამცემისას ზემოთ დასახელებულ მაგალითებში ერთგვარობა არ ჩანს (ქეროვიმთა, ხოვარ); შერ. ხოროთა, კ. პომ; ინიონთაბასა კ, პომ).

ყ-ს შეესაბამება დ იმ პოზიციაში, სადაც თვითონ ბერძნულში სპირატიზებული გამოთქმა არის საგულვებელი (თანხმოვანისა და ა ხმოვნის წინ): ლრამმატიკოსთა 7; ორლანოსა პ. 56.

მორფოლოგიის საკითხები

წრფელობითი და სახელობითი. წრფელობითი ბრუნვა ძალიან ხშირად იხმარება რთულ ფორმებში, მაგალითად, შედგენილი შემასმენ-ლის სახელად ნაწილში: ბნელად საგონებელ არს... შეუძლებელ არს თარგმანებად 1; სადა წერილ არს პ. 28; არა უღიანო გარ ჩუენებად პ. 35;

აქა-იქ მსგავს შემთხვევებში სახელობითიც გვხვდება: უკუთე მაცხოვარებად არს ქრისტეს მოსლვად თთ 6; ჩუენლებად არს წერილისად პ. 70; კაცობრივი არს მეცევარობად პ. 44.

წილები ზმნასთან წრფელობითი იშვიათია: წინავსწარმე-ტულ მაღლის იწოდო პ. 9 (ეს არის ციტატა: ლ. 1, 76). სხვაგან ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივია ვითარებითი ბრუნვა: მზელ სიმართლისად უწოდდეს პ. 4; მეცედ უწოდდა პ. II; საყვრად უწოდს პ. 23. უწოდს... ღმრთად პ. 53; ძალად იწოდების მა-მად პ. 73; ვითარებითი ბრუნვა იხმარება აგრეთვე მეტყველების გამომხატველ სხვა ზმნებთანაც: უფლად ცეკვა და არა ვამად პ. 29; ძალად სახელ-დებულ არს პ. 75; აჩუენებს ძესა უფლად თქუმითა პ. 31.

მიმართულებითი. ამ ბრუნვის ხმარების სულ რამდენიმე შემთხვე-ვა არის: მიიყვანა იგი მღდელთმოძღურისა სკმეონისა პ.

¹⁴ ენიკელის წიგნის ძელი ქართული ვერსიები, გამოსცა თ. ცქინტიშვილი, თბ., 1980, გვ. 275.

5. ორი ს იმავე რიგისაა, როგორისაც დაწერილობაში: მივიღა მასსა, სხვა თავალითია: ს ა მ ე ბ ი ს ა ც ა თვალინოთ პ. 75.

ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ამ და თა დიფორმენტთა დაწერილობანი თითქმის ყოველთვის ძვრა ქართული ენის ნორმებს მისდევს. შესაბამისად ა და ო ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებისას ა შენახულია ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ეს დიფორმენტი უნდა გვქონდეს: თარგმანებამ I. ცაჟცა პ. 9. კელი უ ფ ლ ი ს ა ჯ პ. 7. წესითა მთარგმნელთა მთა და სხვ. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სწორი დაწერილობა ნაკლებ მოსალოდნელი იქნებოდა XVII ს. ხელნაწერში და ეს ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ A ხელნაწერი მართლაც ადრინდელია.

ე ხვივანფუძიან სახელებს სახელობითი ბრუნეის ნიშანი, როგორც მოსალოდნელი იყო, არა აქვთ: იშვა... სიბრძნე და სიმართლე და სიწმიდე და გამოქსნამ პ. 7. გამონაკლისია: ტყუშ პ. 20, სადაც ც უმარცვლო უ-ს მომდევნოა.

მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად იმ-პარება თ-ანიანი მრავლობითი. ებ-იანი მრავლობითი გრამატიკულ ტრაქტატში სულ არ არის. ოქროპირისისეულ თხზულებაში კი მისი ერთეული მაგალითებია: ყრმათა ვათთა ჭ მე ბ ს ა პ. 18.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი გეოგრაფიული სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმით ხმარება: ათინათა შინა პ. 48. ამ ფუძისაგან ნაწარმოებ წარმომავლობის სახელს მრავლობითის ფორმანტი აღარ გადმოჰყება: ათინელთა პ. 52. Al 'Aშერა: მრავალობითის ფორმით გადმოღებული აქვს ეფრემ მცირესაც (ათინები, ათენანი), რომელიც კომენტარებში ერთგან შენიშნავს: „სამრავლოდ იტყვს სახელსა ქალაქისასა, ვითარმცდ „ათინანი“, რამეთუ ჩუეულებად არს ელლენთა ენისამ, რამთა ოდესმე მასვე და ერთსა სამრავლოდ სახელ-სდებდეს, არა ხოლო ადგილსა გინა კაცსა, არამედ მასვე და ერთსა საქმესა სამრავლოდ თქმითა“¹⁵.

საკუთარი სახელები. პირის სახელთა ბრუნებისას თითქმის ყველგან ძველი ქართულის ნორმებია დაცული: საკუთარ სახელს ბრუნეის ნიშნები არა აქვს სახელობითსა და მოთხრობითში. მკვეთრად

¹⁵ ჭ. ს ა რ კ ვ ე ლ ა ძ ე, საზოგადო სახელად გავებული ერთი ტოპონიმისათვის საბას ლექსიკონში, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1979, № 2, გვ. 102.

ჩანს საკუთარი და საზოგადო სახელის სხვაობა მოთხრობით ბრუნვაში შემდეგ მაგალითში: ნეტარმან თომა, ერთმან მოციქულთაგანმან, ურწმუნო-ქმნილმან მაცხოვრისა აღდგომისამან და მნებელებისამან... და აღმომთქუმელმან ამის კმისამან პ. 37.

დანართიანი საკუთარი სახელი ბრუნვის ფორმანტს არ ირთავს: მამისა ჩუენისა ითანე იქროპირისა კონსტანტინუპოლელ მთავარეპისკოპოსისად. ასეთი ფორმა არის ყველგან ათონურ ხელნაწერში თხზულებათა სათაურებში; კმავ იერე მია წინააღმდეგმეტყუელისად პ. 38. ერთი ასეთი შემთხვევა მაშინაც გვაქვს, როდესაც საკუთარ სახელს (ტომის სახელად გაგებულს) მოსდევს ატრიბუტული განსაზღვრება: მისცა იგი იაკობს ყრმასა მისსა და იზრაილ შეყუარებულსა მისსა პ. 43.

ნაწევრის ხმარება. საგულისხმოა, რომ ნაწევრის ხეარება ჩვენს შეირ განიხილულ ძეგლებში მეტად შეზღუდულია. გრამატიკულ ტრაქტატი სულ სამიოდე შემთხვევა გვაქვს: ათსამეტნი იგი ართრონნი 11. ლექსისა ამას 11; ართრონნი ესეცა 23 (შდრ. ამათ პირველთა ართრონთა 22; ამათ ათცამეტთა ართრონთაგან 19). იქროპირისეულ თხზულებაშიც ნაწევარი იშვიათად გვხვდება. ქვემოთ ჩიმოთვლილ მაგალითებში ნაწევრის ხმარების თითქმის ყველა შემთხვევა ორის ჩამოთვლილი: დასჯასა მას ადამისსა პ. 10; ესე არს თანაქცია იგი პ. 44; არსებისა მის პ. 6; კიდეთა მათ სოფლისათა პ. 46; ვინ არს მმწყსელი ესე პ. 60; ვითარცა განმწარებასა მას დღისა მისებრ განცდისა პ. 60 (ციტატა. ფს. 94, 8).

ნაწევარი იხმარება „თქუმულ“ სიტყვასთან, როდესაც იგი ციტატას მიუძღვის: თქმულისა მისებრ „დაფარნა ცანი“ [ამბ. 3; 3]; პ. 3; თქმულისა მისებრ იეზეკიელისა: „და იქმნა ჩემ ზედა კელი უფლისად“ [ეზ. 33, 22] პ. 17; თქმულისა მისებრ: „ენად ჩემი საწერელი“ [ფს. 44, 2]. პ. 17. თქმულისა მისებრ მაცხოვარისა შეირ: „ამიერითგან იხილოთ“ [მ. 27, 64]! პ. 72.

ზოგადრო თანდებულის შესახებ. ებრ თანდებული ხშირად გვხვდება ტექსტში; მსგავსების გამოხატვა უპირატესად მას ეკისრება; იგი ერთვის ნათესაობით ბრუნვას, რომელიც სრული სახით არის წარმოდგენილი: ძალისაებრ I; საზღვართაებრ 7; საქმარებისაებრცა 11; სიტყვასებრ პ. 9; მოციქულისაებრ პ. 31; პ. 34; გონებისაებრ პ. 69; წყალობისაებრ, სიმრავლისაებრ პ. 65; ბრუნვის ნიშნის გარეშეა, რო-

გორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ს ხ უ ბ რ 19¹⁶. როდენაც სახელი განსაზღვრულია კუთვნილებითი ნაცვალსახელით ან ნაწევროთ, ებრ თანდებული უმეტეს შემთხვევაში მათ ხლავს: მათისაებრ ენისა 3; თვ ს ი ს ა ე ბ რ ნებისა პ. 69; თქმულისა მის ტრანსლოზისა (მაცხოვრისა) მიერ პ. 23, 72; შდრ. სიტყვსაცხრა ტექსტი¹⁷; 5; ძალისაებრ ჩუენისა პ. 25.

სახელთა წარმოქმნა. ორივე თხზულებისათვის დამახასიათებელია წარმოქმნილ და რთულ ფორმათა დიდი რაოდენობა როგორც სახელებში, ისე ზმნებში. სახელებში საწარმოებელ ელემენტებად ვავლანება არა მარტო საკუთრივ დერივაციული იფიქსები, არამედ ბრუნვის ფორმანტები და თანდებულები.

მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტი - ით მრავალი სპეციალური ტერმინის საწარმოებლად არის გამოყენებული გრამატიკულ ტრაქტატში. ასეთებია ბრუნვათა სახელები, რომლებიც ზემოთ იყო განხილული: ადგილობითი, ნათესაობითი, შობილობითი, მიცემითი, მიზეზობითი; გრამატიკული რიცხვის აღმნიშვნელი ტერმინები: ერთობითი, განმრავლებითი, ორობითი; ასევეა ნაწარმოები: დამორჩილებითი.

ასეთივე წარმოების მაგალითებია ით პომილიაში: თანა-შთამომავლობითთავ პ. 53; მპყრობელობითი პ. 71, 75; შემწეობითი პ. 73.

ძალ სიტყვა მოქმედებით ბრუნვაში ხშირად იხმარება „გამო“, „თვს“ თანდებულთა მნიშვნელობით¹⁸; ართრონთა ძლით I; ღმრთისმეტყველებისა ძლით პ. I; სულისა ძლით პ. 26. ეს ფორმა გამოყენებულია საწარმოებელ ფუძედაც: ართრონთა ძლითიცა ესე სიტყუად 23; კეთილმსახურებისა-ძლითთა ტკივილთა შინა პ. 2; შემოიღებს თავისა თვსისა-ძლითთა არა შეძინებისა ძლით, არამედ თარგმანებისა პ. 20; თანა-წარვპკდე ამის-ძლითთა პ. 37. ამის ძლითისიტყუად პ. 26.

კითარებითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოებია ახალი ფუძეები: გრძნობადი პ. 2; მოლოდებადსა პ. 45; ცნობალისა ლუ პომ.

სიტყვასაწარმოებლად გამოყენებულია აგრეთვე არქაული ფორმანტი ივ: კაცობრივი პ. 2, 14.

¹⁶ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, თბ., 1973, გვ. 603.

¹⁷ ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, გვ. 222.

ზოგჯერ საწარმოებელ ფუძედ არის გამოყენებული ზმნის პირი -
ანი ფორმა, ან ამა თუ იმ ბრუნვაში დასმული სახელი: „ა ღ ვ ი დ ა“ - ა
არცა ჩემდა მოვონებად სათანამდებო არს პ. 13; „ო თეოს“ - სა დასკანო
სთარგმნი 6.

თანდებულიან სახელთაგან წარმოქმნილი ფორმებია:

გან: მსმენელთაგანთა პ. 1; კაცთაგანთა პ. 15; მოსწრაფეთაგანთა
პ. 25; ერთმან მოციქულთაგანთა პ. 37.

ებრ: წინახსწარმეტყუელებრი პ. 49; ღმრთებრი პ. 44; წოციქუ-
ლებრითა პ. 47; ყოვლისა მპყრობლებრისა პ. 70; ავგარად
წარმოქმნილ სახელებს ზედსართავის მნიშვნელობა აქვთ. ზემოთ ილ-
ნიშნული იყო, რომ ებრ თანდებული. როცა იგი მსგავსებას აღნიშნავს,
ნათ. ბრუნვის ფორმას დაერთვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც იგი
სიტყვამაწარმოებელი აფიქსის მნიშვნელობით იხსარება, ებრ უშუა-
ლოდ სახელის ფუძეს დაერთვის.

მიერ: შობილთა-მიერი ლეგ პომ.

მიმართ, მომართ: მართლმადიდებელთა-მომართიდ იტყვს 1;
ეფესელთა-მიმართსა ეპისტოლესა შინა პ. 19; კორინთელთა-მი-
მართსა მოძღურებასა შინა პ. 52.

ქუეშე: მოძღურებათ... სასჯელის-ქუეშე დ მოვალს პ. 13.

შინა: მოიქსენებს საქმეთა ეგვეტის-შინათა პ. 66; თვინიერ ძუე-
ლისა და ახლის-შინათა ღმერთი არა არს პ. 40.

ქონების სახელთაგან აღსანიშნავია -იერ სუფიქსით ნაწარმოები:
კეთილცნობიერსა პ. 18; საქმიერი პ. 27.

-იერ აფიქსით ნაწარმოები წარმოქმნილი სახელები, თავის მხრივ,
გამოყენებულია ფუძედ აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად; საქ-
მიერობასა პ. 37; კეთილცნობიერობით პ. 61; კეთილბოვნიერებისა ლებ
პომ.

-ოან სუფიქსით ნაწარმოებია: მკვდროანი ლ' პომ; წილოანმან
პ. 58. ფრთოან რთული ზმნის სახელადი ნაწილია: ფრთოან-ქმნითა
პ. 25.

-ეულ აწარმოებს ქონების სახელს: სირცხვლეულ პ. 2. საყურა-
დლებოა შისი ხმარება ისეთ ფორმებში, როგორიც არის: ხარის ჩ-
ეული და ლექსეული: ხარის ხეულად ილმყვანე-
ბელი პ. 51; განმარტებით ლექსეულად ითხოონ კმაჲ პ. 26.

სადა წერილ არს მათა ყოვლისა მპყრობელად ლაქსეულად?
პ. 35.

მარტო უ პრეფიქსით ნაწარმოები სახელები იშვიათია: უგუარად
20.

როგორც გრამატიკულ ტრაქტატს, ისე განსაკუთრებით ით პატ
მილიას ახასიათებს აბსტრაქტულ სახელთა ხმარების სიხშირე. აბს-
ტრაქტულ სახელთა საწარმოებლად იხმარება:

-ობა: უართრონობისათვს 1; მრავალგამომეძიებლობასა 20; უმ-
დაბლესობასა 21; მასწავლელობითა 3. 18; შემდგომობისა 3. 19; სა-
ქმიერობასა 3. 37; უცომელობად 3. 43; ვეცევარობად და მეცეობად
3. 44; მყოფობად 3. 46; უფლობისა 3. 53; საგონებელობად 3. 53; კე-
თილუამიერობით 3. 61; ერთყმაობით 3. 70; იფობასა კუ% პომ.

ზემოჩამოთვლილ მაგალითთაგან ჩანს, რომ -ობა სუფიქსის
ხმარების არე ფართოა; იგი ერთვის როგორც მარტივ ფუძეებს, ისე
წარმოქმნილ ფუძეებს, კომპოზიტებსა და შერწყმულ სახელებს.

ფილოსოფოსობად 3. 1. ეს შესაძლოა საწყისი იყოს; შდრ.: რამა
ესრეთ ჰეთილოსოფოსობ 3. 3.

კრებითი პნიშვნელობისაა მკედრობა: წინა-რბის ანგელოზ-
თა მკედრობა 3. 24.

-ება სუფიქსის ხმარება ხშირია ვნებითი გვარის მიმღეობებთან;
ცვალებულებად 2; განყოფილების შეონებელ პ. 15; კუთვნი-
ლებად 3; განგებულებისა მომვაჭრებელი. კ პომ. სხვა მაგალითე-
ბია: უ აწმუნოებისა ძლით 3. 37; უ ძლურებისა მიმართ
3. 46.

ვითარებისად 23; მრავალმრთეებად პ. 48; კეთილგონიერებისა
პ. 2; კელოვნებანი პ. 48.

სი-ე კონფიქსით წარმოქმნილ ფორმათაგან საყურადღებოა ს ი-
ა დ რ ე: ნე სი ა დ რ ი თ ვიკუმიო პ. 26. ეგევე სიტყვა გვხედება ცი-
ტატაში: ვითარცა წამებს ღმერთი ისაიას მიერ: მოახლდების ს ი-
ა დ რ ი თ სიმართლე ჩემი [ეს. 51, 5] ძველი ქართული ვერსიები, ავ-
რეთვე 1743 წ. „ბაქარის ბიბლია“ იძლევა ა დ რ ე იყითხვისს. სხვა
მაგალითებია: სიბრავლისაგან 23; სიცოფე პ. 21; სიბოროტემან პ
34.

დანიშნულების სახელებს აწარმოებს სა-ო: საწინახსწარმეტყუ-
ლოსა პ. 38; სანადირო პ. 61; საჭირო პ. 60 (ამ სიტყვის მნიშვნელობა
დღევანდელთან არის ახლო: ს ა ჭ ი რ ო არს პირველად თქუმად I;

გულისემისყოფად საჭირო არს და სთანადო პ. 60; სათანამზღვბო პ. 13. ზენური ფუძისაგან არის ნაწარმოები საწყისი საწყისი საწყისი უჩნდეს მკითხველსა 23.

ხელობის სახელთაგან აღსანიშნავია მესაშობლე (ის. დღმისი-კაში).

ხარისხის სახელთა შორის უმეტესობა ქველი ქართულისათვის ჩვეულებრივ ფორმებს გვიჩვენებს (უმეტეს პ. 34; უდიდეს პ. 35; უტებილეს პ. 18 და სხვ.). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რამდენიმე ნაწარმოები ფორმა, რომელიც თავისი წარმოშობით მწიფებრული ჩანს: უმკუეთელესი უფროს მახულისა ორპირისა პ. 27 (აქ ხარისხის სახელი ნაწარმოებია მოქმედებითი გვარის პიმლეობისაგან); ბნელთა პირველად უქუესკნელესთა ქუეყანისათა შთასრული პ. 20. უქუენაესად აჩუენებს პ. 32.

უფროობითი ხარისხის სახელი თურთონ წარმოადგენს საწარმოებელ ფუძეს: უართრონობად უმდაბლესობასა გამოაჩინებს პ. 21.

თბზული ფორმები. გრამატიკულ ტრაქტატში, რომლის ლექსიკა, თბზულების მოცულობისა და ხასიათის გამო, საზოგადოდ შეზღუდულია, კომპოზიტები და სხვა რთული სიტყვები შედარებით იშვიათია. სამაგიეროდ ოქროპირისეულ პომილიაში მათ მრავლად ვხვდებით. ამათგან ზოგიერთი ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი ხმარებისაა, მაგრამ ერთი ნაწილი კი საქმაოდ იშვიათია და მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

შესამჩნევია, რომ განხილულ ძეგლებში სხვადასხვა ტიპის კომპოზიტები ერთნაირი სიხშირით არ გვხვდება. თითქმის არ არის ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები, იშვიათია ტოლად შერწყმული სახელებიც. ტექსტში დადასტურებულ კომპოზიტთა (ფართო გაგებით) ერთი ნაწილი ბერძნულის კალკებს წარმოადგენს; მათი არსებობაც და ფორმაც შეპირობებულია ამა თუ იმ ბერძნული ლექსიკური ერთეულისათვის ზუსტი ქართული ეკვივალენტის შექმნის მცდელობით: სიბრძნითა მოციქულებრითა მიფარულ-ქმნილ იყო პ. 47.

შირად კომპოზიტისაგან ნაწარმოებია სხვა (უმეტესად აბსტრაქტული) სახელი, ზოგჯერ ზმნის პირიანი ფორმაცა და საწყისიც: ნაცალ-მოისპოს პ. 8; კელოვანმეტყულებენ პ. 36; წულილმოქმედებაც პ.

34; კრცელმეტყველებანი პ. 48; ერთქმაობად პ. 70. რადგენის შეი-
თხევაში კომპოზიტის პირველ ნაწილს კეთილ ფუძე წარმოად-
გებს: კეთილყამიერობით პ. 61; კეთილპოვნიერებისა ლოდინში კეთილ-
მსახურებისა ლა პომ. ასეთივეა კეთილცნობიერსა პ. 26. ეს უკირისი

ზოგიერთი პირის ნიშნის ხმარება / შირველი ობიექტური პირის
ნიშნად მრავლობით რიცხვში უმეტესად ნახმარია გუ: ღლგვწერიას...
წარმოგვჩენიან II; გვთქვამ 12; გვეტუნა პ. 70. ზედარებით იშვია-
თია ამავე ფუნქციით მ-ს ხმარება: და მაკლდების ჩუენ პ. 25;
წარმავლინენ ჩუენ / პ. 64. არქაული ფორმა შენარჩუნებულია
ციტატაში: დაგუამორჩილნა ჩუენ ერნი... გამომიტანა
ჩუენ [ფს. 46, 4-5]. სხვაგან ციტატებშიც პირველი ობ. პირის ნიშნად
მრ. რიცხვში ნახმარია გუ: გამოგეჩნდა [ფს. 117, 27] პ. 33. მოგუ-
ხედნა ჩუენ აღმოსავალმან [ლ. 1, 79]; პ. 9.

გარდამავალი ფორმები I კავშირებითში. მრავლობითი რიცხვების 3-3 პირში ოდ სავრცობიანი ზმნების ოდიან ღაბოლოების ნაცელად გვხვდება ოდინ: უკუკუ უართრონოდ იტყოდი 3. ასეთი ფორმა რამდენჯერმეა ღადასტურებული გრამატიკული ტრაქტატის თონურ ხელნაწერში, თუმცა უფრო გვიანდელ საფარულ ნუსხაში ზემოაღნიანულ შემთხვევებში ძველი (იტყოდიან) ფორმა გვხვდება.

ბრძანებითის ფორმები. მე-2 პირის ბრძანებითის ფორმები ძელი ქართულის ნორმებს მისდევს: ესრევე გულისყმა-პყოფლ... სიტყუას
3. 17. პირის მე-3 პირის ბრძანებითებიც: იყავნო. — იტყვს 3. 22. III
3. მრავლობითში გვხვდება უსწორო ფორმა: თარგმანებინ წინადაწირ-
მეტყუელმან და დაყოფილ იქმნენ პირი მწვალებელთან
3. 41.

ვაშინ აჩუენოს სულისა კეშმარიტებად პ. 30; ხოლო მე დავითს დავე მორჩილო უფროსსღა, ვიდრე შენ პ. 32.

ნასახელარი ზმნები. ყურადღებას იქცევს ნისახელარი ზმნათა სიმ-რავლე. ზმნები ნაწარმოებია არსებით და აბსტრაქტულ სისტემაზე, მ ზედასართავთაგან და მიმღებათაგან. საწარმოებელი ფუნქციებს სამდლისა კი მარტივიცა და რთულიც (კომპოზიტი):) დაღაცათუ ვგბრგუ-ნილობთ, არამედ ბრგუნვასა შინა მშეღობასა ვქაღაგებთ პ. 18; არა მნებელობს თქუმად პ. 19; ნუ განმარტებით ახლისა მკუეთელობ... არა მპოვნელი ლექსისაც უღონოებს პ. 29; განმცდელობენ მწვალებელთა შეილნი პ. 31; ესრეთ ჰყი-ლოსოფოსობ შენ, უფროსსღა ამაოდ ჰბრძნობ პ. 32; ართ-რონთავს ჩუენ თანა კელოვანმეტყუელებენ პ. 36; მკნო-ბდა მრავალმრთებად... განამკედრო სიტყუად პ. 48; შეაგ-წინკულებს სიტყუათა... შეაბავთებს სიტყუასა პ. 49; ჰმეზობლობდეს კორინთელნი ათინელთა... მითივე... სნეუ-ლებდეს პ. 52. არა უსამართლოებსა მცოდველი? პ. 68. მოქალაქობდეს ღმერთი პ. 51.

რთული ზმნები. მათი წარმოების არეც საკმაოდ ფართოა; გვაქვს ამ წესით შექმნილი ლექსიკური ერთეულები, რომელთა სანაცევლოდ შესაძლოა, ორგანული ფორმები გვქონოდა: უცნაურ- ეინამე -ჰყოფს I; ართრონი... შუენიერ-ჰკუოფს 6; ნეტარ-ჰკუოფდენ მე-ცისა ლირსებასა პ. 14; სიკუდილი ექსორია-ყოს პ. 10, მეფი-სა ...საცნაურ-ჰკუოფს მოსლევასა პ. 24; გვრგვნოსან- ჰკუოფს მოძლურებასა კუმომ. ამგვარად ნაწარმოებ ფორმებში მეორე ნაწილში საწყისიც შეიძლება იყოს: საჭირო არს... ფრთან-ჯმნითა გონებისა და ენისა ჩუენისამთა თქუმად პ. 29. უნდა შევნიშნოთ, რომ აქტიური მნიშვნელობის მქონე შედგენილი ფორ-მები პასიურებთან შედარებით მცირერიცხოვანია; ისინი უმეტესად ყოფა ზმნის მეშვეობით არის ნაწარმოები: კელ-მყოფელნი იმხილებიან კაპომ.

ვნებითის სხვადასხვა ფორმები. ვნებითი გვარის ზმნების ერთი ნა-წილი ორგანული წარმოებისაა: ექსენების ესე... ჩუენ განგულემარტა პ. I. არა თუ მისგან მიეცეს სწავლაც პ. 4; რამთა აღდასრულოს თქუმული პ. 7; არა მთარგმანებელსა ზედა აღიყვანების სი-ტყუად პ. 14; ღმრთად იწოდების პ. 32 (შდრ. სულსა უწოდს

ლმრთად პ. 46). აღდგომად იხარებოდა პ. 51. მამად ყოფილთა წერილთა მიერ იქადაგების პ. 55 (შდრ. ჰემინებულების, ეკონომიკური მედ თრთა უცხოთა ლმერთთა პ. ქადაგებს პ. 51); განმარისტებელი ლმრთისად დაისაჭების პ. 68. პასიური ფორმები აქვს ტრადიციული საც: ძალად ვიდრემე სახელ-იდების მამად პ. 72; ვიდრემის ნაცვალ-თოის პოს მთვარე პ. 33. ასეთი ფორმების გამოყენება უმეტესად შინაარსით უნდა იყოს ნავარნახვი; ტექსტში (უთუოდ ისევე, როგორც დედანში) შესაბამის მაგალითებში არ ჩანს ის პირი, რომელიც კონვერსიის დროს სუბიექტი იქნებოდა. თითო-ოროლა შემთხვევაში კი აქტიური კონსტრუქციის გამოყენება შეიძლებოდა და აქ სწორედ ბერძნულის სიტყვა-სიტყვით გაღმოცემასთან უნდა გვქონდეს საქმე: ესე ყოველთა მიერ აღმოიყითხვის პ. 16; ითქუა წინააღმერყულთა მიერ პ. 18; სამებისა მიერ აღვი-გენით პ. 51.

(ხშირია აღწერილობითი პასიური ფორმების ხმარება: მოძლუ-რებულ იქმნა) არა სიტყვთა იძულებულითა, არამედ სიტყვთა წამებულითა პ. 19; კითხულ იქმენის და ჩეცენ მიერცა პ. 28; სამეფომას ლირსებისაგან დაცვულ იქმნეს პ. 14; რამთა არცა პავლე ცილისწამებულ იქმნეს პ. 65; იგი ქადაგებულ იქმნების პ. 24; სავნებელ ეყოფვოდა... ქადაგებული სიტყუა პ. 47; ურჩ ექმნენით მცნებასა ლმრთისასა პ. 13. სავნებელ ეყოფვოდა პ. 47.

უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი წარმოება გვაქვს იმ შემთხვევებშიც, როდესაც რთული ფორმის სახელად ნაწილს წარმოადგენს არა მიმღეობა, არამედ არსებითი ან ზედსართავი სახელი (პირელადი ან ნაწარმოები): ვითარ გულის ქმა იქმნების პ. 22; სირცხვლეულ იქმნინ პ. 2; ძედ სარწმუნო იქმნების პ. 30; ღირს იქმნების პ. 68; ცხად იქმნეს პ. 11. ამგვარ წარმოებას შეესაბამება მიმღეობური ფორმები: ცხად-ქმნილთა 9; უღონო-ქმნილი პ. 29; ურწმუნო-ქმნილმან პ. 37. გარეგან-ქმნილი პ. 36. წინამძღვარ-ქმნილი პ. 60. ტრფიალ-ქმნული კუმ. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ასეთ პერიფრასტულ ფორმაში სახელადი ნაწილი მოქმედებითი გვარის მიმღეობაა: განგდებისათვს მაშინ მ 3 ყ რობელ-ქმნილის ა კერპთ-მსახურებისა პ. 39. მრჩობლი მიმღეობური ფორმა გვაქვს ამ მაგალით-

ში: არა თუმცა სიბრძნითა მოციქულებრითა მიუთარულ-ქმნილ
იყო 3. 47¹⁸.

გვიმდეობები. ორგანული წარმოების ზმნათა მიმღეობები ტექსტში
ძალიან ბევრია, მაგრამ მათი უმეტესობა ძეველი ქართულებს მუხრანულ
ლოგიურ ნორმებს შეესაბამება.

მკელობელ ან მკელობარ მიმღეობის ნაცვლად გვხვდე-
ბა კნებითი გვარის მიმღეობა: არა მიხედვენ ლექსსა კელობებუ-
ლსა 3. 18.

მოქმედებითი გვარის ზმნებს, როგორც ცნობილია, უკუთქმით მი-
მღეობათა წარმოება არ შეუძლიათ. შესაბამისი შინაარსის გამოსახა-
ტავად მიმღეობას უარყოფითი ნაწილაკი დაერთვის: არა-მ პოვნე-
ლი ლექსისად ულონოებს 3. 29. შდრ.: ხედავა.. უიძულებელსა
კუშარიტებასა 3. 64.

კითხვითი ნაწილაკები. ამათგან უპირატესად იხმარება ა; იგი თით-
ქმის ყოველთვის არის რიტორულ კითხვებში და მეტწილად ერთვის
ზმნებს: გნებავსა ხილვად 3. 8; უკუთუ ვისმინოთ შენი, კეთი-
ლთა ქუეყანისათა ვჭამდეთ ა? არა ჩუენ თანა ქუეყანისა ჰმკვდ-
რობა?.. არა მისგან იზარდებია? არა მისვე მიმართვე მი-
კცევია? 3. 15. არა გესმაა ისაიასი? 3. 68. და არა უსამა-
რთლოებსა მცოდველი 3. 69. შედარებით იშვიათია მისი ხმარე-
ბა სახელთან: პავლესაგანა გინა სხვსა ვისგანმე? 3. 39. კი-
თხვითი ნაწილაკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექსტში ხშირად სა-
განგებო მახვილის ნიშანს ატარებს.

იშვიათად მე ნაწილაკიც იხმარება, ვინ არს უკუე ამისი მეტყუი-
ლი, არა-მე ღმერთი? 3. 63.

ზოგიერთი უდეტრის ხმარება. ამ უდეტერთა შორის, რომლის
ხშირი ხმარება თავისებურ სტილისტურ ელფერს აძლევს ტექსტს,
პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვიდრე მე. ეს სიტყვა გრამა-
ტიკულ ტრაქტატში, როგორც საძიებლიდან ჩანს, ცამეტჯერ გვხვდე-
ბა: ბერძულსა შინა ვიდრე მე ნათლად ძეს ლექსი იგი... ნათლ-
სა სიტყუასა უცნაურ ვიდრე მე პყოფს და სხვ. ხშირად გვხვდე-
ბა იგი ით პომილიაშიც: ღალადებდეს ვიდრე მე წინადაწარმე-
ტყუელნი 3. 10; ღმრთისმეტყუელებისა კანონთა ძლევად ვიდრე

¹⁸ შდრ. კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 367.

მეცადინი სირცელეულ იქმნებიან პ. 2 (შეიძლება შევნიშნოთ, რომ მთელი ოთხთავის ტექსტში (შატბერდულ ნუსხებში) ვითქმის გე სულ ორჯერ არის ნახმარი: ვიდრე მე მოვლინებულ ვარ პ. 15,24; თუალი შენი ვიდრე მე ბოროტ არს პ. 20,15).
სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ უკრაინული ტყეების ძირითადი მნიშვნელობა ელინოფილური მიმართულების მწერლების, უმთავრესად ითანე პეტრიწის ენაში, არის „მაშასადამე“, „ამიტომ“ და რომ შესაძლებელია მისი ნაწილაკის ფუნქციითაც გამოყენება¹⁹. ათონურ ხელნაწერში შესულ მასალებში სწორედ უკანასკნელი ფუნქცია უნდა ჩანდეს. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს მაშინ, როდესაც იგი გვევდება ამა თუ იმ ტექსტის ან ტექსტის მონაკვეთის დასაწყისში, ე. ი. იქ, სადაც მიზეზ-შედევობრიობის გამოხატვა მოსალოდნელი არ არის.

კვ პომილია ასე იწყება: მოწამეთა ვიდრე მე კრებად შემტეკცნების ჩუენდა, ხოლო ქრისტეს სურვილმან... შეკრიბნა. ასევე, კუ პომილის დასაწყისში იყითხება: ყოველთა ვიდრე მე ვჰყურობ წმიდათა, ხოლო უფროსესღა ნეტარსა პავლეს... ორსავე შემთხვევაში ვიდრე მე—ხოლო ბერძნულის მან—შე ნაწილაკების გადმოსაცემად უნდა იყოს ნახმარი (შდრ. „Απαντας მან ჭალთ... მასისთა მშე თბი լუχάριση) და მათი ამგვარი შეპირისპირება ზოგჯერ სხვაგანაც არის სავარაუდო: გრძნობადი ვიდრე მე ნათელი განატონბს სხეულთა ბუნებასა... ხოლო სიმართლისა მზე... ზესთსოფლისაცა ძალთა განაბრწყინვებს პ. 3; გუშინ ვიდრე მე გვჩერებს... ძე. ხოლო მოძღვრებულ იქმნა პ. 19: მოვიდეს მაშინ იგი ვიდრე მე,... ხოლო წინა-უძღლების მოსლვასა მისსა პ. 24.

გრამატიკულ ტრაქტატშიც გვაქვს ვიდრე მე—ხოლო წყვილი: სამებისა ვიდრე მე სახელი დედალ არს მათისაებრ ენისა, ხოლო ღმრთისა— მამალი; და ღმერთისა ვიდრე მე ეწოდების თეოს, ხოლო ღა-რად-უწერონ ართრონი პირველი, ესრეთ იტყვან 4.

ზოგიერთ შემთხვევაში ვიდრე მე—ს კორელატად გარნა ჩანს: ესენი ვიდრე მე დამორჩილებითი არიან... ართრონი ესე-

¹⁹ დ. მელიქიშვილი, ითანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, გვ. 166; მისი იყენები, ზოგი სავარაუდო სიტყვის მნიშვნელობისთვე, ითანე პეტრიწის ენაში; საიტილეო, ძე. ქ. ენის კათ. შრ. XI, 1968, გვ. 136.

ცა, გირნა ეინახთვან ამათსაცა ძალსა აშ განმარტებად სატურთოდ
აღუჩჩნდებოდა მკითხველსა... ამისთვის ნამეტნავად ვპგონეთ 23.
იმავე ფუნქციით, როგორითაც იხმარება ვიდრე მე, გამოყენე-
ბულია აგრეთვე ვინახ მე: ნათელსა სიტყუასა უცნაურ ექსიურების
ჰყოფს.... ხოლო რახთა გამოვაჩინოთ, თუ რაც არს არტონების მიზანი
დავფართოთ 1.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ათონურ ხელნაწერში შე-
სულ თხზულებათა მთარგმნელი ვიდრე მე ნაწილაკს ხმარობს,
როგორც მტკიცებითს, განსაკუთრებით შეპირისპირებისას.

ვიდრე მე ისეთივე მნიშვნელობისა ჩანს აქ, როგორისაც მტკი-
ცებითი მნიშვნელობის მქონე სამე ძველი ქართულის სხვა ძეგ-
ლებში, მაგალითად, ოთხთავში (პირი სამე ცისამ იცით გმოცდად,
ხოლო სასწაული უამთანი ვერ ძალ-გიც გულისხმის-ყოფად მ.
16,3; თბ მევ პრისავის თან იურჯის ყველა მარავისა, თა ბე სუსა-
რან აკარავ ის მნენაში). ამავე მნიშვნელობით არის ვიდრე მე ნა-
ხმარი მთარგმნელის მიერ დაწერილ ორიგინალურ გრამატიკულ თხზუ-
ლებაშიც.

ასევე მტკიცებითობის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი ტექ-
სტში სადამე და სად მე: არა სადამე სწორ არსო მამისა
ძე 21. იგი მხოლოდ სად მე ღირს იყოს პ. 2; კეთილად სად მე
იტყოდის წწყლი პ. 6; პირველად სად მე განჩინებად შემოილო
პ. 10.

სინტაქსი და სტილი

ტექსტის ხასიათი ზოგადად. ათონურ კრებულში შეტანილი ყვე-
ლა ნათარგმნი ნაწარმოები და მათ შორის მეცხრამეტე ჰომილიაც სინ-
ტაქსისა და სტილის სფეროში გამოავლენს მრავალ თავისებურებას;
მათგან უპირველესად უნდა დავისახელოთ სინტაქსურ კონსტრუქცია-
ათა საქმაოდ დიდი სირთულე. ის შინაარსი, რომელიც კლასიკურ
ძეელ ქართულ ძეგლებში შეიძლებოდა გადმოცემული ყოფილიყო
რამდენიმე დამოუკიდებელი წინადაღებით, ით ჰომილიაში ჩეეულე-
ბრივ გამოიხატება დიდი მოცულობის მარტივი გავრცობილი წინა-
დაღებით, ზოგჯერ კი რთული ქვეწყლილი წინადაღებით. განსაზ-
ღვერებათათვეს მთარგმნელი ნაკლებად იყენებს ზმნურ კონსტრუქცი-
ებს (განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადაღებებს), ამიტომ ტექსტი

მეტად დატვირთულია სხვადასხვა ტიპის განსაზღვრებებით, მასები დავად ამისა, იგი მძიმე, ხელოვნურ შეაბეჭდილებას მარიც თოვებს, რადგან მორფოლოგიური ყალბიბი მიმღეობური კონტრაქცია ებისა ყოველთვის ბუნებრივია და მთლიანი ტექსტურული მარაგების (წინადადების) აგებულება უმეტეს შემოხვევაში უკავშირდების (წყვილითად):

ამისთვის შეაჩრდილებულად წარმოადგენდეს სიტყუასა ღმრთისასა, რამეთუ მრავალ-ღმრთებასა შინა დაბერებულსა და მსმენელსა მრავალთა ღმერთთა მამალ-დედალთასა და შეილთა და შვილთა ღმერთთასა საგნებელ ეყოფვოდა მეყსეულად შიშულად ქადაგებული სიტყუამ, არა თუმცა სიბრძნითა მოციქულებრითა მიცარეულ ქმნილ იყო პ. 47;

მო- ვიდრემე -ილებს მათდა მიმართ ქადაგებასა, არა ღმრთისა მიმართ ღმრთისა შემაერთებელ, არამედ მამაკაცისა მართლისა, ღმრთისა მიერ განსაზღვრებულისა მსაჭულად ცხოველთა და მკუდართა და ესოდენ ალდგომილისა მკუდრეთით და ესოდენ კაცად ქადაგებულისა ვიდრე ალდგინებისა ღმრთისა მიერ გონებად პ. 50.

ორიგინალურ გრამატიკულ თხზულებაში, მასში გადმოცემული მასალის ხსიათის გამო, ტექსტი სინტაქსურად უფრო მარტივია, მაგრამ მსგავსება ამ ორ ნაწარმოებს შორის სინტაქსისა და სტრუქტურის მინც ჩანს.

მიმღეობურ ფორმათა სიმრავლე ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ი-თ პომილიაში მიმღეობა ხშირად არის გამოყენებული განსაზღვრების ფუნქციით. სხვა მაგალითებია: ქრისტე მოვედა... სოფლად, უცხოსა გზისა მჩუენებელი და უცხოსა შობისა შემომღებელი პ. 5. მესაშოვლენი, შორის მიმღებელი კითხვათა და მიგებათანი პ. 14. წინა-ძლვს ანგელოზი მქადაგებელი... კმად მქადაგებელი... საცნაურ-პყოფს პ. 24. მწვალებელნი, ძისა უარის-მყოფელი პ. 28. მოწაფე ხარ — არა მოძღუარი — სხუათა შთათე სული, და სხუათა შთამთე სკელი სული თესულ-ყოფად უცხვე გისწავიეს პ. 29. ისმინე ისაავსი ზედ-წარმწერე რელისად პ. 65.

ასეთსავე სურათს ვხედავთ გრამატიკულ ტრაქტატში: ლექსი თარგმანებული 1; წინა დაუსხმენ თითოეულისა ყამისა შემს გავსებულთა ართონთა 3; დედლისა სახელისა ართონთი თავით კერძო 98

დასასხმელი 12. მახარებლისა მიერ თქუმულსა სიტყუადა
შენა 20.

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებათა სიმცირე. ბენებრი-
ვია, რომ მიმღეობურ განსაზღვრებათა მრავალრიცხვან კურტფაზი
გვერდით განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება პრიჭრებიდან
იშვიათია. ამასთან, მათი მეტი ნაწილი ბიბლიური ტექსტებიდან უც-
ვლელად გაღმოლებულ ციტატებში არის დადასტურებული: სიტყუად,
რომელსა უკუ იტყვს პ. 19; სიდიდე კმისამ, რომელ შემძლებელ არის
პ. 24.

ციტატებში: დაადგინა დღე, რომელსა შინა ეგულებისო განსჯად
სოფლისა მამაკაცისა მიერ, რომელი განსაზღვრა [საქმე მოც. 17,
30-31]. პ. 50.

სახოგადოდ, რომელ წევრ-კავშირის ხმარების შემთხვევები
ერთეულია სხვაგანაც — სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებებში:
იგი სირცხვლეულ იქმნინ, რომელი სალმრთოთა ძლევად მეცადინო-
ბდეს პ. 2; არა მნებებლობს თქუმად რომელი ეგულების პ. 19.

ბერძნულ მიმღეობურ კონსტრუქციათა სხვადასხვაგვარი გადმო-
ლება მთარგმნელთა ინდივიდუალური სტილის ერთ-ერთ დამახასია-
ობელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. ეფთვიმე ათონელის თარგმანებ-
ში მიმღეობური კონსტრუქციების გაღმოსაცემად სევეულებრივ ზმნის
პირიან ფორმათა შემცველი წინადადები გვხვდება²⁰, ეფრემ მცირის
ენაში ვათი რაოდენობა მატულობს²¹; მათი ვარბი ხმარება კი, რო-
გორც ცნობილია, პეტრიწონის სკოლის წარმომადგენელთა თხზულე-
ბათათვის არის დამახასიათებელი²².

სასაზღვრელისა და საზღვრულის თანმიმდევრობა. ვრცელ განსაზ-
ღვრებებში, რომელიც დახლართულ კონსტრუქციებს ქმნის, სხვა-
დასხვა ტიპის მსაზღვრელები რთულ სინტაგმატურ კავშირებს ქმნიან.
ღმრთებად ყოვლისა მპყრობელებრისა ჯელმწიფებისა მქონებელი პ. 71.

²⁰ ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ელოგიში ათონილისეული თარგმანები
გამოსაცემად მოამზადა ც. ქ. რ. ციკიძემ, თბ., 1983, გვ. 057.

²¹ პ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 333.

²² დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და
სტილი, გვ. 192.

მსაზღვრელისა და საზღვრულის თანმიმდევრობა მარტივ კონსტრუქციებშიც არ ჩანს შეზღუდული. მსაზღვრელი — ატრიბუტულიცა და მართულიც — შეიძლება იყოს როგორც პოსტმოზიციური, ისე პრე-პოზიციული: მოძღვრებულ იქმნა არა სიტყვთა უძრულობითა, არამედ სიტყვთა წამებულითა, გარდა ნერ შეუძლებელიყოთ დაშთომილსაცა ნეშტსა (პრეპ.) პ. 19; უჩუნებს სიმართლისა მზე. (პრეპ.) მზედ სიმართლისად უწოდს პ. 4; პერვიდეს გამომეტყუელთა ზღაპარნი, რიტორთა სიტყუანი, (პრეპ.) კელოვნებანი მასწავლელთანი, ფილოსოფოსთა (პრეპ.) ვრცელ-მეტყუელებანი პ. 48; იხილე, თუ რად პო მწვალებელთა სიბოროტემან (პრეპ.). იხილე წულილმოქმედებაც სიბოროტისაც პ. 34.

ასეთივე ვითარებაა გრამატიკულ ტრაქტატში: ძნელად საგონებელ არს ენასა ზედა ჩუქნა ლექსი თარგმანებული... ცხადსა და ნათელსა სიტყუასა (პრეპ.) უცნაურ ვინამე ჰყოფს I; არა გარდაერწყუმის ერთი მეორისასა სახელთა ცვალებულებაც, (პრეპ.) არამედ თითოეულისა ნათესავისასა სცავს თითოეული ღრევასა სახელთასა 2.

სწორედ მსაზღვრელ-საზღვრულის სხვადასხვაგვარი თანამიმდევრობის გამოყენების შესაძლებლობა აძლევს საშუალებას მთარგმნელს, აავს ის ვრცელ კონსტრუქციები, რომელთა მაგალითები ზემოთაც იყო დასახელებული: ბრგუნილი ენაც შვილთა თვსთაც პ. 18. კეთილმსახურების ძლითთა ტკივილთა შინა და ღმრთისმეტყუელებისა კანონთა ძლევად ვიდრემე მეცადინი პ. 2. მაცხოვარი, სხვასა შინა მჩუნენდებელი კმასა მისგან წყაროებულისა მაცხოარებისასა პ. 58.

მსაზღვრელ-საზღვრულის გათოშვა. ამ მოვლენას ჩვენს ძეგლში სისტემური ხასიათი აქვს, რაც უთუოდ ბერძნული დედნის გავლენას უნდა მივაწეროთ. მსაზღვრელ-საზღვრულს (ატრიბუტულსა და მართულსაც) თიშავს უმეტესად ზმნა (შემასმენელი) ან სახელი: სამეუფოსა მეცნიერ იყო ღირსებასაც პ. 2. მეფისა საცნაურ ჰყოფს მოსალვა ასა პ. 24; სენონა განსაგლებელად უკუე მრავალებისა პ. 52; დასაბამისაცა მოიქსენებს საჭმეთა პ. 66.

გრამატიკულ თხზულებაშიც გვაქვს მსგავსი მაგალითი: ორთა პირთა დამსახველნი არა გუქონან სახელნი 8.

როდესაც ამა თუ იმ სიტყვას განკერძოებული გამოთქმა განსაზღვრავს, ეს უკანასკნელი შეიძლება აგრეთვე დაშორებული იყოს განსაზღვრავი სიტყვისაგან. ერთი ასეთი მაგალითი გვაქვს კრბ ჰომილიის დასაწყისში და მისი შედარება ბერძნულ დედანთან სიტყვათა წყობაში სრულ იგივეობას გამოავლენს: სამკურნალოსა ანძლებულ იგივებულ არს ეკლესიათმოძღვარი, მრავალთა და მრავალგუართა სენისამკურნალოთა წამალთა მქონებელსა (Ιατρი ჟიკე ტახის, ეკალისას ბიბასასას, სილან კას პარმან ასთენ აკტემ-ყოვ...).

შერწყმულ წინადადებაში შესაძლოა მოხდეს ერთგვაროვან წევრთა გათიშვაც, მაგალითად: უძლურ არს თავით ოვსით და უგონებელ 3. 17.

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. განკერძოებულ განსაზღვრებიანი კონსტრუქციის გამოყენება ძალზე ხშირია ით ჰომილიაში. ზოგიერთი მაგალითი დამოწმებული იყო ზემოთაც. დავასახელებთ კიდევ რამდენიმე დამახასიათებელ შემთხვევას: თომა, ერთმან მოცუკულთაგანმან, ურწმუნო-ქმნილმან მაცხოვრისა აღდგომისამან და ვნებებელმან განცხადებულად სახილველად მიღებად ურწმუნებისაძლით და აღმომთქმელმან ამის სიტყვასამან, გითარმედ... 3. 37; იოვანე მახარებელი, მექრდა ზედა იესუსსა მიყრდნობილი და ვითარება სამარადისოდა წყაროდასაგან აღმომჟებელი 3. 7; ყოვლისა შემცველი ძალი, ყოველთაგან ყოველთა შორის მყოფი, ყოველთა თვესია სულისა მიერ შემომენივთებელი 3. 21; კალამსა ღმრთისასა, უკულავისა კელისა მიერ პყრობილსა 3. 17.

ასეთი კონსტრუქციები გვხვდება გრამატიკულ თხზულებაშიც: ვითარება ორობითთა შინა, ზემო ცხად-ქმნილთა 9; დედლისა სახელისა რათონნი, თავით კერძო დასასხმელნი 12; სხუანიცა ართრონნი, პთათი თითოეულისა ნათესავისადა დამორჩილებული 22. |

შეიმჩნევა, რომ ით ჰომილიაში განკერძოებული გამოთქმები გვხვდება ზოგ ციტატაში მაშინაც, როდესაც ქართულ თარგმანებში სხვაგვარი ტრადიცია გვაქვს: ერთი და იგივე სული, განმყოფელი ოვსის თვთოეულისად ვითარება პნებავს [I კორ. 12, 11] 3. 70. შდრ. თე ჲყ კა თბ ასთბ კაცმა, მიარის ჩერ ენასთ კაშაც წიბლეთა. ყველა ძველ ქართულ ერსიაში შესაბამის ადგილის ზენურ კონსტრუქციის ეხვდებით: ერთი და იგივე სული განუყოფს თითოეული კაცად-

კაცალსა, ვითარცა ჰენებაეს, სხვა მაგალითია: ღმერთმან შემოქმედება
ცისა და ქუეყანისამან [საქმე 17,24] პ. 48. გიორგისეულ ტემსტენ:
ღმერთი, რომელმან შექმნა ცაც და ქუეყანა.

პირდაპირი ობიექტის ბრუნვა სახელზემნებთან. რესულისტური მიმდევად
პირდაპირი ობიექტი საწყისთან ზოგჯერ გვხვდება მიცემითსა და სა-
ხელობით ბრუნვაში: ვინ შემძლებელ იყო დატევნად შიშულად
ღმრთებისა სიტყუასა პ. 51; ჩუეულებად არს წერილისად ნა-
ყოფსაცა ძალად წოდებად პ. 73; რათა არა... კაცნი ჰეონებდენ
სხვასა ღმრთისა მიერ ვიდრემე მოცემად სჭული პ. 40.

გრამატიკულ თხზულებაში საწყისთან მიცემითი და ნათესაობითი
ერთმანეთის გვერდით გვიქვს: ამათსაცა ძალსა აწე განმარტე-
ბად სატკრთოდ აღუჩნდებოდა... აწინდელსა სიტყუასა ამათისა ძა-
ლისა განვარტებად არარად ექმარებოდა 23.

სხვა მაგალითებია: სურვილსა გონებისასა სიყუარულით
მოხარულნი პ. 18; განყოფილებასა სჭულის-დებათსა
მიმხედველნი კაცნი პ. 40; მოციქულნიცა, მჩუენებელნი
ღირსებასა სულისასა, იტყვან პ. 59. არა შჭულისა... მმონებე-
ლი კრთ პომ.

უშემასმენლო წინადადებები. ძველ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში
უშემასმენლო წინადადებები უპირატესად სინტაქსურ კალებს წარ-
მოადგენს) ათონურ კრებულში ეს გარემოება განსაკუთრებით კარგად
ჩანს იქ, სადაც ქართული ტექსტის შესაბამისი ბერძნული ხელმისა-
წვდომია; ასეთია კრ პომილის დასაწყისი: დღეს ეკლესიისანი და-
წყნარებასა შინა და მწვალებელი დელვასა; დღეს ნაერ ეკლესიისად
დაწყნარებასა შინა... დღეს მწყემსნი უზრუნველობასა შინა და სამ-
წყსომ უცთომელობასა შინა, მტერნი ულონოებასა, მგელნი უმოქმე-
დობასა. დღეს ენავი მაცხოვრისად იეფობასა შინა და მოქმედნი სი-
პოროტისანი მოწყინებასა შინა... (ბერძნული ტექსტი ზემოთ, გვ. 44):

პატივი ქრისტესი ქსენებაა მოწამეთაც... რამეთუ საქსენებელი მა-
რთლისად შესხმით (კრ პომ.). ამ თხზულების ბერძნული დედანი გა-
მოუქვეყნებელია, მაგრამ უეპველია, რომ ეს მონაკვეთიც ბერძნულის
ყაიდაზეა გამართული; ასეთივე უშემასმენლო წინადადებები გვხვდე-
ბა კრ პომილის დასაწყისში: წერილთა მოძღურებად კეთილმსახურე-
ბისა წყარო და ჭეშმარიტებისა დასაბამ და წმიდათა კადნიერება და
მორჩმუნეთა მოლოდება.

ასეთი შემთხვევა ით პომილიაშიც გვხვდება: იგივე უკუკი და სი-
გართლება პ. 7; ყოვლისა მპყრობელ და სული წმიდათ, კითხული
გვყრობელი ყოველთა და ყოველთა განმყოფელი თვისისაებრ ნებისა
პ. 69; ერთ ღერრთი მამაც, რომლისიგან ყოველი, და ერთ უფლი იტ-
სუ, რომლისა მიერ ყოველი პ. 46.

უშემასმენლო წინადადებები გრამატიკულ ტრაქტატშიც გვხვდება:
და ესე კიდრებე მამალთა ართრონთათვს 11. ასეთივე ფორმებია ჩა-
მოთვლისას: ეგრეთვე ორობითნი უართრონონი... ხოლო განმრავლე-
ბითნი უართრონონი 18. ეგრეთვე დედალნი ართრონნი სამებისანა,
ვითარმედ 19. უშემასმენლო წინადადებათა ხმარება, როგორც ცნო-
ბილია, ითანე პეტრიწის ენისათვის ირის დავახასიათებელი²³, მაგრამ
ბერძნული ენის გავლენით იგი სხვა მთარგმნელთა ენაშიც იჩენს
თავს²⁴.

სინტაქსურ კონსტრუქციათა კონტამინაცია. პირმიმართიანი და თა-
ნდებულიანი კონსტრუქციები ხშირია მეტყველების გამომხატველ
ზმნებთან; რელატიური ზმნის ირიბ ობიექტს ცვლის თანდებულიანი
სახელი: თქუა მისსა მიმართ მეტყველმან პ. 5; იტყვს მამაც მისგან
შობილისა მიმართ პ. 9; იტყვს იუდეანთა მიმართ პ. 67; მაგრამ: ეტყვს ღმერთი ადამს პ. 74. სინტაქსური კონტამინაცია
უთუოდ აისნება ქართულ რელატიურ ზმნებთან უცხო ენის აბსო-
ლუტური ზმნების კონსტრუქციების შეწყობის შედეგად²⁵.

მიმართ თანდებული გვხვდება ბერძნულ კონსტრუქციათა გად-
მოსაცემად რწმენა ზმნასთანაც; ერთისა მიმართ გრწამს
ღვრთებისა პ. 71; ირწმუნეთ მამისა მიმართ... გრწმე-
ნინ ძისა მიმართ პ. 47; მაგრამ უშუალოდ მომდევნო ფრაზაში
გვაძეს: ერწმუნენით სულსა წმიდასა.

ერთი ასეთი მაგალითი გვხვდება ციტატაში: არა პრწმენა მისა
მიმართ იუდეანთა [ი. 9,18] პ. 7; მთარგმნელს აქ საკუთარი
თარგმანი მოუცია; ძველ ქართულ ერსიებში გვხვდება სხვა იქითხვი-

²³ დ. მელიქიშვილი, ითანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და
სტილი, გვ. 186.

²⁴ ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფოემი ათონელისეული თარგმანება,
გვ. 061.

²⁵ კ. დანელია, უცხო ენათა გაელენის კვალი ძველი ქართული წერილო-
ბითი ქულების ენში; მაცნე, ენისა და ლიტერ. სერია, 1975, № 4, გვ. 79.

სები: არა პრემენა მისთვეს (DE, ეფთვმისეული და გიორგის თანამდები), არა პრემენა მისი C.

სხვა მაგალითებია: ნუ კაცისა მიმართ მიხვდავ ჟ. 15; სხვა მიმართ ვიდრემე წარავლენს სიტყუასა, ხოლო თავისი უკავშირი სა მიმართ მიიღებს ღმრთისმეტყუელებასა... სული წმიდას თუთ თავისა თვისისა მიმართ მიიხუამს სასწაულთა ჸ. 63;

მიმართ თანდებული იხმარება ისეთ კონსტრუქციებშიც, სადაც აშეკრიც შეიგრძნობა მისი ხმარების არაბუნებრივი ხასიათი: წ. ინა-მდებარისა მიმართ მოვიდეთ ჸ. 12; ოღმყვანებელი მათი სიმაღლეთა მიმართ ღმრთისმეტყუელებათასა ჸ. 51; უძლურებისა ვიმართ მსმენელთამასა მისწერს ჸ. 55; სინტაქ-სური კალკის უცხო მოდელი ნათლად ჩანს ლა სიტყვის დასაწყისში: განანათლებს კეთილმსახურებისა მიმართ შდრ. მათთა ჯერ პრატ ესტატე: მსგავსი კონსტრუქციის კვალი ჩანს გრამატიკულ ტრაქტატში, სადაც მიმართ თანდებულს სიტყვამარტ-მოებელი აფიქსის როლი აქვს: მართლმადიდებელთა მიმართ ად იტყვს I.

(და კავშირი ცა ნაწილაკის მნიშვნელობით. ბერძნული ენის ზეგავლენით და კავშირის ხმარება ცა ნაწილაკის მნიშვნელობით საზოგადოდ ცნობილია ძეველ ქართულში²⁶. ასეთი შემთხვევები ჩვენს ძეგლებშიც საყმაოდ ხშირია, ამასთან და უპირატესად ცა ნაწილაკთან ერთად გვხვდება:) ამისთვე და შუათაცა მოქენე არს კუმევად ართონთა 17; ვინათვან და თვით პირებითა ძლითიცა ესე სიტყუად ნუუკუე და საწყინო უჩნდეს 23; რათა და საქმენიცა გვკრდენ) ჸ. 3; და წამებასაცა შემოართუამს ჸ. 20; კითხულ იქმენინ და ჩუენ მიერცა ჸ. 28; ეგრეთვე და მახარებელიცა ჸ. 33; ვითარმედ და მხოლოდ შობილიცა ღმრთად იწოდების ჸ. 33; არა ხოლო... ნერგთა ზედა იწოდების, არამედ და კაცთაცა ზედა ჸ. 75.

უფრო იშვიათად და ნაწილაკის ფუნქციით იხმარება ცა ნაწილაკის გარეშეც: ესრეთვე და აქა) ჸ. 68; ამისთვე უკუე და ნეტარი ისაია... იტყოდა ჸ. 15.

²⁶ ა. შანიძე, ძეველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 169.

ცნობილია, რომ მსგავსი ფორმები განსაკუთრებით შესამჩნევად
ითხოვთ პეტრიწის ენაში, მაგრამ არც თუ იშვიათია გიორგი მთაწმიდ-
ლისა და ეფრემ მცირის ნათარგმნ თხზულებებში²⁷.

სხვათა სიტყვის გადმოცემა. ოქროპირისეულ თხზულებებში მოძიებულ
ლად არის დამოწმებული სხვისი ნათქვამი, ამ ხასიათისა არის მრავალ-
რიცხვოვანი ციტატები ძველი და ახალი აღთქმიდან. გარდა მასა, ხში-
რად არის მოყვანილი ავტორის ამა თუ იმ აზრის მომხრეთა თუ მო-
წინააღმდეგთა სიტყვებიც.

ციტაცია ხშირად ხდება წინამავალ ტექსტთან სინტაქსური კავში-
რის გარეშე: დავით იტყვს: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფ-
ლისახთა“ [ფს. 117, 26] პ. 33; იტყვს უკუკ წწული იოილ: „ვენაჭ-
მან და ლელუმან მოსცეს ძალი თვისი“ [იოელ 2,22] პ. 74.

სხვათა ნათქვამს წინ ზოგჯერ უძღვის ვითარ მე დ: პავლე იტყვს,
ვითარ მე დ: „თავადი უფალი... მთამოვადეს“ [თესალ. 4,16] პ.
24; მწვალებელნი იტყვან, ვითარ მე დ: „თეოს“ ვიდრემე წერილ
არს“ პ. 34;

უფრო იშვიათად ასეთ შემთხვევებში გვხვდება კავშირი თუ: არცა
იყო უჭირვალ თქვემად, თუ: „ირწმუნეო მამისა მიმართ“ პ. 46; არა
იტყოდა უართრონოდ, თუ: „კვრიოს მუ“, არამედ ვითარმედ: „ო
კვრიოს მუ“ პ. 37. უკანასკნელ მაგალითში კარგად ჩანს, რომ ორივე
კავშირი („ვითარმედ“ და „თუ“) ერთგვარი მნიშვნელობით არის ნახ-
მარი.

გრამატიკულ ტრაქტატშიც სხვათა სიტყვის დამოწმებისას ძირი-
თადი საკავშირებელი სიტყვაა ვითარ მე დ: არა ესრეთ იტყვან...
არამედ ესრეთ, ვითარ მე დ: „კ თუკ“ 9. და მრავალი სხვა.

თუ აქაც უფრო იშვიათია: არა იტყოდის, თუ: „ღმერთი იყო სი-
ტყვაა“ 21.

ციტატებში, რომლებიც საკავშირებელ სიტყვას მოსდევს, ხშირად
სხვათა სიტყვის ნაწილაკიც იხმარება: გესმას, ვითარმედ: „ავს იტყვა-
სო უფალი ყოვლისა მპყრობელი“ პ. 59. მეტყველების აღმნიშვნელი
ზმები (იტყვას, თქუა და სხვ.) ხშირად ციტატას წყვეტს და შიგ
არის ჩართული: „მრავალთა სასწაულთა ქმნასა მის მიერო“, —
იტყვას, — „არა პრწმენა მისა მიმართ იუდეანთა“ [ი. 12,38] პ. 7;

²⁷ დ. მელიქიშვილი, ითანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და
სტილი, გვ. 200.

„შემახო ვინ ვეო“, — თქუა, — „რამეთუ მე ვიან ძალი გამსრული ჩემგან“ [ლ. 8,46] პ. 58.

ზოგჯერ ციტატაში მოელი წინადაღება არის ჩართული: „დაარგე-რითო“, — ეტყვას მაცხოვარი მოციქულის; „იმარტი-სალტმს შინა, ვიღრემდის შეიმოსოთ ძალი მაღლით“ [ლ. 24, 19] კ. 79; რამეთუ „უფალი სულ არს“, — ეითარცა იტყვას პაელე. — „ხოლო საღა სული უფლისაა, მუნ თავისუფლებაა“ [2 კორ. 5. 17, პ. 55].

პერსონაჟის მეტყველების გათიშვა მეტყველების აღმნიშვნელი ზმნებით დამახასიათებელია ბერძნულისათვის; საგულისხმოა ის გარემოება, რომ მსგავსი კონსტრუქციები ქართველ მთარგმნელებს სხვადასხვაგვარად აქვთ ქართულში გაღმოცემული²⁸.

პირდაპირი მეტყველების დამოწმებისას წინამავალ ტექსტში ვთქმელის აღმნიშვნელ სიტყვას (საკუთარ სახელს, ნაცვალსახელს) ხშირად მოსდევს მიმღეობა მეტყუელი:

ხოლო მან თქუა მისსა მიმართ მეტყუელ მან: „აშ განუტევე მონად შენი მშენობით“ [ლ. 2, 29] პ. 5; მაცხოვარმან... მოუწოდა თომას მეტყუელ მან: „მოვედ, დასდევ კელი...“ [ი. 20, 27] პ. 37; ლუკა იქუმია კმად მეტყუელ მან: „ძალი გამოვიდოდეს და განკურნებდა ყოველთა“ [ლ. 6, 19] პ. 57;

ისმინე დავითისა მეტყუელისა ას: „დღეს თუ კმისა მისისა ის-მინოთ“ [ფს. 94, 8] პ. 60; ისმინე პავლესი მეტყუელისა ას კორინთელთა მიმართ: „და მეცა, ძმანო, ვერ შემძლებელ ვიქმენ სიტყუად“ [1 კორ. 3,1] პ. 54.

ასეთი კონსტრუქციები წარმოადგენს ბერძნული, ე. წ. „დაკავშირებული მიელეობის“ სიტყვა-სიტყვით გაღმოცემის ცდას. ძველ თარგმანებში ასეთ შემთხვევებში ხშირად ბერძნული პერსონალ ზმნის პირიანი ფორმით არის გაღმოცემული, მაგალითად: ასწავებდა მათ და ეტყოდა მ. 5,2. ასეა ყველა ქართულ რედაქციაში; შერ. ბებინასავ ასთანაც პერსონალი გელათურ ბიბლიაში კი, რომლის ენაში ელინოფილური ტენდენციები გარკვევით ჩანს. პერსონალი გაღმოცემულია მიმღეობითვე. იქმნა სიტყუად უფლისაა ჩემდამი

²⁸ ლ. ახობაძე, არსენ იყალთოლის თარგმანების ერთი სტილისტური თავისებურების შესახებ. მრავალთავი, X, თბ., 1983, გვ. 154.

ვეტუული (შდრ.: და თქუ ოშკურში) — ჰერიტაჟის კურსის
პრბს მა პერიოდი ენგლის 11, 14; 12, 1; 16, 1 და სხვ; მოვიდა ჩემდა
იურუსალიმით განრინებული მეტუული ებ., 33, 243 ცუკდა
თქუ ა რშკურში; — წარმატების პრბს მა პარ სერვისურ შეკვეთა

გრამატიკულ ტრაქტატშიც გვაქვს მსგავსი კონსტრუქცია, რადგან
თარგმანისათვის დამახასიათებელი კალკები ორიგინალურ თხზულება-
შიც არის განმეორებული: იოანე ოქროპირი... ილუქსის მრავალთა
გამოსაჩინებელთა მიერ, მეტუული, კითარმედ... 20.

(სხვათა სიტყვის ო. ზემოთ მოყვანილ ვაგალითებშიც ჩანს, რომ
სხვათა სიტყვის თ საკმაოდ ხშირად იხმარება. იგი ახლავს ზმნას, არ-
სებით სახელს, ნაცვალსახელს, თანდებულს, ნაწილაკს; აქუსო პ. 34;
იტყოლისო პ. 34; ღმერთიო პ. 40; მეო (1-ლი პირის ნაცვალსახ.) პ.
57; არაო პ. 15. შეიმჩნევა, რომ სხვათა სიტყვის თ ხშირად ახლავს
ციტატაში, რომელიც გათიშულია სხვისი ნათქვამობის აღმნიშვნელი
ზმნით, ამ უკანასკნელის წინ მდგომ სიტყვას: „აპა ესერა აღმო უ-
კლინო თ“, — იტყვას, — „სახლსა დავითისსა აღმოსავალი სიმართ-
ლისაა“ [იერ. 23, 5] პ. 8.

ლექსიკი

იშვათად ხმარებული სიტყვები. ამათგან პირველ რიგში აღსანიშ-
ნავია რაინდობა. სიტყვა გვხვდება კ” პომილის ერთ-ერთ სქო-
ლიოში. ტექსტში ნათქვამია: „რამთა თვესსა ინიოხობასა რომელთა მი-
მართ ენებოს, დადვას სული თვესი“. აშიაზე მოცემულია განმარტება:
„რაინდობასა — ინიოხობასა, ესე იგი ვართებასა, მსხუცრპლი
იუდაებრნი არა ენებნეს. გარნა ინიოხობდა, ესე იგი არს ვმართებდა...“
შენიშვნის მიხედვით აშკარაა, რომ რაინდობა ინიოხობის (ენი-
ო-ჯერ-ს) სინონიმად არის მიჩნეული, რაინდი (და აქედან ნაწარმო-
ები რაინდობაც) რამდენჯერმე გვხვდება ძველი ქართული ენის
ნათარგმანი ძეგლებში და გაღმოსცემს ორიგინალის ზენიში სიტყვას.
არსენ იყალთოელის ნათარგმნ „დიდ სჭულისკანონში“ რაინდი;
არის ცხენის ორთვეალს მმართეველი: მგოსანი... ანუ რაინდი, ანუ
მარტოდ ვბრძოლი, ანუ სტადიონს მოჩედი²⁹. XII — XIII ს. გადა-

²⁹ ლილი სჭულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე.
შიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ, თბ., 1975, გვ. 515.

წერილი ხელნაწერი A 737 შეიცავს ანტიოქიის კრების კინონებს, რომელთაგან ზოგიერთი ეხება „სტადიონმორბედთა, მოკიცხართა, რაინდთა, მებარბითეთა, მეფიანდურეთა“³⁰. ითანე დამასკულის კომიაში ითანე ოქროპირის მიმართ, რომელიც ნათარგმნება „მასში მარტ კუნეში, ნათქვამია: „რაინდო ბრა პირუტყუსა ზედა“³¹. ბერძნულ დედანში გვაქვს წყითხისუნთა (PG 96,769). ორიგინალურ თხზულება-თავან შეიძლება დავასახელოთ „ისტორიანი და აზმანი...“, სადაც ნახ-სენებია რაინდო ბრა ნა და მკვრცხლ-მოქმედებანი³².

ინიონს სიტყვას განმარტავს აგრეთვე ეფრემ მცირე (XII ს. A—689 ხელნაწერში) მის მიერ თარგმნილი ერთ-ერთი თხზულების შენიშვნაში: „შეისწავე, რამეთუ რად-იგი არს მწაფე ლი მკველი-სათვს, იგივე არს ინიონს ი ეტლთა ზედა მჯდომარისათვს. ხოლო ქარ-თულად არცა ეტლნი არიან, მგონია, რომელ არცა სახელი მეეტ-ლისა; ამისთვე ბერძნულივე დავწერე ინიონს“³³.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ ძველ ქარ-თულში რაინდი არის „მხედარი, მეეტლე“; „რაინდო ისევე, როგორც წყითხისა, ნახმარია როგორც ცხენის მართვის, ისე საზოგა-დოდ მართვის, მმართველობის აღსანიშნავად. რაინდ სიტყვის სხვა მნიშვნელობები ქართულში შემდეგ უნდა იყოს განვითარებული.

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ საბას ლექსიკონში რაინდი განმარტებულია მხოლოდ როგორც „ცხენთა განმწვრთნელი“ ZAB; „რაინდი ეწოდების რომელი ცხენთა კეთილად განსწვრთნიდეს... გინა ეტლთა ავლენდეს...“, ხოლო ინთხი (!) როგორც „რაინ-დი“. საბასთანავე არის ენიოტი (ტ-სა და ხ-ს აღრევის გამო ნუსხურში)³⁴ „რომელმანც ცხენი კეთილად განწვრთნას“.

³⁰ Описание рукописей Тифлисского церк. Музея..., составленное Ф. Д. Жордания, кн. II, Тифл., 1902, с. 200.

³¹ თ. ე ყ თ ნ ი ა, ითანე დამასკელის ენკომია ითანე ოქროპირის მიმართ; მრავალთავი, II, თბ., 1973, გვ. 138.

³² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით და გამოკვლეულით, თბ., 1941, გვ. 80.

³³ Ф. Жордания, Описание, II, с. 167.

³⁴ ეს მითითებული აქვს ილ. აბულაძეს (ს-ს. ობელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1966, გვ. 236 შენ), საბას მიერ ითანე პეტრიწის თხზულებიდან აღ-ბული კონტაქსტის აღვილის ჩვენებით.

„შეფარილება“: უწყოდა იუდეანთა სიბოროტე, მარადის მო-
სწრაფე შეფარილებად სიტყუათა საღმრთოთა და შემჩრდი-
ლველად მაცხოვრისათვის წინააღმდეგულებათა პ. 43. კონტექ-
სტის მიხედვით, შეფარილებადა შეჩრდილვა მსგავსი მნი-
შვენელობის სიტყვები უნდა იყოს. ეგვეგ სიტყვა დამოწმებულია ილ-
აბულაძის წიგნში („მასალები ძველი ქართული ენის ლექსიკინისა-
თვის“, თბ., 1975) „მამათა სწავლათ“ მიხედვით: „ნეტარ არს, რო-
მელი იგლოვდეს სულისა თვესისათვეს მცირედსა მას უამსა, რათა არა
შეფარილოს იგი ცოდვითა და ბრალითა“ მ. სწ. 59, 24. საბას
ლექსიკონში შევაფარებულია ასე: „ფარილით
შევსვარე“, შეიფარილა — შეიმურა, ხოლო ფარილი არის
„ბაზმის მური“. უკანასკნელი განმარტება განმეორებულია ნ. ჩუბი-
ნაშეილის ლექსიკონშიც. დავ. ჩუბინაშეილის ლექსიკონში არის შე-
ფარილვა “замарать в саже, შეფარილება კი განმარტე-
ბულია ასე: скрыть, спрятать.

სიტყვა გვხვდება მოვეიანებითაც; ანტონი ვარტომყოფელის სკინა-
ქსარულ ცხოვრებაში, რომელიც XVII ს-შია შექმნილი, ვკითხუ-
ლობთ: „დადგა კანდელი აღნებული... აღმოყარა კარი იგი კამარისა
და შეაფარილა, რომელ ყოვლად არა ეტყობოდა, თუ ერთი რო-
მელ უახლეს არს“³⁵.

იფქლის-გესლი: სიტყვის მნიშვნელობა ზუსტად გარკვეული
არ არის, უნდა აღნიშნავდეს დავადებას (მცენარისას): „იტყვან ამა-
ცა შვილი მწვალებელთანი, ვითარ-იგი მუხუნძველსაცა (?) და
იფქლის-გესლა ძალად დიდად ღმრთისა უწყოდნ პ. 73. მუ-
ს ც ე ლ ი (საბას განმარტებით „მძრომი, ფოთლის მჭიამელი ჭია“)
ცუდად იყითხება, შესაძლოა, ეწეროს მუსონრეულსაცა.

ბერძნული სიტყვები. ი-თ პომილიის ტექსტში ისინი შედარებით
მცირეა, რაც არის, უმთავრესად დიდი ხნის შემოსულია და საყოველ-
თაო მარებისაა: ან გ ე ლ ო ზ ი, ე პ ი ს ტ ო ლ ე, თ რ დ ა ნ ი, გარ-
და ამისა, გვხვდება ნაქლებად ცნობილი სიტყვებიც: ათონური ხელნა-
წერის „შეისწავეთა“ ერთი ნაწილი სწორედ ტექსტში უთარგმნელად
დატოვებულ ბერძნულ სიტყვებს განმარტავს. ასეთების მაგალითე-
ბია ლომა, სფეროტირი, „უკუთუ მოვილო ლომაშო ვიდრე

³⁵ მელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, თბ., 1968,
გვ. 394.

სფეროტირადმდე ქავლთა“ (კუ პომ.). აშიაზე განმარტებულია: „შეისწავე, რამეთუ ლომაც ვიდრემე ეწოდების ოქსინომა და ბასონისა და ძოწეულისა მიერ შექმნილსა საოლავსა ქუცეულმოდასა და ვითარცა ამის გამო ყოველსა ანტიპასა სამოსტანისა; მოსახულის ფერი ღირებულების სანდალთასა, ვითარცა შედროსთან რე თვეთ თარგმნის უცხადესად“. ლომაც არის ამაზ „აშია“; ანტიპა აგრეთვე ბერძნული სიტყვა უნდა იყოს, ხოლო სფეროტირი (ძალაშე) კი მართლაც „სანდალში ამოსაყრელი ღვედი“ არის.

დიმოსი. კუ პომილიის ტექსტში არის ამ ფუძისაგან წარმოქმნილი ზედსართავი: ვითარცა შენაწევრებანი დიმოსებრთა სარბიელთანი, უკუეთუ არა სამეფოთა დაბეჭდულ იყვნენ კელითა, დაუმტკიცებელ არიან, ესრეთვე... ამ ადგილის განსამარტვად მთარგმნელს აშიაზე მიუწერია: „სკნომატა: შეისწავე, რამეთუ სკნომა თან შედგმასა ეწოდების გინა შეწყობასა რასმე ანუ შენაწევრებასა. ხოლო დიმოსებრი შენაწევრება არს, რევას მეფემან დაამტკიცოს რამე წერით დიმოსისა მიერ მოსაქმებად“ (ტექსტის დაზიანების გამო არ ჩანს, თუ სად არის მასში სიტყვა სკნომა ძალისაც). „შეისწავეში“ დამოწმებული დიმოსი არის ბერძნული მეტა — „ერი, ხალხი“ რომელიც ძველ ქართულში ცნობილია.

ემპლასტრო. დამოწმებულია კუ პომილიის დასაწყისში, სადაც „სენითა ამპარტავნებისახთა“ სნეულნი მიიღებენ განსაკურნებლად ემპლასტროსა სიმღაბლისასა, შესაბამის ბერძნულ ტექსტში დამოწმებულია ჯეკლასტრო „მალამო, სალბუნი“. ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში: „ამა საქმესა თქუენვე სწავლეთ და დასდევთ ემპლასტრო საკურნებელი“. სიტყვა გვხვდება საბას ლექსიკონში (ემპლასტრი, ემპლასტრო, ემპლასტო, „მალამო, სალბუნი“). ამავე მნიშვნელობით შეტანილია დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც.

³⁶ თ. ეორდანია, ქრონიკები, II, გვ. 166. ქართული სამარტლის ძევლები, ... გამოსცა ი. ლოლიძემ, III, თბ., 1970, გვ. 167.

ხოროე. დამოწმებულია კაზ სიტყვის დასაწყისში. „ანგელოზიზე-ცათა ხოროხსა შემამტკიცებულნი“... ბერძნულ ტექსტში შესძლა-მის აღვილას არის ჯიბრის „გუნდი, ქორო“.

ბერძნულის კალკები. ტექსტში საკმაოდ მრავლად გვხვდება ბერძნულის კალკები, განსაკუთრებით კომპოზიტებში, ან მათგან მიღებული ეობს აბსტრ. სახელებში. რა თქმა უნდა, არ შეიძლება დაბეჭიოთებით თქმა, რომ ყოველი მათგანი მთარგმნელის მიერ არის შექმნილი, რად-გან ზოგიერთი საკმაოდ ხშირად გვხვდება ძელ ქართულში საზო-გადოდ და განსაკუთრებით ელინოფილთა ნაწერებში; მაგრამ ზოგიე-რთი მაინც აღნიშვნის ღირსია. ასეთებია:

ბერძ: „ათინათა შინა, სადა-იგი მკნობდა მრავალ-ღმრთეებად, სადა ჰბერვიდეს გამომეტყუელთა ზღაპარნი, რიტორთა სიტყუ-ანი“ პ. 47. აქ უნდა გვქონდეს პირდაპირი თარგმანი სახე ზენისა, რომლის ძირითადი მნიშვნელობა მართლაც არის „ბერვა, შებერვა“. მაგრამ იგი ამავე დროს ნიშნავს „სუნთქვას“ და აქედან „ცხოვრებას, არსებობას“. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა არის სავარაუდებელი ქარ-თულ თარგმანში (ჰბერვიდეს — არსებობდნენ, იყვნენ).

მესაშოლე: ეს სიტყვა ნახმარია კონტექსტში, სადაც წინა-სწარმეტყველები მიჩნეული არიან შუამავლად ღმრთსა და კაცს შო-რის ისევე, როგორც მესაშოლე ნი მეფესა და მთხოვნელთა შორის: „ვთარუცა-იგი მეფეთა წინაშე მდგომარე არიან მესაშო-ლე ნი, შორის მიმღებელნი კითხვათა და მიგებათანი, რათა სამე-ფოოქსაგან ღირსებისა დაცულ იქმნეს უკნებელად პატივი და წინა-შე-მდგომელნი ნეტარ-ჰუოფდენ მეფისა ღირსებასა“ პ. 14. ამჩი-გად, მესაშოლე არის შუამავალი. სავარაუდებელია, რომ მე-საშოლე უნდა იყოს კესირე („მედიატორი, მომრიგებელი, არ-ბიტრი“) სიტყვის თარგმანი. ეს ბერძნული სიტყვა უშუალოდაც ნახე-სხები ჩანს ქართულში. ამას ადასტურებს საბას ლექსიკონი, სადაც დამოწმებულია: „მესიტი — შუამდგომელი“ (წყაროს მიუთითე-ბლად).

ახალ ტკუეთელობაში: გვხვდება ორჯერ — ზმის პირიანი ფორმისა და საწყისის სახით: „ნუ განმარტებით ახლისა მკუე-თელობ წმიდათა მიმართ წერილთა“ პ. 29; „გერ არს ჩუენდა მო-წალე-უოფად წერილისა და არა ახალ-მკუეთელობად მისა“ პ. 13.

ქართულ ლექსიკურ ერთეულებში წარმოდგენილია ჯავახთანაბეჭდის სიტყვის შემადგენელ ნაწილთა სიტყვა-სიტყვითი თარგმანი. ეს სიტყვა ბიზანტიური პერიოდის ბერძნულში ნიშნავს „სიახლის შემოღებას“ და ხშირად იხმარება სწორედ ერეტიკოსთა შეზედულებების დასახასიათებლად. შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ ქართული კონტექსტის მიხედვით, შესაძლოა დედანში გვქონოდა აგრეთვე ჯავახთანაბეჭდი, რომლის მნიშვნელობაა „ამაო, ფუჭი სიახლის შემოღება“³⁷. ჯავახის და ჯავანის სიტყვათა მნიშვნელობათა აღრევა ქართულ თარგმანებში სხვაგანაც გვხვდება³⁸.

ვ რ ც ი ლ - მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ა . გამომეტყველთა ზღაპარნი, რიტორთა სიტყუანი... ფილოსოფოსთა ვ რ ც ი ლ - მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ა ნ ი ჲ . 48. აქ სავარაუდებელია კალკი პლასტარი³⁹ სიტყვისა, რომლის მნიშვნელობაა „ვრცლად, გრძლად ლაპარაკი“.

თ ა ნ ა -შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი თ ი . ეს სიტყვა კონტექსტის მიხედვით „სრულის“ საწინააღმდეგო მნიშვნელობისა არის: პავლე მოციქულის შესახებ ნათქვამია: „კორინთელთა მიმართ მწერალი არა იყო სრულთა მოძღვრებათამ, არამედ თ ა ნ ა -შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი თ თ ა მ“ ჲ . 54. აქვე მოყვანილია ციტატა იმ აზრის დასადასტურებლად, რომ პავლეს მოძღვრება არის გაიოლებული, გამარტივებული, რადგან მისი მსმენლები ამ მოძღვრების შესათვისებლად ჭერ კიდევ მზად არ არიან: „სძე გიწდე თქუენ, არა საჭმელი, რამეთუ არა ძალგედვა, არცაღა ჭერეთ ძალ-ვიც“ [1 კორ 3, 2]. თ ა ნ ა -შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი თ ი სუვაკაჭარა სიტყვის კალკი უნდა იყოს. მისი პირველადი მნიშვნელობაა „ვინმესთან ერთად ჩამოსკელა“, ამავე დროს ივრ გადატანით აღნიშნავს „ვინმეს დაბალ დონეზე დასკვლას, ვინმესთვის თავის გაყადრებას, უსწავლელთა სწავლებას“ (შდრ. სუზიიტი). იმავე კონტექსტში შესაბამისი ზმნური ფორმაც გვხვდება: „თ ა ნ ა -შ თ ა შ ყ ვ ე ბ ო დ ა და არა სრულებად სამებისა წმიდისა უქადაგა“.

³⁷ A Patristic Greek Lexicon, Edited by G. W. H. Lampe, Oxford, 1961—³⁸ ჯავახთანაბეჭდის სიტყვის კალკი უნდა იყოს. მისი პირველადი მნიშვნელობაა „ვინმესთან ერთად ჩამოსკელა“, ამავე დროს ივრ გადატანით აღნიშნავს „ვინმეს დაბალ დონეზე დასკვლას, ვინმესთვის თავის გაყადრებას, უსწავლელთა სწავლებას“ (შდრ. სუზიიტი). იმავე კონტექსტში შესაბამისი ზმნური ფორმაც გვხვდება: „თ ა ნ ა -შ თ ა შ ყ ვ ე ბ ო დ ა და არა სრულებად სამებისა წმიდისა უქადაგა“.

³⁹ ჲ . ღ ა ნ ე ლ ი ა , ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 99.

ერთი ჭგუფი კომპოზიტებისა და მათგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელებისა კეთილ ფუძეს შეიცავს.

კეთილ გონიერებად: ძლეულებისა ოღმსარებელი კეთილ გონიერებისა მიიხუმენ გვრგვნთა პ. 2. ბერძნული დედამიშვილი შეისძლოა ყოფილიყო ესტრანგისაც.

კეთილმსახურებად: კეთილმსახურების ძლითთა ტეივილთა შინა პ. 2; განანათლებს კეთილმსახურებისა მიმართ ლაპონი. პრბე მესტეავ. ესტრანგისა ალქემის ჩვეულებრივია ღმრთის-მსახურებად (საქმე 3, 12; 1 ტიმ. 2, 2 და სხვ.) როგორც ძეელი, ისე გიორგისეული რედაქციის ტექსტებში; კეთილი მსახურებად გვხედება მხოლოდ ერთხელ (2 პეტ. 3, 11). ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფუძნება ათონელისეულ თარგმანში ამავე სიტყვას ქართულში შეესაბამება კეთილად მორწმუნეობა³⁹.

კეთილპოვნიერებად: ყოვლისა კეთილპოვნიერებისა უპატიოსნეს არს ლაპონი. იმავე ბერძნულ სიტყვას სხვაგან ქართულში შეესაბამება სარეწავი: არს სარეწავი ჩუნი (საქმე მოც. 19, 25, გიორგი მთაწმიდლისეულ ტექსტში) — ეს ესპირიც უმარი დასას.

კეთილკამიერებად: შემძლებელ კეთილკამიერებით განვალი [...] თვად პ. 61. აქ უნდა გვქონდეს კალკი ესკაპერია სიტყვისა. ეს სიტყვა გიორგისეულ თოხთავში თარგმნილია, როგორც უამი მარჯუე: ეძიებდა უამსა შარჯუესა მ. 26, 16. იგივეა ქველ ვერსიებში: უამსა მარჯუესა DE, გამარჯუებულსა უამსა C. შდრ. ჰუგრეს ესკაპერია (იგივე ვითარებაა სხვაგანაც: ლ. 22, 6).

კეთილცნობიერი: რწმუნებად ყოველსა კაცსა კეთილცნობიერი სავარაუდებელია ესყურად სიტყვის გადმოსაცემად შექმნილი რთული სიტყვა.

საზოგადოდ, ისეთი კალკები, რომლებიც ბერძნული ეს—ფუძის შემცველ რთულ ფუძეთა გადმოსაცემად არის შექმნილი, ქართულში მრავლად არის.

³⁹ ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფუძნება ათონელისეული თარგმანება, გვ. 240.

ლამპარ-შემოსილი: ლამპარ-შემოსილი სიბრძნე...
შდრ. ლამპამინგის თაფია.

ყურადღება მისაქცევია ბერძნული კომპოზიტის მეორე ნაწილის
თარგმანი (ლამპამინგის — „ლამპარ-მქონებელი, ლუმინისტატემე-
ლი“) პომ. ლა.

მახვილ-მწერალი: ვითარცა კალამი მწერლისა მახვილ-მწერ-
ლისა ა. 3. 17. მოყვანილი ადგილი წარმოადგენს ციტატას ფსალმუნი-
დან [ფს. 44,2]. შესაბამის ადგილს ყველა ქართულ ვერსიაში (ძველ
წინაათონურ ტექსტში და გიორგის სეულ რედაქციაშიც) არის სიტყვა კე-
ლოვანისაც. ით პომილიაში სიტყვა-სიტყვით არის ნათარგმნი
ბერძნულის ძესყრაჭია.

რჩავალ-გამომეძიებლობა: დაპყსნის მრავალ-გა-
მომეძიებლობასა მწვალებელთასა 20. ეს სიტყვა, რომელიც
კონტექსტის მიხედვით ნიშნავს დაუინებით, დაწვრილებით ძიებას, გა-
მოყითხვას, სავარაუდებელია, πωλυτურულია სიტყვის თარგმანს წარმო-
ადგენს.

რამდენიმე რთული სიტყვის პირველ შემადგენელ ნაწილად გვაქვს
ნაცვალ ფუძე. ასეთებია:

ნაცვალ-მოსპობა: ეს კალკი, ისევე როგორც მახვილ-მწერ-
რალი, ფსალმუნის ციტატაში გვხვდება: ვიდრემდის ნაცვალ-
მოსპობა მთოვარე [ფს. 71, 7] პ. 8. ტექსტი ყველა ცნობილ ქარ-
თულ ვერსიაში გვაძლევს განსხვავებულ იყითხების: ვიდრემდის გან-
კცელეს მთოვარს. ბერძნული პრაგაციებში ნათარგმნია დაშლით,
ცალკე ნაწილთა მნიშვნელობათა მიხედვით (ა: τις αριθμό). ასეთი
ლექსიკური ერთეული ქართულში არ არის. მთარგმნელის შექმნილ
კალკი კიდევ უფრო ცხადად ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ
ზმნის შესაბამისი ფორმები ფსალმუნის ტექსტში მისგან სხვაგანაც
განსხვავებულია: პრაგაციებით — მიღებულ არიან 9, 26; პრაგაციები
ალემას — დააცადა ბრძოლად (დააცადნის ბრძოლანი 7) 45, 9; პრაგა-
ციები — მოვაკლდი 108, 23 და სხვ.

ნაცვალ-მოშურნე: გვხვდება ლეგ პომილის ტექსტში: ეს კ-
ანნა მრავალ წელ სნეულებდა უშვილობითა და უძვრესდა, რამეთუ
ნაცვალ-მოშურნე მისი მრავალთა შვილთა იყო დედა. შდრ.
ძ: ეს პრაგაციების ასტერ კამიონ ეს მეტე პალტო PG 54, 638.

სიტყვის განმარტება მოცემულია აშიაზე: „შეისწავე, რამეთუ ერთხა
ერთბამად ერთისა მამაკაცისა ცოლთა ნაცვალ-მოწურნე ეწო-
დების ურთიერთას“. ეს ლექსიკური კალკი, რომელიც „შეტოქეს“ ნა-
შნავს, იმავე წესითაა შექმნილი, როგორითაც წინამავალის ცალ-ცა-
ლკე არის სათარგმნი ბერძნული სიტყვის შემადგენელი-ნაშილური.

ნაცვალ-საკუეთებები: ვპოვებ ნაცვალ-საკუეთ-
ებელსა საცოლერისა შენისა მახვლსა 3. 35. კონტექსტის მიხედ-
ვით ეს სიტყვა ნიშნავს „საწინააღმდეგოს“. სავარაუდოა, რომ აქაც
კალკი არის გაეკთებული ისეთი სიტყვიდან, რომლის პირველ ნაწილს
ჭრა — შეადგენს (ანτιცალლა, ანთაპითა). ასეთი ტიპის კალკე-
ბი ხშირად გვხვდება XI საუკუნის შემდეგ, განსაკუთრებით პეტრი-
წინული სკოლის მიმდევართა თარგმანებში: ნაცვალ-აღმკედ-
რება ანთასტრატენიმა, ნაცვალ-განწყობა ანთაპითა
ნაცვალ-მბრძოლი ანთასტრატენი⁴⁰. ასეთივე ნაცვალ-მოქცე-
ვამ ანთასტრიფჩები.

ამგვარი ლექსიკური ერთეულების ფორმა განსაკუთრებით კარგად
ჩანს, თუ შევეუპირისპირებთ მათ სხვა თარგმანებს, მაგალითად, ახალი
ალტენატივული გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქტურიში გვაქვს: წინა-აღმაღ-
მაღ (-დადგომაღ) მ. 5,39; საქმე 6,10; ანთასტრიკა; წინა-აღმაღ-
გებით საქმე 7,51 ანთაპითათ.

სამ-მოქცევი: თვეთა სამ-მოქცევთა შინა ილელვების კუ-
პომ. ეს სიტყვაც ბერძნულის კალკს წარმოადგენს. ტაქსიმია ნიშნავს
„სამი ტალღისაგან შემდგარ ჯგუფს“ და „დიდ ტალღას“. მთარგმნელს
სიტყვა-სიტყვით გადმოულია სათარგმნი ტექსტი: თან თბიას ტაქსიმიას
ჯემადევთა.

სიძის-მყვანებელი: ნ. ყრმათ-მყვანებელი.

ტკივილთ-მყუარე: ეკსენების ესე ტკივილთ-მყუარე: და მოსწრაფეთა მსმენელთაგანთა პ. I. სიტყვა წარმოადგენს
ფასტივის სიტყვის თარგმანს; ამასთან, ქართველ ვთარგმნელს გად-

⁴⁰ იმსებ ფლავიოსი მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, დასპე-
დად დაამზადა ნ. მელიქი შვილ მ. მ. II, თბ., 1988, გვ. 413.

⁴¹ ამონიოს ერმიასის თხზულებანი ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცე-
მად მოამზადეს ნ. კეჭალ მაძემ და მ. ჩატავამ, თბ., 1983, გვ. 159.

მოუტანია არა პარა სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა „შრომა, სუკენი“, არამედ „ტეივილი“. გრამატიკულ ტრაქტის ტკივილი ინ-მარება „შრომის, გულმოდგინეობის“ მნიშვნელობით: „მრავალვსის და უწყინოდ წარკითხვითა პოოს ძალი ართრონთა ვითარებისათ, რამეთუ თენიერ ტკივილის შეუძლებელ არს ყოვლისა საქმისა მოლუა-წებად“ 24. აქაც, როგორც ჩანს, პარა სიტყვის კალკი უნდა გვქონდეს.

ყოვლად-შეწყობილი: ოდეს ყოვლად-შეწყობილია ამას სოფლისა დასაბამსა იღამზადებდა ლმერთი კრომ. ეს ლექსის სიყური ერთეული წარმოების თვალსაზრისით საქმაოდ ხშირად ხმარებული ყალიბისაა: შდრ. ყოვლად დასაწუველი, ყოვლისა მკყრობელი და სხვა, რომლებიც ბერძნულის კალკებად ითვლება. ყოვლად-შეწყობილი პასაკებრიანის სიტყვის ფარდია.

ყრმათ-მყვანებელი: მიუთხრობს მათ მოძლურებასა მას სიმშვდით ყრმათ მყვანებელი მათი პ. 51. ლექსის სიყური ერთეული წარმოაღენს პასაკებრის სიტყვის მიხედვით შექმნილ კალკს. იგი გვხვდება სხვაგანაც, ფლავიოსის თხზულების ზემოხსენებულ თარგმანშიც: კაი თქუა არა-ყოფად ყრმათ-მყვანებელად, არამედ მცველად მისა⁴¹. პასაკებრის ზმნის განსხვავებული თარგმანი არის ერთ-ერთ მეტაფრასულ თხზულებაშიც, რომელიც კ. კეკელიძეს ითანე პეტრიწის თარგმანად მიაჩნია: ყრმის მწუროთელ გყო გუამსა ერთგზის ჭამად დღესა შინა⁴².

სიძის-ეყვანებელი: გვჰყუარობ ნეტარსა პავლეს, სიძის-ეყვანებელსა ქრისტესა კრომ. შესაბამისი ბერძნული სიტყვა არის ყოფაც არა-ყოფაც „მაყარი, სიძის მხლებელი“, რომელიც ქრისტეს მოციქულთა ეპითეტად იხმარება.

წულილ-მოქმედება: იხილე წულილ-მოქმედება: ისბორო წაბოროტისამ პ. 34. სიტყვა ნახმარია იქ, სადაც მწვალებლებს ბრალიდ ედება მსჯელობის გაყილებება და არაარსებით წვრილვანებზე და-

⁴¹ ითხებ ფლავიოსი... I, თბ., 1987, გვ. 96.

⁴² კ. კეკელიძე, ძეველი ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 238. ტექსტი წარმოადგენს ოთოდორა ალექსანდრიელის ცხოვრებას, რომელიც ხელნაწერ ქრთ. 4-ის მიხედვით (XVI ს.) გამოსაცემად მოამზადა ნ. გოგუაძემ.

ე. (3. 34-35). ამ კონტექსტში წულილ-მოქმედება სიტყვას
კარგად უდგება ის მნიშვნელობები, რომლებსაც გვიჩვენებს ბერძნული პეპიტურები. პეპიტურები (ისევ, როგორც პეპილიგები) ზმინერალთ-ერთობით მნიშვნელობა არის „სოფიზმების გამოყენებით მსჯელობა, სიტყვებით თამაში, უსაფუძვლო დივა“⁴³. ბერძნულ დედანში სოფისტულებელი სიტყვა ამ ზმინისაგან ნაწილმოები აბსტრაქტული სახელი უნდა იყოს⁴⁴.

ବୀରମାନ ପାତ୍ରାଧୀନୀ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କୁ

მრავალრიცხვოვანი ციტატები პომილიაში გვიჩვენებს, რომ მთარგმნელის მიერ დამოწმებული ქართული ბიბლიური ტექსტები უმთავრესად ჩვენთვის ცნობილი ტიპისა იყო, მაგრამ ბერძნული დედნის ზუტად გადმოცემის მცდელობას აქაც უჩენია თავი. მთარგმნელს ციტატებშიც შეუტანია ლექსიკური და გრამატიკული ხსიათის შესწორებები, რის გამოც ვათ ტექსტი ზოგჯერ საგრძნობლად სხვაობს არსებული თარგმანებისაგან.

ზემოთ ნაჩენები იყო ასეთი სხვაობის ორი მაგალითი: ფსალმუ-
ნის ციტატებში ყველა ქართული რედაქციისათვის საერთო სიტყვები
შეცვლილია ბერძნულის ყაიდაზე ხელოვნურად შექმნილი კალკებით:
მას კლ-მწერალი პ. 17 — ბჯურგაჭირ კელოვან [ფს. 44, 2]
სიტყვის მაგიერ და ნაცვალ-მოს პობა პ. 8 — ანთავარევ
განკვდომა [ფს. 71, 7] ზმნის სანაცვლოდ.

სხვა შემთხვევებში ბიძლიურ ციტატებში ამა თუ იმ სიტყვას ენა-
ცვლება სხვა, ზოგჯერ სინონიმური, ზოგჯერ კი განსხვავებული მნიშვ-
ნელობის მქონე. ხელნაწერში დასმული საგანგებო ნიშნები ციტატე-
ბის აღსანიშნავად ეჭვს არ ტოვებს, რომ მთარგმნელს ეს ადგილები
სწორედ ციტატად მიაჩინია:

⁴³ Lampe, A Patr. Gr. Lexicon: λεπτονογία—hairsplitting.

⁴⁴ A Greek-English Lexicon, Compiled by H. G. Liddell and R. Scott, 1963: *λεπτολόγιον*, *λεπτονοργία* speak subtly, chop logic, quibble, discuss in quibbling fashion.

ქართულ ეკრანიებში არის აზნაურებად, გარდა ამისა, წინადაღაში ამ სიტყვას არს პირიანი ზმნაც მოსდევს როგორც მავლ, ისე უორგისეულ ეკრანიებში.

არა მოხუცებულმან, არცა ანგელოზმან [ეს. 63, 9] 3-65. ქართულ თარგმანებში (მათ შორის გელათურ ეკრანიშიც, რომელ-შიც ბევრი რამ ბერძნულის მიხედვით არის შესწორებული), შესაბამისი იყითხვისა: მოციქულმან, შდრ. პრესტიც.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ბიბლიური თარგმანების მაგალითები დამოწმებულია მხოლოდ შესაბარებლად; მათი ბერძნულთან მიმართებისა თუ სიზუსტის საკითხს აქ არ განვიხილავთ.

იოანეს თავის დასაწყისი სიტყვები პომილიაში განსხვავებულია ოთხთავის ყველა ცნობილი ტექსტისაგან: დასაბამსა იყო სიტყუად [ი. 1, 1] 3. 33 —'En ḥarxū ḥen ḥ lōr̥yos. შდრ.: პირველით გან იყო სიტყუად (ძველ შატბერდულ, ეფთვიმისეულ და გიორგისეულ რედაქციებში). ანალოგიისათვის შეიძლება მოვიგონოთ, რომ იოანე ჰეტრიიში სახარების გიორგისეულ ტექსტს ასე ასწორებს: დასაბამსა შორის იყო...⁴⁵ პირველ სიტყვას დასაბამსა უნაცვლებს ეფრემ მცირეც⁴⁶.

იტყვას... სადე გიწდე თქუენ [I კორ. 3, 2]. 3. 54. ამ ციტატაში გიწდე ცვლის გასუ იყითხვისს, რომელიც შეესაბამება პარაზა სიტყვას.

იტყვას პავლე: რამეთუ ცხოველი სიტყუად ღმრთისად და საქმიანი და უმკუთელესი უფროსს მახვლისა თრპირისა [ებრ. 4, 12] 3. 27. საქმიერი არის თარგმანი ენერგეს სიტყვისა, რომლის შესაბამისად ქართულ ეკრანიებში გვაქვს: მწე, შემწე AB, ძლიერ CD. ამასთან პომილიაში წინადადება უშემასმენლოა, ძველ ვერსიებში კი ზმნა არის: ცხოველი არს სიტყუად ღმრთისად, შდრ.: Zən γάρ ḥ lōr̥yos τοῦ θεοῦ καὶ ἐνεργής.

პომილიაში ენერგეს ზმნა სხვა შემთხვევაშიც ქართული თარგმანების ტექსტისაგან განსხვავებულად არის გაღმოცემული: ყოველსა

⁴⁵ იოვანე ჰეტრიიში. სათნოებათა კიბე. გამოსაცემად მომზადა, გამოკლევა, ჭენიშენები და ლექსიკონი დაუზოთ ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1968, გვ. 110.

⁴⁶ კ. დანელი, ქართული სამწერლო ენის ისტ. საკითხები, გვ. 308.

ამას მოქმედებს ერთი და იგივე სული, განმყოფელი თვესისა თო-
თოეულისა, ვითარცა პნებავს [I კორ. 12, 11] პ. 70. შემცირები სი-
ტყვის შესაბამისი თარგმანი არსებულ ქართულ ვერსიებში არის შე-
ეწევის; გარდა ამისა, სამოციქულოს ქართულ ვერსიებში ბერძნულ-
ლის ბ.ა.ხილუ ფორმას პირიანი ზმნა შესაბამება: განუყოფს,
ხოლო პომილის მთარგმნელი მისთვის ჩვეულ ხერხს მიმართავს —
ხმარობს მიმღეობას: განმყოფელი.

მაცხოვარებად ჩემი ვითარცა ლამპარი ეგზებოდის [ეს,
62, 1] პ. 4 — თბ ბე სათება: ო მუს ოს აჯანყა: აჯანყა: აჯანყა:
გველ თარ-
გმანებში იყითხება: ვითარცა ელვად ალატყდებოდის (ოშ-
კი, იერ.). გელათური ტექსტი: ვითარცა ლავარი ალენთოს.

ი შვა ჩვენდა ღმრთისაგან სიბრძნე [I კორ. 1, 30] პ. 8 —
ჰევიური. შესაბამისი ზმნა ცველა ქართულ რედაქციაში არის იქმნა.

ჭეშმარიტებად ქუეყანით აღმოჰკდა [ფს. 84, 12] პ. 9 —
აგეთა: ლევ. შდრ. ქართული რედაქციების აღმოსცენდა.

ზემოთ აღნიშნული იყო აღწერილობით ფორმათა და მიმღეობათა
სიხშირე პომილის ტექსტში. ეს აგრეთვე კარგად ჩანს ციტატებში,
როცა მათ ქართულ ბიბლიურ თარგმანებს ეუპირისპირებთ:

იტყვს, ვითარმედ: ვერ შემძლებელ ვიქმენ სიტყუად
თქუენდა ვითარცა სულიერთა, არამედ ვითარცა ჩჩლთა ქრისტეს
შიერ (I კორ. 3, 1) პ. 54 — ისა უბანური. შდრ. ვერ გიტყოდე
AB, ვერ უძლე სიტყუად CD.

უარყოფად თავისა თვესისა ვერ შემძლებელ არს [II ტიმ.
2, 13]. პ. 28 — ის ბერკა: შდრ. ვერ კელეწიფების AB,
ვერ ძალუ ც CD, გიორგ.

უცხოესა ეშმაქისასა გონებულ არს განმოქუმელად [საქმე
17, 18] პ. 51 — ხელი ბაქიონის ბიხევ ახალი გვარების ესა-
შდრ. უცხოთა ეშმაქთა ჩანს მთხრობელ.

კაცნო გალილეველნო, რახსა მდგომარენი ხართ მხე-
დველნი ცად მიმართ? [საქმე 1, 11] პ. 23 — ას ესარქათ
ბლეპიონთა. შესაბამისი ქართული იყითხვისია: რახსა სდგათ და ხე-
დველნი ზეცად (ცად მიმართ ც).

პავლე იტყვს, ვითარმედ: თავიდი ღმერთი ორს თოქმეთ ყოვლისა ყოველსა შინა [I კორ. 12, 6] პ. 70—ძ მხატვაში და გვერდის მაშინ, როდესაც შესაბამის ადგილას ქართულ ბიბლიურ ტექსტებში განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება გვხვდება:

მამად ჩემ შორის დად გრომილი იქმს [ი. 14, 10]. პ. 57 — ძ მხატვაში და გრომილი მამად ჩემი, რომელი ჩემ თანა DE, რომელი ორს ჩემ თანა FG, რომელი ჩემ თანა დამკუდრებულ არს C.

ღმერთმან შემოქმედმან ცისა და ქუეყანისამან [საფქე 17, 24] პ. 48—ძ შება და პირისას თეს აისცო ას პანთა თა ეს ასტე. შდრ.: მამად ჩემი, რომელი ჩემ თანა DE, რომელი ორს ჩემ თანა FG, რომელი ჩემ თანა დამკუდრებულ არს (რად არს) — C) მას შინა.

ციტატაში ჰომილიაში ზოგჯერ ზმნა სულ არ არის: ღმერთი მაღალ, საშინელ, მეფე დიდ ყოველსა ქუეყანისა ზედა [ფს. 46, 3] პ. 11 — აკრიის (var Θεός) ნტისტია ფინერის, ჩასილებს მაგაც ჰპ პაზავ თუ კუ შდრ. უფალი მაღალ არს და საშინელ და მეუფე დიდ ყოველს ქუეყანისა ზედა 7,

თარგმანში, სადაც მთარგმნელი ცდილობს ბერძნული დედანი სიტყვა-სიტყვით გადმოსცეს, სხვა სინტაქსური კალკებიც გვხვდება: არა პრემენა მისა მიმართ იუდეანთა [ი. 9, 18] პ. 7 — ისა ჲპისა-თეაზავ... კერი ასთის შდრ. არა ჰრწმენა... მისთვის (მისი C).

სიტყვა-სიტყვით თარგმანებში ზოგჯერ აზრიც ძნელი გასაგებია: ესე ღმერთი ჩუენი, არა შეირაცხოს სხუად მისა მიმართ [ბარუქ 3, 36], პ. 38 — ისთის ბ შება ეკატ, ის აიგისმერსეთა ჰთერის პრბა ასტოგ. შდრ. ოშკური ტექსტი: ესე არს ღმერთი ჩუენი, კერ ესწოროს მას სხუად (ჰომილიის ტექსტს ნაწილობრივ ემსგავსება გელათური ვერსია: ...არა შეირაცხოს სხუად მის თანა). ასევე მთლად ნითელი არ არის: ქრისტე კორცთა ებრ [რომ, 9, 5] პ. 33 — ბ ხრისტის თა ხატა სარკა. შდრ ქრისტე კორცი ელი დ.

ერთგან მთარგმნელს შეაქვს პოულოდნელი ცვლილება: ციტატა—ში, რომელშიც მოცემულია წარმართთა უარყოფითი აზრი პაკლე მო-ციქულის შესახებ [საქმე 17, 18] პ. 45, იგი ნაკლებ მოსალოდნელ სიტყვას ხმარობს: ბერძნულ ტექსტში მოციქულის დასახასიათებლიდ ნახმარია სპერმიატერი, რომლის მნიშვნელობაა „თესლის ამკრეფი“, ხო-ლო ზემოდასახელებულ კონტექსტში იგი გადატანით ნიშნავს „ყბედს“. ათონამდელ ვერსიებსა და გიორგის სულში გვხვდება კალკი: თეს-ლის ვერცყულსა, ხოლო პომილიაში მთარგმნელს ასე გადმო-უცია: რამ-მე პნებავს მთესვარსა ამას თქუმაღ? პ. 45.

ზემოთ აღნიშნული იყო ვიდრე მე-ს ხშირი ხმარება. მთარგმნელს იგი ზოგჯერ ციტატებშიც შეუტანია: იოვანე ვიდრე მე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ-იღეთ სულითა წმიდითა [საქ-მე 1, 5] პ. 75. ეს სიტყვა არ არის არცერთ ქართულ ვერსიაში; პო-მილიაში კი ვიდრე მე... ხოლო ნახმარია ბერძნული მან—შეს შესაბამისად: 'Iωάννης მან ეპატესი შემთხვევაში არა.

დასახელებული პეგალითები ცხადყოფს, რომ პომილიაში მოყვა-ნილი ციტატები განსხვავებულია იმ დროს არსებული ქართული ბიბ-ლიური წიგნების შესაბამის იყითხვისთაგან. არ არის სავარაუდო, რომ მთარგმნელს ხელთ პქონდა რაიმე, ჩვენთვის უცნობი მთლიანი თარ-გმანი ძეველი და ახალი აღთქმისა. ციტატების ხასიათი და მათი შეპი-რისპირება არსებულ ქართულ რედაქციებთან გვიჩვენებს, რომ მთა-რგმნელი იყენებს ძეველ თარგმანებს, ოღონდ ციტატების ტექსტს ცვლის მაშინ, როდესაც ქართულ იყითხვისებს, მისი გარაუდით, სიზუს-ტი აკლია. მეცხრამეტე პომილიაში დამოწმებულ ციტატებზე დაკ-ვირვება მნიშვნელოვანია მთარგმნელის მუშაობის საერთო სტილის გასარკვევადაც, მით უფრო, რომ პომილის მთლიანი ტექსტის დედა-ნი, როგორც უკვე ვთქვით, ჯერჯერობით არ ჩანს.

ჰ. ვისი დაწერილია „სიტყუად ართრონთათვს?“

„სიტყუად ართრონთათვს“, როგორც უკვე აღინიშნა, დაწერილია იმ პირის მიერ, რომელსაც უთარგმნია მეცხრამეტე პომილია და სა-ზოგადოდ ათონურ № 6 ხელნაწერში შეტანილი ყველა თხზულება. ვინ უნდა ყოფილიყო იგი?

დაზიანებულსა და განახევრებულ ხელნაწერს დღეს ოღარ აქვს არც საერთო სათაური და არც გადამწერის ანდერძი, ხადაც მოხალიდნელი იყო გვერბოდა ცნობები კრებულში შესულ თხზულებათა მთარგმნელის შესახებ. ილარიონის კატალოგის მიხედვით შედგენ ლება ვივარულოთ, რომ ხელნაწერი მასაც ასევე ნაკლები დამტკიცებულია. ილარიონს გრამატიკული თხზულების დამწერად (და კრებულის მთარგმნელადც) ეფოვიმე მთაწმიდელი მიუჩინევია, მაგრამ დაუკიდა რი ანალიზის გარეშეც კი ნათელია, რომ ეფოვიმეს თხზულებები ენისა და სტილის მხრივ ძალზე განსხვავდება ათონურ კრებულში შესულ თარგმანთაგან. სხვაობა იმდენად დიდია, რომ უკანასკნელთა მიჩნევა ეფოვიმეს ნამუშავევად შეუძლებელია. სატიქრებელია, რომ ილარიონმა „წმიდა ეფოვიმე მთარგმნელი“ აქ იმიტომ დაასახელა, რომ მთაწმიდელი ზოღვაწის ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო; ტრადიციით მას ხშირად მიაწერდნენ სხვა მწიგნობართა შესრულებულ თარგმანებსაც. ამისი მაგალითი ილარიონის კატალოგშივე მოიპოვება: მის მიერ ეფოვიმის თარგმანად მიჩნეული ერთი ხელნაწერის აღწერილობა უკველად შეეხება ოშეის ანუ ათონის ბიბლიას, დღეს კი კარგად ორის ცნობილი, რომ ოშეის ბიბლია ეფოვიმის ნათარგმნ ტექსტს ორ შეიცვას!

გრამატიკული თხზულების ავტორის ვინაობის შესახებ შეიძლება ითვეს შემდეგი: იქის მიხედვით, რომ ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს XII — XIII სს-ში, შესაძლოა განვსაზღვროთ ზედა ქრონოლოგიური ზღვარი — terminus post quem იყო — თხზულების დაწერისათვის. ამავე დროს, ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ხელნაწერი თავისი გარეგნული ნიშნებითაც და მასში შეტანილ თხზულებათა ენის მიხედვითაც ეფრემ მცირის ლიტერატურული სკოლიდან ჩანს გამოსუ-

1 „დაბადება არს წმიდის ეფოვიმისი თარგმნილი: მაკაბელთათვს არა არს და სხვ. ყოველივე არს ეტრატი კეთილად საკითხავი, მხოლოდ ამოხეულ არს უღრობობის ფაქტი... პირველ დასაწყისში, სამი თავი აკლია... სხვა სრულ არს ორ წიგნად შეკრული... A. Цагарелли, Сведение, I, с. 16. XIX საუკუნეშიც ოშეის ბიბლია ეფოვიმეს ნაღვაწად ითვლებოდა. ე. წ. „საეკლესიო გამოცემის“ (1884 წ. ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი ორტომეულის) მესკეურებმა, როგორც ცნობილია, თავითი გამოცემის საფუძვლად ითვლეს მოსკოვის 1743 წლის გამოცემა და გაასწორეს ივი ხელნაწერი პირის მიხედვით, რომელიც გადაწერილი იყო „ათონის ფერის მონასტრიდან ჩამოტანილის წმიდა მამა ევთომისგან მეცხრე (ჩაზი ჩვენია. მ. ვ.) საუკუნეში თარგმნილი დაბადებილამ“ ...1856 წლს.

ლი. ამიტომ გრამატიკული თხზულების დაწერის დროდ უნდა მივწერით XI ს.-ის დამლევი ან XII ს.-ის დასაწყისი — თვითონ ეფურეშ მცირისა და არსენი იყალთოელის მოღვაწეობის ხანა. ამ პირთა შესაძლო ავტორობაზე მსჯელობა კანონზომიერია, რადგანაც „სიტუაციაზე ართონთათვს“ უთუოდ დაწერილია არა უბრალო მთარგმნელის, არამედ მეცნიერისა და მწიგნობრის მიერ; ნაწარმოებს აშკარად ეტყობა, რომ მისმა ავტორმა არა მარტო კარგად იცოდა ბერძნული ენა, არამედ გრამატიკის თეორიის საკითხებშიც ჩინებულად იყო განსწავლული. შეიძლება ისიც დავსძინოთ, რომ ანტონ კათალიკოსი თავისი გრამატიკის პირველ რედაქციაში, იმ თავში, სადაც იგი მსჯელობს ე.წ. „სამი სტილის თეორიის“ შესახებ (ეს ნაწილი არ არის მეორე, გამოქვეყნებულ რედაქციაში) ძეველ ქართველ მწიგნობართა შორის ასახელებს: „ითანეს ფილასოფოსსა ქართულსა, მეფესა აფხაზთა და ქართულთა დავითს, ეფრემს და არსენის ლრამმატიკოსთა ღირსთა“ (ხელნაწ. ინსტ. ხელნაწ. A—531, 175v, (გასარკვევია, ოლონდ, ეს ტერმინი ანტონს მართლაც დღევანდელი „გრამატიკოსის“ მნიშვნელობით უხმარია, თუ უფრო ფართოდ — „მწიგნობრის“ (ლიტერატორის) მნიშვნელობით). აქვე დასახელებული ითანე პეტრიწის მოღვაწეობაც დახსლოებით იმავე ხანას განეკუთვნება, მაგრამ ენობრივი მონაცემების მიხედვით გაჭირდებოდა ათონური კრებულის დაკავშირება მას სახელთან. გარდა ამისა, ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ზოგიერთი გრამატიკული ტერმინი პეტრიწის თხზულებებში განსხვავდება გრამატიკულ ტრაქტატში ხმარებულისაგან. ამრიგად, ამ ნაწარმოების ავტორის ძიებისას პირველ რიგში ეფრემსა და არსენის უნდა მიექცეს ყურადღება. სამწუხაროდ, მათი ენა, სტილი და თარგმანის მეთოდები ისე დაწერილებით არ არის შესწავლილი², რომ შესაძლებელი იყოს ათონურ კრებულში შეტანილ პომილიათა მთარგმნელად და გრამატიკული ტრაქტატის ავტორად გულდაჯერებით დავისახელოთ ერთი

² ეფრემ მცირის ენის შესახებ ი. მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა; საობილეო, XI, 1968, გვ. 99; კ. დანელია, ქართული სამწუხარო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 358; არსენი იყალთოელის ენა ნაკლებ არის შესწავლილი. გამოქვეყნებულია მისი ნათარგმნი ორი დიდი თხზულება: ხრონიკატი გორგი მონაზონისამ (ს. ყაუხ ხ ჩ შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1920) და დიდი სკულისკნონი (გამოცემული ე. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, მ. დოლაძისა და გ. ნინუას მიერ), თბ., 1975. სამწუხარო, არსენის თხზულებათა არც ერთ გამოცემას ტექსტის ენობრივი მიმოხილვა არ ახდავს.

ან მეორე (ან ეინმე სხვა — მესამე). ენობრივი თავისებულებანი, რომლებიც ზემოთ იყო დასახელებული, განსაკუთრებით მორცელოვანი ხასიათისა, მეტ-ნაკლებად ორივეს თხზულებებს ახასიათობს.

მხედველობაში ვისალებია ისიც, რომ ერთი და მეორე პირის წერტილი მანერა შეიძლება საქმაოდ განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათისაა სათარგმნი ნაწარმოები. კ. კეჩილიძეს აღნიშნული აქვს, რომ არსენი იყალთოელის ენა „საერთოდ ხელოვნურია, განსაკუთრებით განცენებულ დოგმატიკურ-ფილოსოფიურ თხზულებებში, აგიოგრაფიულ-ისტორიულში კი შედარებით მატერივი და ლიტონია“³.

ეფრემისა და არსენის თარგმანთა ენობრივ-სტილისტურ თავისებულებათა გამოსავლინებლად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არსებობს მათ მიერ ცალ-ცალკე შესრულებული ორი თარგმანი ერთი და იმავე თხზულებისა: ორი ნაწილი ითანე დამასკელის ფილოსოფიური ტრილოგიისა: „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“ უცილობელი კეშმარიტისა სარწმუნოებისაა“, რომელთაგან პირველი გამოვეუნებულია⁴. ამ თხზულებათა შესწავლა ამ თვალსაზრისით საშუალებას გვაძლევს გამოვალინოთ სხვაობები თარგმანებში, რომლებიც შეპარობებულია ეფრემისა და არსენის დამოკიდებულებით სათარგმნი ტექსტისადმი და მათი განსხვავებული მთარგმნელობითი ტექნიკით. სამწერაოდ, გამოკვლევაში, რომელიც წინ უძლეს „დიალექტიკის“ ტექსტს, არ არის დასახელებული კონკრეტული მაგალითები, მაგრამ ინტერესს იწვევს ის ზოგადი დებულებებიც, რომლებიც ამ მწიგნობრთა თარგმნის მანერას ახასიათებენ: „არსენის თარგმანი ძირითადად ზუსტად მისდევს ბერძნულს, ეფრემი კი შედარებით „აქართულებს“ მას. მისი თარგმანი არ ხასიათდება ბერძნულის ზუსტი მიღევნებით... ეფრემ მცირის თარგმანს ხშირად აკლია სიზუსტე“⁵. არსენის პოზიციას ნათლად გადმოსცემს მისივე განცხადება: „და არც რა ბერძნულისაგან დამიგდია და არცა რა ზეპირითა დამირთავს. და თუ სიბნელე საღმე ანუ სიღუსჭირე შესდგამს, ივი ბერძნულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებას“

³ კ. კეჩილიძე, ძევლი ქართული ლიტ. ისტორია, 1, გვ. 275—276.

⁴ ითანე დამასკელი, დიალექტიკა, გამოსცა მანა რაფაელმ, თბ., 1976.

⁵ ითანე დამასკელი, დიალექტიკა, გვ. 45-46.

ვერ-მეცნიერებისაგან⁶⁷. ამიტომ არის, რომ ქ. კეკელიძე არსენის უწოდებს პეტრიშონული ლიტერატურული მიმართულების ერთ-ერთ პიონერს; მისი სიტყვით, „ელემენტები პეტრიშონული სკოლის ლექსიკისა და მორფოლოგია-სინტაქსისა არსენის თხზულებებშიც გვხვდება“⁸, გამოკვლევაში, რომელიც „გარდამოცემას“ შეეხვდის – ემირაზე⁹ ქმულია „დიალექტიკის“ შესახებ ნათქვამის მსგავსი აზრი: ეფრემის თარგმანი მეტად არის დაშორებული დედნისაგან, ხოლო არსენისეული დედანს უფრო ზუსტად გადმოსცემს¹⁰. შეიძლება დაესძინოთ ისიც. რომ ქ. კეკელიძეს ასეთი აზრი აქვს გამოთქმული: „დიალექტიკა“ სწორედ იმიტომ უთარგმნია არსენის, რომ ეფრემის თარგმანი მას საკმაოდ ზუსტად არ მიუჩნევიაო¹¹.

ეფრემისა და არსენის თარგმანთა განსხვავებული ხასიათის გამოსაჩინებლად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან შეპირისპირებით. უპირველესად ყოვლისა განვიხილავთ იმ ფრაგმენტს წინასიტყვაობიდნ, რომლის შესახებ გამომცემელია წერს, რომ შინაარსის სრული იგივეობა ამ ადგილას მთარგმნელთა მიერ გამოყენებულ ბერძნულ დედანთა შესაძლო რედაქციულ სხვაობას გამორიცხავს¹².

ე ფ რ ე მ ი

ა რ ს ე ნ ი

აწ უკუე გარეშენი ფილოსოფოსნი მსგავსად პირველ-თქუმულისა სიტყვები განყოფილებასა იტყვან არსებისა და ბუნებისასა. რამეთუ არსებად უწოდენ მარტივად მდებარესა ნივთსა, ხოლო ბუნებად—არსებასა დასახულსა განყოფილებად არსებითად, რო-

გარეშეთა უკუე ფილოსოფოსთა პირველ-თქუმულისა სიტყვების განყოფილებად თქუეს არსებისა და ბუნებისად, არსებად ვიდრემე მეტყუელთა მარტივად ყოფისათა ოდენ, ხოლო ბუნებად—არსებისა, სახედადებულისათა არსებითათა განყოფილებათა მი-

⁶ ხელნაშერი 5 — 1463, 39 გ. ქართულ ხელნაშერთა აღწერილობა... 5 კოლექციისა, ტ. 1, თბ., გვ. 214.

⁷ ქ. კეკელიძე დელი ქართული ლიტ. ისტორია, 1, გვ. 275.

⁸ რ. მიმინოვილი, ითანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966, გვ. 157.

⁹ ქ. კეკელიძე, დელი ქართული ლიტ. ისტორია, 1, გვ. 297.

¹⁰ დიალექტიკა, გვ. 45. საზოგადოდ, რედაქციული სხვაობა ბერძნულ დალნებს შორის (საღაც კი არის) ქართულ თარგმანებში ნათლად არის ასახული და თარგმანთა შეპირისპირებით შესწავლას ხელს არ უშლის.

ეფრემი

მელსა-იგი შარტივად ყოფილა თანა კითარებადცა რამე ქუნდეს ყოფისაა: სიტყვერებაა ანუ პირუ-ტყუებაა, მოკუდავებაა და უკუ-დავებაა.

ეფრემისეულ თარგმანში ზემოთმოყვანილი ფრაგმენტი დანაწევრებულია სამ მონაკვეთად, რომელთაგან თითოეულში ზმის პირიანი ფორმა მოიპოვება: ოტყვან... უწოდენ... ოქუნდეს. არსენისეულ თარგმანში ამავე შინაარსის ტექსტი მხოლოდ ერთ ზმის შეიცავს: თქუეს. ის, რაც ეფრემის ტექსტში გამოხატულია ცალ-ცალკე ზმნური წინადადებებით, არსენისაში მიმღებური კონსტრუქციით არის გადმოცემული: ფილოსოფია... მეტყველთა, არსებისა, სახელდებულისათა (!)... მქონებელისათა (!)... მრავალისტყვიერ განკურძოებულ გამოთქვებში ბრუნვათა ფორმებიც სინტაქსური ასიმილაციის გამო არის შეცვლილი. მ ვრცელი ერთიანი სინტაქსური მონაკვეთის აზრი ბევრად უფრო ძნელი გასაგებია, ვიდრე ეფრემისეულ თარგმანში, თუმცა უკანასკნელი შეარებით თავისუფალი თარგმანია, არსენისეული კი თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყება ბერძნული დედნის წყობას:

Οι μὲν ἔξω φιλόσοφοι κατὰ τὸν προλεπεγμένον λόγον διαφορὰν εἰπον οὐσίας καὶ φύσεως, οὐσίαν μὲν εἰπόντες τὸ ἀπλῶς εἶναι, φύσιγ δὲ οὐσίαν εἰδοποιηθεῖσαν ὑπὸ τῶν οὐσιῶν διαφορὴν καὶ μετὰ τοῦ ἀπλῶς εἶναι καὶ τὸ τοιωτσθε εἶναι ἔχουσαν, εἴτε λογικὴν εἴτε ἀλογον, εἴτε φυγήτην εἴτε ἀθάνατον¹¹.

სხვა მაგალითი:

ეფრემი

კითარ-იგი გაბრიელ, პზრახ-ვიდა რამ წმიდასა ღმრთისმშობე-ლისა, რომელი-იგი ერთი ანგელო-ზთაგანი იყო და მხოლოდ მუნ

არსენი

ერ და მარტივად ყოფილი იანა ესრეთ კითამე უფლესა შემონაბე-ლისათა (!) გინვ ჟუ სიტყვებურად ანუ უსიტყუელად, გინა მოკუ-დავად ანუ უკუდავად თ. 13 (ა)¹¹.

არსენი

კითარ-იგი გაბრიელ, წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ მზრა-ხვალი, ერთი იყო ანგელოსთაგა-ნი და მხოლოდ მუნ წარმოდგო-

¹¹ Die Schriften des Johannes von Damaskos... besorgt von P. B. Kotter, Patristische Texte und Studien, B. 7, Berlin, 1969, S. 93.

წარმოდგომილ იყო და მზრახვილა, ამისთვიცა განკუთილ იყო მის თანა ერთ-სახეთა მათ და ერთ-არსთა ანგელოზთაგან ადგილსა მას გარდამოსლვითა და მზრახვალობითა. და პავლე საყდართა წინაშე რამ სიტყუა-უგებდა, ერთი კაცთაგანი იყო და თვთებითა და მოქმედებითა სხუათა კაცთა-გან განშორებულ იყო.

ამ მონაკვეთშიც, ეფრემის თარგმანში დადასტურებულ ზმნურ პი-რიან ფორმებს არსენისეულში მიმღები ენაცელება: ზრახვი-და რახ—მზრახვალი, წარმოდგომილ იყო—წარმოდგომილი, განყოფილ იყო—განყოფილი, სიტყუა-უგებდა — მზრახვალი, კაცთაგანი იყო — კაცთა-გან მყოფი. შდრ:

Οἰον ὁ Γαβριὴλ τῇ ἀγίᾳ θεοτόκῳ διαιλεγόμενος, εἰς τῶν ἀγγέλων ὑπάρχων, μόνος ἐκεῖσε παρὼν διελέγετο, κακωρισμένος, τῶν ὄμοιωσίῶν ἀγγέλων διὰ τῆς ἐν τῷ τόπῳ παρουσίας καὶ διαιλέξεως, καὶ ὁ Παῦλος ἐπὶ τῶν ἀναβαθμῶν δημηγορῶν, ἐις τῶν ἀνθρώπων ὥν, διὰ τῶν ἰδιωμάτων καὶ ἐνεργημάτων αὐτοῦ τῶν λοιπῶν ἀνθρώπων διεστέλλετο¹². Ἐյαυ არსენი სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ორიგინალის წყობას.

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ „დიალექტიკაში“ არსენის სტილი-სათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ნაკლებია, ვიდრე მის მიერ თარგმნილ ზოგიერთ ძეგლში, მაგალითად, „დოგმატიკონის“ შე-მადგენლობაში შეტანილ დოგმატურსა და ფილოსოფიურ სტატიებში; ამის მიზეზია თვით „დიალექტიკის“ ტექსტის ხასიათი; ამ ნაწილმოებში გადმოცემული დებულებები უმეტესად აპოდიქიკური მსჯელობის სახისა არის, შესაბამისად, ტექსტიც (ბერძნულიცა და ქართულიც) შედარებით მარტივია სიტაქსურად. ამიტომ არის, რომ „დიალექტი-

¹² Die Schriften des Iohannes von Damaskos, S. 109.

კაში” არსენისეული თარგმანები ხშირად მარტივია და წყობით ნაკლებ განსხვავდება ეფრემისეულისაგან:

და ესე (ესე) მარტივი უკუკ. არსენი არსებად ყოველთა გუამთა შინა (შორის ა.) სწორებით (იგივედ და ერთაგან) მოცემული ების: უსულოთა და სულიერთა (სულიერთა და უსულოთა, ა.) სიცემურთა და პირუტყულთა (უსიტყულთა. ა) მოკულავთა და უკუდაეთა”
28 (k5) 3. შდრ.:

კა! ე լეა ოპლე იბია ენ პატაკ თან უპატარესა ა რამართი შეაჩინა ენ თან აქუხია აა ტაქუხია, ლოგია თა აა ალეგია, შეგრა თა აა აშანადოია¹³.

მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი მაგალითები მაინც დამახასიათებელია არსენის ენისათვის და მისი მთარგმნელობითი მეთოდის ნიმუშებს გამოავლენს.

ზემოთ ნაჩვენები იყო ით პომილიისათვის და ნაწილობრივ აგრძოვე ათონურ კრებულში შეტანილ სხვა თხზულებათათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები, რომელთაგან ერთი ნაწილი ბერძნული დედნის ზეგავლენას უნდა მიეწეროს: ასეთებია: მიმღეობურ ფორმათა და განკერძოებულ სიტყვათა თუ გამოთქმათა სიმრავლე, სინტაქსურ ფორმათა კონტამინაცია, და კავშირის ხმარება - ცა ნაწილაკის მნიშვნელობით, ზოგიერთი ლექსიკური კალკის შექმნა და სხვა. ბერძნულ დედანთან თარგმნის დაახლოების ტენდენცია აგრძოვე კარგად ჩანს პომილიათა დასაწყისებში, რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი. შეიძლება დავასახელოთ კიდევ კა პომილიის დასაწყისი (ნ. ზემოთ, გვ. 40), რომლის ქართულ თარგმანში არის გადმოცემული ბერძნულ სიტყვათა თანმიმდევრობა. ამას შედევგად მოჰყვა თარგმანის დატვირთვა რთული განსაზღვრებებით, რომლებშიც მიმღეობები და წარმოქინილი ზედსართავები შედის: აღმლე სელნი... ბორგნეულნი... კელმყოფელნი... მეტყუელისა... მქადაგებელისა...

ეგვე ტენდენცია — ბერძნული დედნის რაც შეიძლება სიტყვა-სიტყვით გადმოცემა — ჩანს სხვა პომილიათა დასაწყისების მიხედვითაც.

¹³ Die Schriften des Johannes von Damaskos, S. 108.

არსენის შესახებ მსჯელობისას პ. კეკელიძეს მისი ენის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია „რთული სიტყვები და ასეთი ფორმები: ვიდრე მე, ეგერა, ძლით ი“¹⁴. ზემოთ აღნიშნული იყო ვიდრე მე-ს ხშირი ხმარება ოთ ჰომილიასა და გრამატიკულ თხზულებაში. ამას შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ „დაულუქტივის“ არსენისეულ თარგმანში ვიდრე მე ხშირად გვხვდება. შესაბამის აღვილებში კი ეფრემისეულ თარგმანში ეს სიტყვა ან მისი სხვა ეკვივალენტი საზოგადოდ არ არის:

ეფრე მი

აწ უკუ ეწოდების კაცსა მას
არსება, ხოლო ფერსა შემთხუე-
ვითი

არს უკუ სხეული ვიდრე-
მე არსებად, ხოლო ფერი —
შემთხუევითი, თ. 1,5.

შდრ. *Εστιγ օსν τὸ μὲν σῶμα οὐσία, τὸ δὲ χρῶμα συμβεβηκός¹⁵.
ყოველი კაცი სიტყვერ არს,
ხოლო არა ყოველი სიტყვერი
ტყვერ არს, ხოლო არა ყოველი
სიტყვერი კაც არს. თ. 8,5.

შდრ. Πλές μὲν ἀνθρωπος λογικός, οὐ πᾶς δε λογικός ἀνθρωπος¹⁶.

ზემოთ აღნიშნული იყო ოთ ჰომილიაში ნასახელარი ზმნების დიდი რაოდენობით ხმარება. შეიძლება შევნიშნოთ, რომ „დიალექტივის“ არსენისეულ თარგმანში ზოგჯერ არის ისეთი ნასახელარი ზმნები, რომ-ლებიც შექმნილია ბერძნული ზმნის ერთი სიტყვით გაღმოსაცემად და ეფრემისეულ თარგმანში ხმარებული ფორმებისაგან განსხვავდება: სახელ-ნართაულნი ვიდრემე გარე-შეიცვენ, რომელთაგან ის ა-ხ-ლ-ნ-ა-რ-თ-ა-უ-ლ-ნ-ე ს. თ. 21,3. ეფრ.: ნართაულნი სახელნი გამოაჩინებენ ნივთსა, რომლისაგან დაერთნე ს სახელსა კაცისასა, შდრ. თა მეს παρώνυμικ πεრιέχουσι თა ატ' ῶν παρωνομάς-ση-γεαν¹⁷.

მყ უდროებს არსენ 26,1 (მყუდრო არს, ეფრ.) — შდრ. უფლეს¹⁸.

¹⁴ კ. კ ი კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 275.

¹⁵ Die Schriften von Johannes von Damaskos, S. 58.

¹⁶ სს. თხ. გვ. 85.

¹⁷ სს. თხ. გვ. 103.

¹⁸ სს. თხ. გვ. 107.

9. მ. შანიძე

ეფრემ მცირის ნათარგმნ თხზულებებში, როგორც ცნობილია, ხშარად გვხვდება მარგინალური შენიშვნები, რომლებიც მას ბერძინ მწევნობართა მიბაძვით შემოულია¹⁹. ეფრემის შემოლებულ სისტემა მწესდევლნენ მისი მოწაფეები, მათ შორის არსენიც. „შეისწავები“ მრავლად აქვს დართული არსენის შრომებს. „ხრონოლრაცია“ იგი წომს: „შეისწავე, ვითარმედ ჩუღულებაა ბერძნითა ენისაა იუდეან უწოდს ჰურიათა“²⁰. სჯულისკანონში ერთ-ერთ ვრცელ შენიშვნაში იგი უცხო სიტყვათა მნიშვნელობებს განმარტავს: „შეისწავე, ვითარმედ ყოველნი ესე წოდებანი... ნეარონი, კოდიკონი, დიგესტონი... სახელ არიან პრომაულთა აშ ბერძნითა შორის მყოფთა სამოქალაქოთა წიგნთანი... ხოლო კოდიკომ სახელი არს პრომაული და ეწოდების გუჯარსა განვრცელებით შექონებელსა სამეფოთა რაომე პირთა...“²¹.

ზემოთ ნაჩვენები იყო ოთონური ხელნაწერის „შეისწავეთა“ ერთი ნაწილი, რომელშიც განმარტებულია ხელნაწერის ტექსტში ნახსენები სიტყვების მნიშვნელობები. სხვაგან მარგინალურ შენიშვნებში მოცემულია აგრეთვე ტექსტთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათის განმარტებები, მაგალითად, ლრა სიტყვის დასაწყისში ახსნილია, თუ რატომ ეწოდა ქრისტეს სახელი, რომელიც „დედალი არს ბერძულ“ (ე. ი. სიბრძნე — თაჯა; 6. გვ. 60). კრა პომილიაში ტექსტის „ესცოდენი შეკამნეს“ ფრაზას ახლავს განმარტება: „შექმად წარგებასა იტყვას, ვინახთვან ესრეთ ჩუღულ არს სიტყუად ბერძნითაც“. კრა სიტყვაში მპარავსე მსჯელობის დროს („რამეთუ ვრა მპარავი თვთეულსა თვსისა საყუცდრელ სათქუმელ არს“) შენიშნულია: „შეისწავე, რამეთუ ესრეთ იტყვას, ვითარ-იგი პარვად ვიდრემე ბოროტ საქმე არს, ხოლო დაასწორო თუ ავაზაკობასა და მკლევლობასა თანა, სუბუქად ყოფილ საგონებელ არს. ეგრეთვე სოდომმან არა ცოდაო კერძოდცა ცოდვისა შენისაა“.

¹⁹ ეფრემი წერს: შეისწავენი და განსაზღვრებაა განჩინებითურთ და სამეცნიერომ ესე ყოველთა წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა... ჭორანია, ქრინ-კები, I, გვ. 217. ეფრემის შეისწავები „სამოციქულოში“ — 6. კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 328—333.

²⁰ ხრონოლრაცი გორგი მონაზონისაა, გამოცემა ს. ყაუხნიშვილისა, თბ., 1920, გვ. 46. 6. კიდევ: გვ. 20, 23, 25, 28, 46, 49, 68 და სხვ.

²¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 136—137, 6. კიდევ: გვ. 126, 131, 133, 134, 141, 185 და სხვ.

